ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 28 თებერვალი, 2011 | №49 (5430) | ფასი: 30 თეთრი

## ილია მეორე: ღმერთმა ინებოს, რომ საქართველო უფლის მარჯვენა მხარეს დადგეს!

გვ.3



# უმრავლესობაში დიდი გადაადგილებები დაიწყო

საქართველო სააკაშვილის გაპრემიერებას ვერ შეეგუება!



გვ.4

## ხელისუფლება სოციალური ბუნტისკენ გვიბიძგებს!

გვ.2

ჩვენ არ დავუშვებთ სააკაშვილის კადაფიზაციას!



## ოპოზიცია ბოკერიას უნდა დაელაპარაკოს

გვ.3

რევოლუციას დიალოგი სჯობია



გვ.2

## ვანო მერაბიშვილი ბაქოში ილჰამ ალიევს შეხვდა





## საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე ოპოზიცია ვერ გაიმარჯვებს

გვ.4



## რატომ სდევნიან ადვოკატებს

გვ.9

გვ.5

## ხელისუფლებას დასავლეთი მხარს აღარ დაუჭერს



## ხელისუფლებამ ოპოზიციის გალიზიანება უნდა შეწყვიტოს!

გვ.6



**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**6** პოლიცია მხოლოდ ერთი პარტიის უფლებებს არ უნდა იცავდეს!

**2** მომავალი რევოლუციების მსოფლიო რეიტინგი გამოქვეყნდა

**7** გორის თეატრში გრანდიოზული აქცია იწყება

**10** საქართველომ პორტუგალიაში იღბლის ხარჯზე მოიგო

# ხელისუფლება სოციალური ბუნტისკენ გვიბიძგებს!

## ჩვენ არ დავუშვებთ სააკაშვილის კადაფიზაციას!

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ ქართული პარტიის თავმჯდომარე სოზარ სუბართან

*— ბატონო სოზარ, რა ხდება ქართულ პარტიაში? საკმაოდ დატვირთული თვე გქონდათ, სულ რეგიონებში იყავით. ყველა რეგიონში დააფუძნეთ რაიონული ორგანიზაციები?*

— კიდევ ვაფუძნებთ. ჩვენ 24 ნოემბერს პარტიის ყრილობაზე განვაცხადეთ ჩვენი გეგმა, რომ საქართველოს ყველა რაიონში უნდა დავაფუძნოთ პარტიის ოფისები და ყველა საარჩევნო უბანზე უნდა გვყავდეს მინიმუმ 5 აქტივისტი. ამასთან, ჩვენი გეგმა არის, რომ გაზაფხულის ბოლოს დაახლოებით 50 ათასი პარტიის წევრი და რეგისტრირებული მხარდამჭერი უნდა გვყავდეს. ნამდვილად არ არის ეს ადვილი ამოცანა, თუმცა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ ამ ამოცანის შესრულებისკენ. ეს არის საჭირო იმისთვის, რომ პარტია მზად იყოს ნებისმიერი გამოწვევისთვის, იქნება ეს არჩევნები თუ იქნება აქციები და სხვა ტიპის ქმედებები.

*— რა იქნება შემდეგი ნაბიჯი? თქვენ აცხადებთ, რომ ჩვენ მზად ვართ, ხელისუფლების ვადაზე ადრე შესაცვლელადო...*

— ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გადაწყვიტა ქართველი ხალხის მოტყუება და გაცუცურაკება და კიდევ ერთხელ გადაწყვიტა, რომ გაიხანგრძლივოს სრულიად უკანონოდ და ანტიკონსტიტუციურად თავის ხელისუფლებაში ყოფნა. შეგახსენებთ, რაც გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა 2007 წელს და რასაც მოჰყვა მაშინ ნოემბრის აქციები და მისი გადაყენება თანამდებობიდან. ეს მოჰყვა იმ ფაქტს, რომ მან და საქართველოს პარლამენტმა გაიხანგრძლივეს რამდენიმე თვით არსებობა კონსტიტუციაში შეტანილი უკანონო ცვლილებებით. იგივე გააკეთეს ახლა, ახალ კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს მხოლოდ და მხოლოდ ოქტომბერში. არადა, პარლამენტი ჩვენ ავირჩიეთ 4 წლით და ოთხი წელი გადის მაისში. ანუ რა გამოდის, პარლამენტმა საკუთარ თავს უკანონოდ, კონსტიტუციის დარღვევით, გაუხანგრძლივა 6 თვით არსებობა და თან ეს ანტიკონსტიტუციური მუხლი ჩაწერეს კონსტიტუციაში. ეს არის იგნორირება ყოველგვარი უზენაესი დემოკრატიის ნორმისა, რადგან ძალაუფლების წყარო არის ხალხი. იგივე გააკეთა პრეზიდენტმაც, რომელსაც უფლებამოსილების ვადა გასდის 2013 წლის დასაწყისში და ეს მიტაცებული ძალაუფლება მან გაიხანგრძლივა 2013 წლის ოქტომბრამდე. ეს არის კანონის აბსოლუტური იგნორირება, ეს არის კანონის უხეში დარღვევა და პირდაპირ ვიტყვისულში ჩაფურთხება ქართველი ხალხისთვის, რომელიც არის საქართველოში ლეგიტიმაციის უმაღლესი წყარო. ამის პატიება არ შეიძლება, ამის მოთმენა არ შეიძლება, შესაბამისად ბუნებრივია, რომ ჩვენ სასწრაფოდ უნდა მოვითხოვოთ გადაყენება იმ ხელისუფლების, რომელიც ასე იქცევა. სამწუხაროა, რომ კონსტიტუციაში შეტანილ ამ ანტიკონსტიტუციურ ცვლილებებს და ამ უზურპაციას ძალაუფლების, ხმა მისცა არა მხოლოდ ნაციონალურმა მოძრაობამ, არამედ ზოგიერთმა იმ პარტიამაც, რომელიც თავის თავს ოპოზიციას უწოდებს. ამის მოთმენა არ შეიძლება, ჩვენ ვერ დავუშვებთ საქართველოში ხელისუფლების და სააკაშვილის კადაფიზაციას. ქცევით კი ძალიან ჰგავს მას, მაგრამ ჩვენ ამას არ დავუშვებთ.

*— გადამდებია ის, რაც მსოფლიოში ხდება და რევოლუცია საქართველოშიც აუცილებლად მოხდებაო...*

— ის რომ გადამდებია, მე მგონი, კარგად ჩანს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან, დაიწყო ტუნისში, გაგრძელდა ეგვიპტეში, გაგრძელდა ლიბიაში და მოედო ასევე არაერთ სხვა ქვეყანას. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია სხვა რამ, შეიცვალა მსოფლიოს დამოკიდებულება ამგვარი რევოლუციების მიმართ. მსოფლიოში დღეს ნათლად ამბობენ, რომ თუკი ხელისუფლება ახდენს ძალაუფლების უზურპაციას, ხალხს უფლება აქვს, გამოვიდეს და დაიბრუნოს ის, რაც მას ეკუთვნის. დაიბრუნოს ის, რომ ის არის ძალაუფლების მთავარი წყარო. ხალხია ერთადერთი წყარო, სხვა წყარო არ არსებობს. არ არის ლევან თარხნიშვილი, ზურაბ ხარატიშვილი, ან ვინმე სხვა გამყალბებელი ყალთაბანდი, არ არიან ძალაუფლების წყარო და როცა ხალხს ამ უფლებას ართმევენ, მას უფლება აქვს, ნებისმიერი გზით, მათ შორის ძალითაც დაიბრუნოს ეს უფლება. ეს არ არის მხოლოდ კონსტიტუციური ჩანაწერი, ეს არის ბუნებითი უფლება ადამიანის და ეს არის ბიბლიური პრინციპი ბოლო ბოლო! როდესაც ამის უზურპაცია ხდება, ხალხს უფლება აქვს, დაიბრუნოს ის, რაც მას ეკუთვნის. ეს პირდაპირ წერია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულაში, სადაც წერია, რომ ხალხებს აქვთ აჯანყების უფლება. ეს პირდაპირ წერია ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში და უამრავ სხვა სერიოზულ დოკუმენტში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ვინმეს აჯანყებისკენ მოვუწოდებ, მაგრამ თუ ხდება აჯანყება, თუ ხდება ამბოხება, ამის წყარო ყოველთვის არის ხელისუფლება, ამის მიზეზი ყოველთვის არის ხელისუფლება და არა რომელიმე ოპოზიციური პარტია და არა ხალხი.

*— საუბარია, რომ შესაძლოა გაზაფხულიდან აგორდეს ეს ტალღაო, თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავში-*



*რებით?*

— ძალიან მძიმეა, მაგრამ ამ ეტაპზე პროგნოზებისგან თავს შევიკავებ, იმიტომ, რომ ჩვენ მიმართული ვართ ქმედებაზე, ჩვენ ვაშენებთ პარტიას, ხოლო როცა პარტიის მშენებლობას დავამთავრებთ და ამას ვვარაუდობთ აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში, მხოლოდ ამის შემდეგ ვილაპარაკებთ იმაზე თუ რას გავაკეთებთ შემდგომში. ამ პერიოდში ჩვენ დავნიშნავთ პარტიის მეორე ყრილობას და შემდეგ ვისაუბრებთ ჩვენს გეგმებზე. მანამდე პროგნოზებისგან თავს შევიკავებ, თუმცა, პარტიის მშენებლობის დასრულებისთანავე ჩვენ მზად ვიქნებით ნებისმიერი ქმედებისთვის, მათ შორის თუ საჭირო გახდა რადიკალური ქმედებებისთვისაც. თუმცა, ის, რომ საზოგადოებაში საპროტესტო მუხტი ნელ-ნელა იმატებს, ამის მაგალითები ჩვენს თვალწინ მწიფდება. ამის მაგალითი იყო საახალწლოდ ვეტერანების აქცია, ამის მაგალითი არის მძღოლების აქცია. ამავდროულად სამარშუტო მძღოლების აქცია არის ნათელი მაგალითი სახელმწიფოში არსებული ელიტური კორუფციის. ძალიან მიკვირს იმ ფსევდო ოპოზიციონერების, რომლებსაც პრეზიდენტი ჩაეკითხა, რომ რას იტყვით, აბა, ვინ არის კორუმპირებულიო და ხმა ვერ ამოიღეს. არადა, მთავარი კორუმპირებული ამ შეკითხვის დამსმელი იყო და არ უნდა გაჭირვებოდა ბატონ ჩახვაძეს ამის იდინტიფიცირება. სწორედ პრეზიდენტი და მისი ოჯახი და მისი კლანი არიან მთავარი კორუმპირებულები ამ ქვეყანაში და მძღოლების აქცია არის ნათელი მაგალითი ამ კორუფციის, თუ რატომ გახდა აუცილებელი ამ აქციის დაწყება, იმიტომ, რომ ერთმა კლანმა გადაწყვიტა, რომ ჯიბეში ჩაედო ეს უზარმაზარი შემოსავალი, რაც მოდის თბილისის ავტოტრანსპორტიდან. ამისთვის მათ ჯერ შეამცირეს ავტობუსების რაოდენობა ქალაქში, რათა მეტი დატვირთვა მოსულიყო მიკროავტობუსებზე. ეს ავტობუსები, სხვათა შორის, ჩვენი ფულით არის ნაყიდი, ეს არ უნდა დაავიწყდეთ მათ, შემდეგ გამოაცხადეს ტენდერი და ერთსა და იმავე დღეს და ერთსა და იმავე ადგილზე რეგისტრირებულ ოთხ ფირმას მოაგებინეს მთელი თბილისის მიკროავტობუსებით მომსახურება. სხვათა შორის, ამ ფირმებს ჯერ არ ჰყავთ არც ერთი ავტობუსი. რამდენიმე პირმა გადაწყვიტა, ხალხი დაეტოვებინა მშიერი და მოგება მთლიანად ჩაედოთ ჯიბეში. სწორედ ამას მოჰყვა ეს მანიფესტაცია, ამის მაგალითები ჩვენ გვაქვს ყოველდღე და ამდენად, ხელისუფლება ყოველდღიურად აახლოებს სოციალურ ბუნტს, რომლის მომხრე მე ნამდვილად არა ვარ. თუმცა, თუ ხალხი გამოვა ქუჩაში, ბუნებრივია, ქართული პარტია განზე არ გადგება.

*— ისიც უნდა ითქვას, რომ ხელისუფლება იგნორირებას უკეთებს ამ ყველაფერს და რეაქციაც არ აქვს. რამდენი დღეა მიმდინარეობს მძღოლების აქცია და არაფერი შეცვლილა...*

— ხელისუფლებას აქვს რეაქცია, მან დააკავა ადამიანები და 8 ადამიანი და მათ მიუსაჯა 30-დღიანი პატიმრობა. ეს არის სრულიად უკანონო რეაქცია ადამიანების კანონიერ მოთხოვნებზე.

*— მე დადებითი რეაქცია მქონდა მხედველობაში...*

— დადებითი რეაქცია ვერ ექნებათ, საკუთარ კორუმპირებულ ფულებს ისინი არ თმობენ არასდროს. ეს არის

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# სასამართლო დავა კერძო პირმა მოიგო



შემოსავლების სამსახურისა და ინდ.მეწარმე „ელგუჯა მერკვილაძის“ დავა სასამართლომ კერძო პირის სასარგებლოდ გადაწყვიტა. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დაკისრებული 11 299 ლარის დავალიანება ინდ.მეწარმემ ჯერ ზესტაფონის რაიონულ, შემდეგ კი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. აპელანტის მტკიცებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს არ ჰქონდა ადმინისტრაციული ორგანოს შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ აპელანტის საჩივარი დასაბუთებულად მიიჩნია და არ დააკმაყოფილა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის შუამდგომლობა მეწარმის დაყადაღებული ქონების რეალიზაციაზე. სასამართლო გადაწყვეტილებაზე კომენტარი სპიკერ-მოსამართლე მარინე იმერლიშვილმა გააკეთა: „რამდენადაც ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭომ ინდ.მეწარმე ე.მერკვილაძის საჩივარი საგადასახადო მოთხოვნის გადახედვის თაობაზე განსახილველად დაუბრუნა შემოსავლების სამსახურს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ინდ.მეწარმის მიერ საგადასახადო დავალიანება აღიარებული არ ყოფილა. შესაბამისად, მისი დაყადაღებული ქონება რეალიზებას არ ექვემდებარება“.

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლო**

# ვანო მერაბიშვილი ბაქოში ილჰამ ალიევს შეხვდა



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ივანე მერაბიშვილმა აზერბაიჯანში ვიზიტის ფარგლებში, ქვეყნის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან და საგანგებო სიტუციების სამსახურის ხელმძღვანელ ქემალედინ გაიდაროვთან შეხვედრები გამართა.

აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, ალიევისა და მერაბიშვილის შეხვედრაზე, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამიართა, აქცენტი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კავშირების გაფართოებასა და გამყარებაზე გაკეთდა. მხარეებმა ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროების თანამშრომლობაზეც ისაუბრეს.

მხარეებს შორის თანამშრომლობის განვითარების აუცილებლობას გაუსვეს ხაზი მერაბიშვილმა და გაიდაროვმაც.

ამ ეტაპზე უცნობია, თუ როდის ბრუნდება შს მინისტრი საქართველოში. შესაბამის ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არ ფლობენ. შეგახსენებთ, რომ ივანე მერაბიშვილის ბაქოში ვიზიტი 25 თებერვალს დაიწყო.

**მედიანიუსი**

# მომავალი რევოლუციების მსოფლიო რეიტინგი გამოქვეყნდა

უოლ სტრიტ ჯორნალმა იმ ქვეყნების სია შეადგინა, სადაც სიტუაცია ლიბიური სცენარით შეიძლება განვითარდეს. საერთო სურათი არაერთგვაროვანი აღმოჩნდა.

გაზეთის ჟურნალისტებმა, რომლებმაც რეიტინგი შეადგინეს, განმარტეს, რომ „ეს არ არის უმაღლესი ინსტანციის ჭეშმარიტება“ და მხოლოდ პროგნოზია.

— რევოლუციის ინდექსის გათვლისას ბევრი სერიოზული ფაქტორი არ გავითვალისწინეთ, ისეთები, როგორიცაა თემთაშორის ურთიერთობები, სიტყვისა და გადაადგილების უფლება, დასავლურ ღირებულებებზე ორიენტაცია და ა.შ. ასევე არ გაანალიზებულა ეკონომიკური ვითარება. ამის მიუხედავად, ჩვენმა ნაშრომმა შესაძლოა გარკვეული ინტერესი გამოიწვიოს, — წერენ სტატიის ავტორები.

გაზეთის სიაში 85 სახელმწიფო მოხვდა. არასაკმარისი ინფორმაციის გამო, სიაში არ შევიდნენ კუბა, ერაყი, იემენი, ავღანეთი, ჩრდილოეთ კორეა და აფრიკის კონტინენტის ნახევარი.

პირველი ექვსეული, გამოცემის ვარაუდით, ასეთია: კენია, კამერუნი, პაკისტანი, ნიგერია, ინდონეზია და ფილიპინები.

საინტერესოა, რომ ის ქვეყნები, სადაც უკვე მოხდა ან ამჟამად მიდინარეობს არეულობები, მაღალ პოზიციებზე არ აღმოჩნდნენ. შედარებით მშვიდი იორდანია მეცხრე ადგილზეა, ალჟირი - მეთორმეტეზე. ლიბია კი მეცამეტე ადგილს იკავებს. ეგვიპტე - მეთექვსმეტე, ტუნისი მხოლოდ ოცდამეერთე ადგილზეა, ბაჰრეინი - 48-ზე - ტაივანისა და ლატვიას შორის.

გაზეთის კვლევებიდან შეუძლებელია ზუსტი პროგნოზის გაკეთება, თუ სად უნდა ველოდოთ მომავალ არეულობებს. განსაკუთრებულ შეშფოთებას პაკისტანი იწვევს. ქვეყანა ბირთვულ იარაღს და მძლავრ დემოგრაფიულ ფაქტორს ფლობს. ნათელია, რომ ასეთ ქვეყანაში რევოლუცია მთელს მსოფლიოში სიტუაციას „ააფეთქებს“, — წერს „ვესტი.რუ“.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ოპოზიცია ბოკერიას უნდა დაელაპარაკოს

**ხელისუფლება ოპოზიციას დევნილთა გამოყენებაში ადანაშაულებს. ოპოზიცია, თავის მხრივ, ხელისუფლებას მათ დატერორებას სდებს ბრალად. ხელისუფლების კრიტიკის ფონზე ოპოზიციის ლიდერები უშიშროების საბჭოს მდივანს პირისპირ ელაპარაკებიან. გასულ კვირას გიგა ბოკერიას ირაკლი ალასანია პირისპირ შეხვდა. შეხვედრის დეტალები უცნობია.**

**ხალხის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ალეკო შალამბერიძე მიიჩნევს, რომ ბოკერიასთან შეხვედრა ცუდი არ არის, ოღონდ ერთი პირობით. რა არის ეს პირობა, რატომ სჯობია დიალოგი აქციას, რატომ უნდა ვიყოთ სოლიდარულები, ამის შესახებ ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

თეა მარხვაი ე

*— ოპოზიცია დევნილების თემასთან დაკავშირებით ძალიან აქტიურობს. ხელისუფლება მოგიწოდებთ, რომ პოლიტიკური ქულების დასაგროვებლად მათ გამოყენებას თავი დაანებოთ.*

— მაშინ მე ოპოზიციის სახელით ხელისუფლებას მოვუწოდებ, თავი დაანებონ დევნილების გამოყრას. დევნილების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება იქით მოიკითხოს სააკაშვილმა.

*— როდის გამოიყენა დევნილები?*

— ისინი ხელისუფლებაში მოსასვლელად გამოიყენა.

*— თქვენ არ იყენებთ?*

— ჩვენ მათ უფლებებს ვიცავთ. ჩვენ ვართ ადამიანები და მშვიდად ვერ ვუყურებთ, როგორ დევნიან დევნილებს. ჩვენ არ შეგვიძლია ვუყუროთ იმას, როგორ ყრიან სატვირთო მანქანებში ადამიანებს. ასეთ რამეებზე ნებისმიერმა მოქალაქემ უნდა ამოიღოს ხმა. გაჩუმებეს არც ჩვენ ვაპირებთ. არც საზოგადოება უნდა გაჩუმდეს. ხალხი თითოეული გაჭირვებულის და დაჩაგრულის დასახმარებლად უნდა დაირაზმოს.

*— რატომ არ ირაზმება მერე საზოგადოება?*

— ამის გაკეთება ძალიან ძნელია, როცა ქვეყანაში ტოტალური რეჟიმია. ეს რეჟიმი თითოეულ ადამიანთან მუშაობს. ზოგი მოქრთამეს, ზოგი დააშინეს, ზოგი დაიჭირეს. ამას ემატება ისიც, რომ მოსახლეობა ოპოზიციის მიმართ ნიჰილისტურად არის განწყობილი. ამ შიშის და ნიჰილიზმის დაძლევას დრო სჭირდება. მე და ლაშა ჩხარტიშვილი ვცდილობთ, რამენაირად დავძლიოთ ეს ნიჰილიზმი. ვცდილობთ გავაპროტესტოთ ყოველგვარი უკანონობა. მე მჯერა, რომ ადამიანები გამოფხიზლდებიან და გაჭირვებულების გვერდით დადგებიან. ამით ისინი საკუთარ თავსაც დაიცავენ. ყველამ იცოდეს, რომ ეს რეჟიმი მათთანაც მივა.

*— ოპოზიცია კი აპროტესტებთ უკანონობას, მაგრამ ხალხი მაინც თქვენში ხედავს დამნაშავეს. წყლის ტარიფის გაზრდას ხალხის ნაწილი ნათელაშვილს აბრალებს. 25 თებერვალს „მარშრუტკების“ გაფიცვის დღეს მოსახლეობა ოპოზიციას ლანძღავდა.*

— მე ასეთი ადამიანები არ შემხვედრია. 25 თებერვალს სამარშრუტო ტაქსების გაფიცვის გამო ადამიანები ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამის გამო ისინი ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ. მათ შესანიშნავად გააცნობიერეს, რომ დღეს რა დღეშიც არიან, ყველაფერი ხელისუფლების ბრალია. რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, ვინც ოპოზიციას ადანაშაულებს. საბედნიეროდ, მოსახლეობის დიდი ნაწილი ვითარებას სწორად აფასებს. „მარშრუტკების“ გაფიცვის შემთხვევაშიც ასე მოხდა. ეს იყო უკიდურესი ნაბიჯი. მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა და უგულავამ დაარეკეტეს სამარშრუტო ბიზნესი.

*— ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ეს ყველაფერი ოპოზიციის მოგონილია.*

— ჭორების მოგონება თავისკენ მოიკითხონ. ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი სამარშრუტო ხაზი იყოს. ეს გამოიწვევს კონკურენციას. თავის მხრივ კონკურენცია იქნება იმის გარანტი, რომ ფასები არ გაიზრდება. როცა ხელისუფლების მონოპოლისტური დაჯგუფების ხელში იქნება ეს ყველაფერი, მაშინ ფასები გაიზრდება. მძღოლები დღეს კიდევ ერთხელ გამართავენ აქციას. და მე როგორც ვიცი, მათთვის სოლიდარობის გამოხატვას აპირებენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფები. რასაც პირადად მე მივასალმები. მიზანი ასე ერთად დგომით მიიღწევა.

*— სოციალური ჯგუფებისგან განსხვავებით მძღოლებისთვის ოპოზიციის დიდ ნაწილს არ გამოუცხადებიათ სოლიდარობა.*

— მე ასე ვერ ვიტყოდი. მათ ყველა ძირითადმა ოპოზიციურმა პარტიებმა დაუჭირეს მხარი. მათ მხარდასაჭერად ვიყავით ეროვნული საბჭო, ქრისტიან-დემოკრატების სახელით მოვიდა ჯაბა სამუშია, თავისუფალი დემოკრატებიდან მოვიდა ზურაბ აბაშიძე, სახალხო კრებიდან მოვიდა შალვა ოზგაიძე. რესპუბლიკელებიდან ძალიან აქტიურობდა თინა ხიდაშელი. რომელმაც საკრებულოში ძალიან სერიოზულად იმუშავა.

*— დაახევინეთ ხელისუფლებას უკან?*

— ვერ ვიტყვი, რომ დავახევინეთ. ასე ერთი აქციით ხელისუფლება უკან რომ იხევდეს, კარგად იქნებოდა ჩვენი საქმე. ამ მიმართულებით ბრძოლა გაგრძელდება. ის უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს. მე იმედი მაქვს, რომ ერთ ნაწილში მაინც დავახევინებთ უკან. ყოველ შემთხვევაში იმას მაინც გავაკეთებთ, რომ შესრულდეს მძღოლების სამართლიანი მოთხოვნა.

*— ამბობთ, რომ მასშტაბურ აქციებს მოვაწყობთო. ამის პარალელურად ოპოზიციის ლიდერები ხელისუფლების წარმომადგენლებს ხვდებიან. ამ დღეებში გავიგეთ, რომ ირაკლი ალასანია გიგა ბოკერიას საიდუმლოდ შეხვედრია. ეს რას ნიშნავს?*

— ოპოზიციის ლიდერებს სრული უფლება აქვს შეხვდნენ ვისაც მათ სურთ. მე ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვერ ვხედავ. და ვერც გიგა ბოკერიასთან შეხვედრას დავუშლი ვინმეს. თუ ხელისუფლებასთან სოციალურ პრობლემებზე იქნება საუბარი, პირიქით, ასეთი შეხვედრები სასარგებლოც კია.

*— გამოდის, რომ თქვენ ხელისუფლებასთან დიალოგის მომხრე ხართ?*

— მე ნორმალური ურთიერთობების მომხრე ვარ. მე არ მომწონს, როცა ადამიანები ერთმანეთს არ ესაუბრებიან. იქ, სადაც დიალოგი არაა, სიტუაცია კულმინაციამდე მიდის. თუ ხელისუფლებასთან შეხვედრისას სოციალურ პრობლემებზე იქნება კითხვები დასმული, ასეთ ღონისძიებას მე მივესალმები.

*— თქვენ არ აპირებთ, პირადად დაუსვათ ეს კითხვები, თუ ხელისუფლებას არ სურს თქვენთან შეხვედრა?*

— კითხვების დასმის სურვილი როგორ არა გვაქვს. უამრავი კითხვა გვაქვს ხელისუფლებასთან დასასმელი. ამ კითხვებს დავსვამთ, როცა შევხვდებით. ჯერჯერობით ასეთი შეხვედრა არ შემდგარა. ხელისუფლების წარმომადგენლებს ასეთი სურვილი არ გამოუთქვამთ?

*— რატომ არ გამოუთქვამთ, არ გკადრულობენ, თუ რამე სხვა მიზეზი არსებობს?*

— ასეთი შეხვედრის ორგანიზებას, როგორც წესი, ამერიკის შეერთებული შტატები აგვარებს.

*— თქვენ რაკი ამერიკასთან კონტაქტები არა გაქვთ, ამიტომ არ გხვდებიან?*

— ჩვენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან კავშირების დამყარება ცოტა დავაგვიანეთ. ეს პრობლემა უკვე აღმოფხვრილია. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ სხვადასხვა საელჩოებთან. დევნილების გამოსახლებასთან დაკავშირებით ჩვენ რამდენიმე საელჩოში გავმართეთ შეხვედრები. დავამყარეთ კონტაქტები. და მგონია, რომ ყინული დაიძრება.

*— და თქვენც ეღირსებით ბოკერიასთან შეხვედრას.*

— მე ბოკერიასთან დალაპარაკებაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. თუ რასაკვირველია, ადამიანების წინაშე არსებული პრობლემები მოგვარდება. ასეთი ტიპის შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია. ხელისუფლება ასეთი ატრუებული რომ არ იყოს, თავად მოისურვებდა ოპოზიციასთან დიალოგს. ამ გზით უამრავი პრობლემის მოგვარება იქნებოდა შესაძლებელი.

*— ამბობენ, რომ გიგა ბოკერია ახალ პარტიას ქმნის. ამიტომ ხომ არ ხვდება ოპოზიციის წარმომადგენლებს.*

— ბოკერიას პარტიაზე მეც ბევრი რამე მოვისმინე. ჭორებს ნამდვილად ვერ ავყვები. მგონია, რომ ბოკერია პარტიას არ შექმნის. ის სააკაშვილზე მიბმულია. დღეს საქართველოში არსებული ვითარების ერთ-ერთი შემოქმედი არის ბოკერია. სააკაშვილი მხოლოდ მისი და კიდევ რამდენიმე ადამიანის მოსაზრებებს უწევს ანგარიშს.

*— ამიტომ მიგაჩნიათ მასთან დალაპარაკება მნიშვნელოვნად?*

— თუნდაც მარტო ამიტომ. დიალოგი აუცილებელია. გაუცხოება ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს. შეიძლება ისეთ შედეგამდე მივიდეთ, რომელსაც კიდევ 20 წელი დასჭირდება მოსაშუშებლად. ბოკერიასთან დალაპარაკებით თუ რაიმე პრობლემა მოგვარდება, დაველაპარაკოთ.

*— ისე, ვისთან უფრო ჯობია დალაპარაკება — ბოკერიასთან თუ ვანო მერაბიშვილთან, რომელიც სააკაშვილის კარზე უდიდესი გავლენით სარგებლობს.*

— ვანოსთან დალაპარაკებაც კარგი იქნებოდა, თუ ეს დიალოგი პრობლემებს მოაგვარებს. სიტუაციის გამწვავებას დიალოგი სჯობია. ხელისუფლების დამხობა კარგს არაფერს მოგვიტანს. მე მჯერა, რომ ხელისუფლება ხალხს ამისკენ არ უბიძგებს. ისინი წამოვლენ დიალოგზე და სასიკეთო გადაწყვეტილებებს მიიღებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეც კი რევოლუციის მოთხოვნით გამოვალ. არადა, ეს რევოლუციები ძალიან მეზიზღება. მას საქართველოსთვის კარგი არაფერი მოუტანია. მე მინდა, რომ ქართველებმა ცივილიზებული ფორმებით მოვაგვაროთ ყველა პრობლემა.



## რევოლუციას დიალოგი სჯობია

# ილია მეორე: ღმერთმა ინებოს, რომ საქართველო უფლის მარჯვენა მხარეს დადგეს!

გუშინ მართლმადიდებელი ეკლესია საშინელი სამსჯავროს ხვენების დღეს აღნიშნავდა. ამასთან დაკავშირებით საკვირაო ლიტურგიაზე სახარებიდან ის ნაწილი იკითხება, სადაც ამ დღის მნიშვნელობაზეა საუბარი.

*— ყველაზე დიდი მადლი, რაც შეიძლება ადამიანმა გააკეთოს, ეს არის მოწყალება. ღმერთმა ინებოს, რომ საქართველო და მთელი მსოფლიო უფლის მარჯვენა მხარეს დადგეს, — ბრძანა დღეს წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიაქმა, მცხეთა-თბილისის მთავარ ესპიკოპოსმა, ცხუმ აფხაზეთის*

ილია მეორემ დღეს წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში საკვირაო ქადაგებისა მრევლს ეკლესიისთვის ღვინისა და ზეთის შეწირვის კურთხევა მისცა.



— თითოეული ოჯახისთვის ძალიან დიდი მადლია ეკლესიას ღვინო და ზეთი რომ შემოსწირონ. ვისაც გაქვთ სურვილი და საშუალება, კვირა დღეს ან დღესასწაულებზე ტაძარში მოიტანეთ დაბეჭდილი წითელი ღვინო და ზეთი. ღვინოს ზიარებისთვის გამოიყენებენ, ხოლო ზეთს კანდელებში ჩასასხმელად, — ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

უწმინდესმა მრევლს მშვიდობიანი და ბედნიერი აღდგომის გათენება უსურვა.

— დღეს არის აღება ხორცით და იწყება ყველიერის კვირა. ღმერთმა მშვიდობის და სიხარულის აღდგომა გაგვითენოს ჩვენ და სრულიად საქართველოს, — აღნიშნა პატრიარქმა.

**მედიანიუსი**

# მიკროავტობუსების მძღოლების აქციას დევნილებიც შეუერთდებიან

სამარშრუტო მიკროავტობუსების მძღოლების მიერ დღეს დაგეგმილ საპროტესტო აქციას სოლიდარობის ნიშნად დევნილთა სამოქალაქო მოძრაობაც უერთდება. მძღოლების აქცია თბილისში ვარდების მოედანზე 14 საათზე დაიწყება.

როგორც „მედიანიუსს“ კონსერვატიული პარტიის დედაქალაქის საქმეთა ლაშა ჩხარტიშვილმა განუცხადა, დევნილების სოლიდარობას უცხადებენ მიკროავტობუსების მძღოლებს, რომლებიც ხელისუფლებამ შემოსავლის გარეშე დატოვა.

— ჩვენ, კონსერვატიული პარტია, მხარს ვუჭერთ სამარშრუტო მიკროავტობუსების მძღოლებს და მათ მოთხოვნებს. აქციას უერთდება „ხალხის პარტია“ და თავისუფალი საქართველო„, ასევე დევნილთა სამოქალაქო მოძრაობა. მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი ჩაგრავს და შემოსავლის გარეშე ტოვებს 20 ათასამდე ოჯახს, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია თბილისში მიკროავტობუსებით მგზავრობასთან, — განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა.

მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ მძღოლების მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, აქციები გაგარძელდება, რაც თბილისში სტრანსპორტო ბლოკადას გამოიწვევს.

შეგახსენებთ, რომ თბილისის მასშტაბით არსებული სამარშრუტო მიკროავტობუსების მძღოლებმა ყოველდღიური გეგმური გადასახადის გაზრდას აპროტესტებენ. გავრცელებული ინფორმაციით, ეს გადასახადი 10-დან 20-40 ლარამდე გაიზრდება.

მძღოლების პირველი საპროტესტო აქცია 25 თებერვალს თბილისის საკრებულოს წინ გაიმართა.

**მედიანიუსი**

# ხელისუფლება სოციალური ბუნტისკენ გვიბიძგებს!

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ნათელი მაგალითი ელიტური კორუფციის, როგორ ცდილობს ერთი კლანი ყველაფერი ჩაიდოს ჯიბეში. მთელი საქართველო გახადოს ერთი ოჯახის და ერთი კლანის შემოსავლის წყარო.

*— ხელისუფლება მწვავე სოციალური ფონის განეიტრალებას 20 და 30-ლარიანი ვაუჩერებით ცდილობს...*

— უკეთესი იქნება, თუკი რეალობას მიუახლოებს იგივე ელექტროენერგიისა თუ გაზის ფასს. უკეთესი იქნებოდა, არ გაეზარდა ნაგვის გატანისა და წყლის გადასახადები და თუ ასე იქნებოდა, მაშინ არ დაჭირდებოდა ამ უაზრო „პიარტრიუკების“ ჩატარება. ამ „პიარტრიუკებით“ ის შორს ვერ წავა. ეს ერთჯერადი „ტრიუკია“, მაშინ, როცა გადასახადები მოგვემატა ყოველთვიურად. ამ დახარჯულ ფულს სამ თვეში ამოიღებენ მარტო გაზით და წყლით, აღარაფერს ვამბობ დენზე. აჯობებს, თუ ინფლაციის დონეს შეამცირებენ. საქართველოში არის ყველაზე მაღალი ინფლაცია მთელს ყოფილ საბჭოთა სივრცეში. ასევე უკეთესი იქნება, თუ შეამცირებენ თავიანთ წილს, უფრო სწორად, საერთოდ გააქრობენ საწვავის პროცენტში. ყოველი ლიტრა გაყიდული ბენზინიდან და გაყიდული დიზელიდან ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტის ოჯახი იღებენ 50 თეთრს. აი, ეს არის ელიტური კორუფციის მაგალითი და თუ ამას მოაცილებენ, მაშინ აღარ დასჭირდებათ ამ უაზრო „ტრიუკების“ ჩატარება. ამის შედეგი არის ნულოვანი. ერთჯერადად შეიძლება ოჯახებმა იხეირონ, მაგრამ საბოლოოდ ეს ყველაფერი დადის პიარამდე. ძალიან მაინტერესებს, მაშინ, როცა ჩემთან ჯერ არ მოუტანიათ და უამრავ ადამიანთან დღემდე არ მიუტანიათ ეს ვაუჩერები, რატომ გააქანეს და პირველივე დღესვე რატომ მისცეს, ვთქვათ, პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს, ჯანდაცვის მინისტრს?! ასევე ძალიან მაინტერესებს, ჯანდაცვის მინისტრს როდესაც ჩააქვს საგარეჯოში 20-ლარიანი ვაუჩერი რომელიღაც გაჭირვებულ ოჯახში და მას თან ახლავს 50 კამერა, 70 მანქანა და ხარჯავენ მინიმუმ ათასი ლარის საწვავს, რა მარგი ქმედება არის, ერთი გამაგებინონ?

*— ექსპერტებისგან მოვისმინე შეფასებები, რომ ქართული პარტიის ქმედებები ხელისუფლებას აშინებს. როგორ ფიქრობთ, ეშინია თქვენი ხელისუფლებას?*

— წარმოიდგინეთ, სახალხო დამცველი ვიყავი ამ ქვეყანაში, ბოლობოლო ადამიანის უფლებების დამცველი, საკონსტიტუციო თანამდებობის პირი. სამი მანქანა რომ არ დამყვებოდეს სათვალთვალოდ, ისე ნაბიჯი ვერ გადამიდგამს რეგიონებში. რესტორანში შევდივართ, რომ წავიხემსოთ, მანქანა ფანჯრებთან დგას, ოფისში მივალთ, მანქანა ფანჯრებთან დგას, ხალხთან შესახვედრად გავალთ მანქანა დაგვყვება და იქიდან იღებენ სურათებს. რა უნდათ, რა უნდა გადაიღონ, ჩემი სურათი არა აქვთ თუ კადრები? ეს კარგად მეტყველებს იმ შიშზე, რაც მათ აქვთ ქართული პარტიის მიმართ. სხვათა შორის, იმ პერიოდში, როცა სხვა პარტიაში ვიყავი და უფრო დაძაბულიც უნდა ყოფილიყო ვითარება, მსგავსი ყურადღება მე არ მიგრძნია. ხელისუფლებისგან ყურადღება არ გვაკლია, თუმცა, ეს უფრო გვახალისებს, ვიდრე გვაშინებს.

# საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე ოპოზიცია ვერ გაიმარჯვებს

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ ეროვნული ფორუმის წევრ ნოდარ ჯავახიშვილთან

***— ბატონო ნოდარ, ინფლაციის და ფასების ზრდის ფონზე პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივასთან დაკავშირებით, 20-ლარიანი და 30-ლარიანი ვაუჩერების დარიგებაზე, როგორია თქვენი პოზიცია?***

— არც ერთ შემთხვევაში ეს არ არის ანტიინფლაციური ღონისძიება. ინფლაციას, ფასების ზრდას ნებისმიერ ქვეყანაში იწვევს მიმოქცევაში არსებული ფულის მასის, საქონლის და მომსახურების თანაფარდობის ცვლილება. რაც შეეხება ვაუჩერს, ვაუჩერი არ არის ფული, მაგრამ ფაქტობრივად ფულის ფუნქციას ასრულებს იმიტომ, რომ გაჭირვებულ ოჯახს, რომელსაც 20 ლარით ნაკლები ექნება გადასახდელი ელექტროენერგიაზე ამ დანაზოგს სხვა სახის საქონლის შესაძენად გამოიყენებს. უფრო მეტს შეიძენს, ვიდრე წინა თვეში შეიძინა. ეს ნიშნავს, რომ გადახდისუნარიანი მოთხოვნა ამ შემთხვევაში სამომხმარებლო პროდუქციაზე გაიზრდება. ამან აუცილებლად უნდა გამოიწვიოს მართალია არა მნიშვნელოვანი, მაგრამ შესაბამისი ინფლაციური ეფექტი, თუ რასაკვირველია, საქართველოს ეროვნული ბანკი არ შეამცირებს მის ხელში არსებული სხვა ინსტრუმენტებით მიმოქცევაში ფულის რაოდენობას ან ფინანსთა სამინისტრო არ გასცემს უფრო ნაკლებ ხარჯს, ვიდრე დაგეგმილი იყო. ორივე ამ მიმართულებას აუცილებლად ექნება ინფლაციური ეფექტი, მაგრამ ეს არ იქნება ძალიან მტკივნეული და მნიშვნელოვანი, რადგან ჯამში 50 მილიონია და ეს არ არის დიდი თანხა. მეორეს მხრივ, ეს არის სააკაშვილის მიერ დიდი ხნის წინ აღებული მიმართულება ქართველი საზოგადოებისთვის პატივის და ღირსების აყრის.

***— რას გულისხმობთ?***

— ქართველ საზოგადოებას მინდა გავახსენო პირველი სლოგანი, რითიც მოვიდა ეს ხელისუფლება: ასი უფასო სასადილო. ძალიან გული მტკივა, რომ ამან არ გამოიწვია მაშინვე საყოველთაო პროტესტი და აზვირთება. ხელისუფლებამ ის კი არ უთხრა თავის ხალხს, რომ ღირსეულად იმუშავებდა ხალხი და ღირსეული ანაზღაურება ექნებოდა, რაც მათ ღირსეული ცხოვრების საშუალებას მისცემდა, არამედ უფასო სასადილოებს გაგიხსნითო, შიმშილით არ მოკვდებითო, გაგამათხოვრებთო. უფასო სასადილო ნიშნავს, რომ ადამიანი სხვისი, გნებავთ ხელისუფლების ხელისშემყურეა. ეს არის ქართველი საზოგადოების საფუძვლების რყევა და ნგრევა. არ შეიძლება მოხუცთა თავშესაფარი ქართულ სინამდვილეში იყოს.

***— თუ რეალობაა?***

— არ უნდა იყოს ეს რეალობა. ამით სახელმწიფო ახალგაზრდა თაობას ხრწნის, რომ ჩვენ არ ვართ ვალდებული და პასუხისმგებელი ჩვენი წინაპრების წინაშე. უხსოვარი დროიდან ეს ტრადიცია არის საქართველოში. პატარა ქვეყანა ვართ და ერთმანეთან ახლოს უნდა ვიყოთ ყველანი, დღეს ამას „ურტყამს“ ხელისუფლება. ადამიანის ღირსების დაქვეითება ხდება, როდესაც მას რაღაცას გადაუგდებ არა სამსახურში, არამედ რაღაცაში. ამასობაში ხალხს აქვს პოზიცია: ყვავს კაკალი გააგდებინო, ეგეც კარგია. ხელისუფლებამ ხალხს თავის მიერ გამომუშავებული 20 და 30 ლარი გადმოუგდო, რომელიც ფაქტიურად არც კი არის ერთი თვის პურის ფული. ამით უნდა ხელისუფლებას, რომ რევოლუციური მოთხოვნები თუკი ჩნდება, ჩაკლას ხალხში. ამას მოახერხებს კიდეც ამ 50 ლარით.

***— მოახერხებს?***

— სამწუხაროდ, დიდ ნაწილში მოახერხებს. ღმერთმა დამიფაროს, რომ ვთქვა ქართველ საზოგადოებას მთლიანად აქვს ღირსება დაკარგული. არა, ამას არ ვამბობ. ძალიან ბევრი ქართველია, რომელსაც გენეტიკური ფესვები არ დაუკარგავს, იმას არც 50 ლარი ეყოფა და არც 50 ათასი, რადგან მისთვის მთავარია, რომ მას თავის ქვეყანაში ადგილი არ აქვს, არადა, ეს ქვეყანა მისია და არა სააკაშვილის, მაგრამ ადამიანების ეს კატეგორია ბევრი არ არის. საზოგადოების საკმაოდ დიდმა ნაწილმა, (ნუ ეწყინებათ და თუ ეწყინებათ, ცივი წყალი დალიონ) 2008 წლის სექტემბერში მიშა, მიშას ძახილით ხელი ჩაკიდეს ერთმანეთს და დარბოდნენ.

***— ცოცხალ ჯაჭვს გულისხმობთ...***

— დიახ. ეს იმ ქართველების შთამომავლებმა გააკეთეს, რომლებიც დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალის თუ ერეკლეს ხმლის ქვეშ უბრძოლიათ. იმ მთავარსარდლის სახელს გაჰკიოდნენ, რომელმაც ცხვირით თხარა მიწა ახალგაზრდა ჟურნალისტი გოგონების



და უცხოელი სტუმრების თანდასწრებით. ასეთი რამ საქართველოს ისტორიაში არ მახსოვს. სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიაში უამრავი გათახსირებულობაა უამრავი სიკეთის გვერდით, მაგრამ ასეთი რამ არ ვიცი. მიშა, მიშას ძახილით ქართველები დარბოდნენ, ესენი ისინი არიან, სადაც გადაჭრა ფესვი. მათ უკან, ქართველებად დაბრუნება ძალიან ძნელი იქნება. რასაკვირველია, ეს ხალხი ერთ ტომარა ფქვილშიც გაიყიდება და 20-ლარიან ვაუჩერზეც იყიდებოდნენ და გაიყიდებიან. საზოგადოების გარკვეული ნაწილი მთლიანად მიება ყოველდღიურზე, ხვალ შეჭამს, მაგრამ ზეგ აქვს გარანტია, რომ მის შვილებს აჭმევს? რისთვის ზრდის ამ შვილებს? სააკაშვილის და მისი ხროვის შვილების მონობისთვის? მათ ხომ არანაირი პრესპექტივა არ აქვთ, რომ ღირსეულები იყვნენ ან სამსახური იშოვონ. სამუშაო რომ იშოვო, დღეს მინიმუმ სააკაშვილის ლაქია უნდა იყო. მთავარი ის კი არ არის, რომ სააკავშილი ეკონომიკას აქცევს, მთავარი ის არის, რსითვის აქცევს, სწორედ ეს მედარდება. იმისთვის აქცევს, რომ ხალხი გაამათხოვროს და ღირსება აყაროს.

***— რაში სჭირდება ღირსებააყრილი ხალხი, უფრო ადვილი სამართავია?***

— რასაკვირველია. ღირსეულებთან მუშაობა რთულია. მაგალითად, ქალბატონ ვერას რასაც ეტყვიან, იმას იტყვის ისიც. როგორც გინდა, ისე დააქციოს სააკაშვილმა ეკონომიკა, ორ-სამ წელიწადში ფეხზე დავაყენებთ. 1993-94 წლებში საქართველოს ეკონომიკა დაინგრა, ნულამდე დავიდა, მაგრამ 1995-96 წლებში ნაწილობრივ 1997 წელს მსოფლიოში ყველაზე დიდი ზრდა გვქონდა.

***— ამას ამბობს ახლა სააკაშვილი?***

— განსხვავებაა. ამას ამბობს სააკაშვილი, მაგრამ ტყუილს ამბობს. არ შეესაბამება მისივე სტატისტიკას. იცის, რომ შემპასუხებელი არავინ ჰყავს და რასაც უნდა, იმას ბჟუტურებს. მე რომ ვსაუბრობ იმ წლებზე არა მხოლოდ ქართული სტატისტიკით, არამედ ყველა საერთაშორისო მონაცემებით იყო ცნობილი.

***— ბატონო ნოდარ, თუ ხელისუფლება უფსკრულისკენ მიაქანებს ქვეყანას, სად არის ოპოზიცია? მშვიდად უნდა იყოს?***

— არც ერთ ქვეყანაში ოპოზიცია ხელისუფლებასთან გამარჯვებული არ გამოსულა და ვერ გამოვა, თუ ოპოზიციის უკან არ იდგება საზოგადოების დიდი ნაწილი.

***— ხომ იდგა?***

— იდგა, ზოგი გულწრფელად, ზოგი ნაკლებად გულწრფელად, მაგრამ სერიოზული შეცდომა იყო დაშვებული მაშინდელი ოპოზიციის მიერ, რომ არ გამოიყენეს ხალხის აქტიურობა და შემართება. თუმცა, საკითხავია, რამდენად მზად ვიყავით საბრძოლველად თუ აუცილებლობა გახდებოდა, მაგრამ ესეც ოპოზიციის ბრალია, თუ საზოგადოება ვერ შეამზადა ბოლომდე, მით უფრო, როდესაც ხელისუფლება ყველა საფუძველს გაძლევს. მაშინდელმა ოპოზიციამ აღიარა, რომ ეს შეცდომა იყო, მაგრამ თუ ნახა საზოგადოებამ ეს შეცდომაა, ამით ქვეყანას ხომ არ ეშველა, მოაცილოს თავის გონებაში ის და სხვა დააყენოს ან თავად დადგეს. ეს ხელების ჩამოშვების საფუძველს არ გვაძლევს არც ერთ ქართველს. ჩემთვის რთულია, რომ ვილაცამ მომატყუოს, რადგან თუ მოვტყუვდი, ესე იგი დეგენერატი ვარ. ამ მოტყუებაში მხოლოდ მომტყუებლის პრობლემა არ დგას.

***— თქვენ საზოგადოების პასუხიმგებლობაზე საუბრობთ...***

— რასაკვირველია, მე ვარ ამ საზოგადოების ნაწილი, მაგრამ 300 ათასი ადამიანი სიკვდილზე წაიყვანო, ეს არ არის ადვილი საქმე. ამას გმირობა სჭირდება, რაც მაშინ არ აღმოგვაჩნდა.

***— დღეს როგორ აფასებთ იმ მოვლენებს?***

— ერთმნიშვნელოვნად. მაშინ სააკაშვილის ინაუგურაციასაც ჩავშლიდით და დავამთავრებდით. ამას დღეს არც ერთი მაშინდელი ლიდერი არ უარყოფს, ყველასთან არა, მაგრამ ბევრთან მქონდა საუბარი და უთქვამთ, რომ ვერ გარისკეს. თუ პასუხისმგებლობის გრძნობით ხარ ტატვირთული ბევრი კითხვა ჩნდება. ამავდროულად დიდი ადამიანიც უნდა იყო და ცოტა ავანტიურის ელემენტიც გქონდეს. არავის გამართლებას არ ვაპირებ, მაშინ პოლიტიკაში არც ვიყავი მხოლოდ რიგით ქართველად ვიდექი, მაგრამ დღეს ამბობენ, რომ უნდა გაგვერიკა და გავიმარჯვებდით. მაშინ სააკაშვილს გაუჭირდებოდა.

***— დღეს მომძლავრებულია?***

— სააკაშვილი კი არ არის მომძლავრებული, საზოგადოებამ და ოპოზიციამ გადადგა უკან ნაბიჯი.

## მეკობრეების მიერ დატყვევებული ქართველი მეზღვაურების გათავისუფლება გადაიდო

სომალელი მეკობრეების მიერ დატყვევებული ქართველი მეზღვაურების გათავისუფლება 10 დღით გადაიდო.

როგორც „მედიანიუსს“ სომალელი მეკობრეების მიერ დატყვევებული ერთ-ერთი ქართველი მეზღვაურის დავით დევაძის მამამ სერგო დევაძემ აცნობა, ბერძნული გემთმფლობელი კომპანია ქართველი მეზღვაურების გათავისუფლებას მათ ოჯახებს თებერვლის ბოლოსთვის ჰპირდებოდა, თუმცა ქართველების გათავისუფლების საკითხი კიდევ 10 დღით გადაიდო.

დევაძის თქმით, გადადების მიზეზის გახმაურება ამ ეტაპზე მიზანშეუწონელია. შეგახსენებთ, 15 ქართველი მეზღვაური სომალელი მეკობრეების ტყვეობაში უკვე რამდენიმე თვეა იმყოფება.

**მედიანიუსი**

# უმრავლესობაში დიდი გადაადგილებები დაიწყო

## საქართველო სააკაშვილის გაპრემიერებას ვერ შეეგუება!

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანის განცხადებით, გარემოს დაცვის სამინისტროდან მხოლოდ აბრა არ უნდა დარჩეს და ამ სამინისტროს რეალური ფუნქციები უნდა გააჩნდეს. ახვლედიანი მიიჩნევს, რომ ამ სამინისტროს რეორგანიზაციის გეგმა არაპროფესიონალებმა მოიფიქრეს.**

**გარემოს დაცვის სამინისტროს ამ სახით რეორგანიზაცია უმრავლესობის რამდენიმე წევრსაც არ მოსწონს, თუმცა, ამის ხმამაღლა აფიშირებას ერიდებიან.**

**რა პროცესები მიდის მმართველ ფრაქციაში, გახდება თუ არა გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაცია დაპირისპირების მიზეზი და ვინ არიან უკმაყოფილონი?**

**„ახალი თაობა“ გიორგი ახვლედიანს ესაუბრა.**

***— გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციამ მმართველი ფრაქციის შიგნით აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. უმრავლესობის რამდენიმე წევრს გარემოს დაცვის სამინისტროს ფუნქციების სხვადასხვა სამინისტროში გადანაწილება არ მოსწონს, თუმცა, ამას ხმამაღლა არ ამბობს. სადამდე მივა ეს ვითარება?***

— სრულიად გაუგებარია ის არგუმენტაცია, რატომ ხდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეორგანიზაცია. როდესაც მთავრობა რომელიმე უწყების რეორგანიზაციას ატარებს, არგუმენტირებულად უნდა ახსნას, რეორგანიზებული სტრუქტურა გაცილებით ეფექტურად იმუშავებს თუ არა. მაგრამ ამაზე პასუხი არ არსებობს. რატომ არის უფრო მომგებიანი ბუნებრივი რესურსების ენერგეტიკის სამინისტროში გადატანა ან ნაპირსამაგრი სამუშაოების გადატანა ინფრასტრუქტურის სამინისტროში, ამას ვერავინ ხსნის. ენერგეტიკის სამინისტროში გადადის გარემოს დაცვის ინსპექცია. რას მოგვცემს ეს უკეთესს? გარემოს დაცვის ინსპექცია უფრო ეფექტურად იმუშავებს თუ რა მოხდება? ამაზე პასუხი არ არსებობს. რატომ ხდება ამხელა რეორგანიზაცია და რატომ ვშლით ამ სამინისტროს, პასუხი არ არის. კონკრეტული ეჭვი ჩნდება, რომ ყველაზე დიდი კორუფციული ხვრელები, რომლებიც გარემოს დაცვის სამინისტროში არსებობს, ხელისუფლების მხრიდან ვერ იქნა დაძლეული. კორუფციას ვერაფერი უშველეს. ბუნებრივია, ვერც უშველიდნენ. ერთ მეტყევეს 5 ათასი ჰექტარი ტყე აქვს გასაკონტროლებელი, მოსახლეს უნდა აჰყვეს, მოანიშნინოს, მოაჭრევინოს, წლის განმავლობაში მეტყევე 250-ჯერ უნდა შევიდეს და გამოვიდეს ტყეში. ამ ადამიანებმა ეს ვერ გააკონტროლეს და გახდა კორუფციის წყარო. 100 ლარს გადაიხდის ვილაც და, რასაც უნდა, იმას მოჭრის. ამას რა, ახლა ენერგეტიკის სამინისტრო მოაგვარებს? თუ სატყეოს პრინციპები არ შეიცვალა და რეინჯერების გადანაწილებისა და ტყის კონტროლის მექანიზმები არ გამოსწორდა, გინდა ენერგეტიკის სამინისტროს გადაეცი და გინდა რომელიმე სკოლას ჩააბარე. კორუფციას ვერაფერი მოუხერხეს, ბუჩქებში თავი ჩარგეს და თქვეს, ამ სამინისტროს დავშლით და პრობლემა აღარ გამოჩნდებაო.

***— ეს პრობლემები რომ ვერ გადაიჭრა, ვისი ბრალია, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის?***

— ეს პრობლემა რომ ვერ მოგვარდა, ამას მხოლოდ მინისტრ გოგა ხაჩიძეს ვერ დავაბრალებ. მის არასათანადო პროფესიონალიზმის დონეზეც შეიძლება პრეტენზიები არსებობს, მაგრამ ეს, უპირველესად ყოვლისა, მთავრობის პრობლემაა.

***— იქით ხომ არ მიდის ყველაფერი, რომ მინისტრ გოგა ხაჩიძეს თანამდებობა დაატოვებინონ?***

— სამინისტროში, პრაქტიკულად, ასეთი სიტუაცია შეიქმნა: დაიჭირეს ყველა. ვინც კი რაღაცას აკეთებდა, ყველა კორუფციაშია მხილებული, მინისტრი კი არ მოხსნეს. ხელისუფლება ალბათ ასე თვლის, რომ მინისტრის მოხსნა პირდაპირი მანიშნებელი და ღია აღიარება იქნება იმისა, რასაც ოპოზიცია ამბობს, რომ ამ სისტემაში კორუფცია ვერ მოგვარდა. ალბათ ამას გაურბიან.

***— ოპოზიციის ჯიბრზე გოგა ხაჩიძეს არ ხსნიან?***

— ალბათ... ჩვენ ვამბობთ, რომ კორუფციაა და ამას მიხედეთ, მაგრამ ისინი ამ პრობლემას არ აღიარებენ. ბოლოს მინისტრს მაინც გაუშვებენ.

***— სად, სასწავლებლად?***

— არ ვიცი. შეიძლება, რომელიმე მუსიკალურ სასწავლებელში გაუშვან. რას გადაწყვეტენ, მათი საქმეა.

***— ბუნებრივი რესურსები ენერგეტიკის სამინისტროში გადავა. ამას თქვენ რატომ ეწინააღმდეგებით?***

— ბუნებრივი რესურსი არის ტყე, ენერგეტიკის სამინისტროსთვის ტყე არის ენერგეტიკის რესურსი, შეშაა. გარემოს დაცვის სამინისტროსთვის ტყე არის ჟანგბადი, ეკოლოგიურად დაცული ტერიტორია, რომელიც უაზროდ არ უნდა გაიჩეხოს. ენერგეტიკის სამინისტროსთვის ტყე არ არის პირველ რიგში ჟანგბადი და ეკოლოგია, არამედ, ეს არის ბუნებრივი რესურსი. ამან, საბოლოო ჯამში, შესაძლოა, იქამდე მიგვიყვანოს, რომ თუ დღეს 7% გვაქვს დაცული ტერიტორიები, რაზეც ხელისუფლებას ვალდებულება აქვს, რომ მინიმუმ უნდა გააორმაგოს, რამდენიმე წელიწადში შესაძლოა ამ შვიდმა პროცენტმა კლება დაიწყოს. ჩვენ დღეს ვხედავთ, რამხელა პრობლემებს ქმნის მსოფლიოსა და საქართველოში ეკოლოგიური ცვლილებები. 10-15 წელიწადში ქართულ და სხვა ქვეყნების პარლამენტში ყველაზე მეტად კლიმატის კატასტროფულ ცვლილებებსა და ამის შედეგად გამოწვეულ პრობლემებზე ისაუბრებენ. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ვილაც ამას მიხვდება, შესაძლოა უკვე გვიან იყოს. არაპროფესიონალიზმისა და დილეტანტიზმის გამოვლინებაა ის, რაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ფუნქციების გადანაწილებასთან დაკავშირებით ხდება. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან — ნაპირსამაგრი სამუშაოები ინფრასტრუქტურის სამინისტროს შემადგენლობაში გადადის. ამას წინათ მე და გიორგი თარგამაძე საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხაში ვიყავით, სადაც მოსახლეობამ გვაჩვენა მდინარე, რომელზეც იყო ხიდი. ეს ხიდი აკავშირებდა 10 თუ 20 თემს საჩხერის ცენტრთან. ეს ხიდი ჩანგრეულია. რა მოხდა? ამოიღეს ინერტული მასალები ისე, რომ გარკვეული პირობები არ გაითვალისწინეს და გზა გააკეთეს, სამაგიეროდ, მოვარდნილმა მდინარემ ხიდი წაიღო. დაზიანდა გარემო და დაზარალდა მოსახლეობა, რომელიც ახლა 25 კილომეტრის მოშორებით დადის, რათა ცენტში მივიდეს, მაშინ როდესაც მდინარეზე გადასვლა და ცენტრში მისვლა მარტივად შეიძლებოდა. ამ ყველაფერს გაუაზრებელი სახე აქვს. ეს გააკეთეს დილეტანტებმა. იმაზე არავის უფიქრია ახსნას, რატომ იქნება უკეთესი ახლებურად გადანაწილებელი ფუნქციები, ვიდრე ახლაა. საქართველოში უამრავი ჭკვიანი სპეციალისტია და არავის ჰკითხეს. როგორც კი მთავრობას აზრად მოუვიდა, რომ ამ სამინისტროს რეორგანიზაცია უნდა მოხდეს, იმ მომენტიდან უნდა დაეძახათ სპეციალისტებისთვის და მათი მოსაზრებები მოესმინათ.

***— ასე არ მოხდა?***

— არა. ეს არ გააკეთეს და პირდაპირ გამოაცხადეს, რომ პარლამენტმა სამინისტროს რეორგანიზაციის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

***— თუმცა, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რე-***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ხელისუფლებას დასავლეთი მხარს აღარ დაუჭერს

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ექსპერტ სოსო ცისკარიშვილთან

***— ბატონო სოსო, საზოგადოების დიდი ნაწილი რევოლუციის მოლოდინშია, ოპოზიციის ლიდერებისგან კი ისმის ასეთი განცხადებები, რომ სააკაშვილს რევოლუციის გარეშე ვერ მოვიშორებთო. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— ყოველ შემთხვევაში, რევოლუციისთვის მზადების რაიმე ნიშანს საქართველოში ვერ ვატყობ, ვერც პოლიტიკურ ძალებს და ვერც მოსახლეობას, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი მიზეზი არ არსებობს. უფრო ოპტიმისტური გახდა ულტრარადიკალური ნაწილი საზოგადოების, მას შემდეგ, რაც თვალს ადევნებს არაბულ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ ვიდრე ზეობს ჩვენს საზოგადოებაში გენეტიკური სურვილი, რომ ჩვენი საქმე სხვამ გააკეთოს, ნაკლებად დამაჯერებელია რაიმე შედეგიანი რევოლუციის წარმოშობა ქვეყანაში. ჩვენ მუდმივად პატრონის ძიებაში ვართ. უფრო მეტი მოლოდინია, რომ როგორც მოიყვანეს პრეზიდენტი საზღვარგარეთიდან, ასევე წაიყვანს ის საზღვარგარეთი. თუმცა, მოვლენები გვიჩვენებს საკმაოდ მაღალი დამაჯერებლობით, რომ არავითარი რჩევის მოსმენის სურვილი ჩვენს ხელისუფლებას აღარ აქვს ოკეანის გაღმა-გამოღმიდან. თავად ის ფაქტი, რომ თუ როგორ ასრულებენ პრაქტიკულად ყველა დასავლელი კოლეგის რჩევას, იგივე მედიის თავისუფლების გამყარებისთვის ქვეყანაში, ყველაზე კარგად მეტყველებს ის ფაქტი, რომ როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, სტუმრად ჩადის გორში და გამოდის ტელეკომპანია თრიალეთით, შემდეგ რამდენიმე დღეში ამ ტელეკომპანიას თიშავენ ამ სამაუწყებლო ბადიდან და სრულიად აგდებულ პასუხს სცემენ კითხვაზე, თუ რატომ არ გადის თრიალეთი ეთერში. თურმე ტექნიკური პრობლემები წარმოიშვა. კითხვაზე, თუ რა ხარვეზი აქვთ, მათ პასუხი არ აქვთ. ეს არის პირდაპირი ალიყური ამერიკის ელჩისთვის, რომელსაც არ მოერიდა ჩვენი ხელისუფლება. მით უმეტეს, საქმე რომ შეეხოს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობების დათმობას, რასაკვირველია, არავინ არავის რჩევას არ გაითვალისწინებს. საკითხი ალბათ დაისმება ასე — გადავრჩებით მუბარაქის მაგალითით, თუ გავასწრებთ ლიბიელ კადაფის.

***— როგორ ფიქრობთ, ჩვენს ხელისუფლებას აღარ აქვს დასავლეთის მხარდაჭერის იმედი?***

— ისე, როგორც იქცევა, რასაკვირველია, მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. დასავლეთმა მკაფიოდ გაარჩია ერთმანეთისგან ქართველი ხალხი და ქვეყნის ხელისუფლება და სრულიად ცხადია მათთვის, რომ მონაწილეობს ანტიკორუფციულ ოპერაციაში, ავლანეთში, არა საქართველოს ხელისუფლება, არამედ ქართველი ხალხი. ამერიკის ხელისუფლებამ ისიც გააცნობიერა თუ რა წილია საკუთარი პასუხისმგებლობის იმ პროცესებში, რაც მიმდინარეობს არაბულ ქვეყნებში და სრულიად მკაფიო და დროულიო ვერ ვიტყვი, მაგრამ სწრაფი რეაგირება მაინც მოახდინა სიტუაციაზე და არა ორაზროვნად დაუჭირა მხარი ყველა ქვეყანაში, სახალხო საპროტესტო გამოსვლებს. რადგან ისედაც საკმაო მერყევი იყო პოპულარობა ამერიკის შეერთებული შტატებისა ამ ქვეყანაში და დიქტატორების ღია მხარდაჭერა იქნებოდა მომაკვდინებელი მათივე ინტერესებისთვის ამ რეგიონში.

***— რა პროცესებს უნდა ველოდოთ ჩვენს ქვეყანაში?***

— არ ვიცი, ყველა ზამთარი ხელიდან შემოგვეცლება ხოლმე გაზაფხულის ლოდინში, ზაფხულში გავიტრუნებით შემოდგომის ლოდინში. ამ წელიწადის დროების შეცვლას არავინ არ აპირებს და ისე ვართ შეჩვეულნი გაზაფხულის და შემოდგომის ლოდინს, რომ ბოლოს რატომ ველოდებოდით, გვავიწყდება ხოლმე. ვნახოთ, დიდი ალბათობით ამ გაზაფხულზეც დაგვავიწყდება, რატომ ველოდებოდით მას, თუმცა, შემოდგომამდე დიდი დროა და უფრო რეალური სიახლეები შემოდგომისკენ ელოდება საქართველოს.

***— საკმაოდ მძიმე სოციალური ფონია და რამდენად გამოუვა ხელისუფლებას ამ 20 და 30-ლარიანი ვაუჩერებით საზოგადოების დამშვიდება?***

— ეს არის საკმაოდ დანაღმული ძღვენი და მიგვანიშნებს იმაზე, რომ უაღრესად პრიმიტიულ არსებებად წარმოუდგენია საკუთარი მოსახლეობა ხელისუფლებას. 50 ლარის გასროლა თითოეული მოქალაქის მიმართულებით ისე, რომ არაფერი შემცირდეს იმ გადასახადებიდან რეალურად, რომელიც ასე მძიმე ვითარებაში აყენებს ხალხს, ნიშნავს, რომ გულის გასახეთქი კიდევ ბევრი აქვს ხელისუფლებას ჩვენი მოსახლეობისთვის.

***— ზოგი ფიქრობს, ამ ნაბიჯით ხელისუფლება მომხრეებსაც გაიჩენსო...***

— მომხრეებს გაიჩენს ზუსტად იმდენს, რამდენსაც 30 ლარი აძლობს ერთჯერადი საკვების მიღებით. როგორც კი მეორედ დადგება შიმშილის გრძნობა, იქვე იკარგება ასეთი მომხრეები. ეს ხდებოდა ყოველთვის არჩევნების წინ, ისინი აღწევდნენ შედეგს. თუ სადღაც გაზაფხულზე აპირებენ რაიმე რიგგარეშე არჩევნებს, მაშინ კიდევ შეიძლება, რომ შედეგიანი იყოს მათთვის 50 მილიონის ჰაერში გატყორცნა ინფლაციის მძვინვარების პირობებში.

***— სხვათა შორის, ბევრს საუბრობენ ვადამდელ არჩევნებზე...***

— ამ საუბარს საფუძვლად ალბათ ის უდევს, რომ დღევანდელ ხელისუფლებას უბრალოდ არა აქვს რაიმე გამოცდილება მორიგი არჩევნების ჩატარებისა, ანუ დათქმულ დროს არჩევნების ჩატარებისა. ვარდების რევოლუცია ისე დაიწყო რიგგარეშე არჩევნებით, როგორც მიმდინარეობს მთელი მისი ქმედება და არც ერთი წინასწარ დანიშნული არჩევნები არ ჩატარებულა თავის დროს. ცხადია, მოლოდინიც უპირველეს ყოვლისა ამ გამოცდილებას ემყარება.

***— ასევე საუბარია იმის შესახებ, რომ სააკაშვილი საკუთარი გუნდის ტყვეობაშია და ასე მარტივად არ დაათმობინებენ ხელისუფლებას, სააკაშვილი მათი მილიარდების გარანტიაო...***

— ესეც ჩვენს გამოცდილებას ემყარება, რადგან წინა პრეზიდენტი მშვიდად არსებობს თბილისის პირობებში, თუ შეიძლება ამას სიმშვიდე ეწოდოს, ყოველ შემთხვევაში, არავინ არ დასდევს მას. ხოლო მისი გარემოცვის გამორჩეული მეხოტბენი რევოლუციისთანავე დაიკარგნენ საქართველოდან და ზოგი ინტერპოლის ძებნილთა სიაშია, ზოგი, როგორც ჩანს, რაღაც არხებით ახერხებს, რომ გამოისყიდოს თავი და შემდეგ დაავიწყებინოს. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ გავლენა ძლიერდებოდეს პრეზიდენტზე, რადგან სულაც არ არის გასაკვირი, ის, რასაც აპატიებენ პრეზიდენტს, აღარ ეპატიება მის ირგვლივ შემოკრებილ ადამიანთა იმ ჯგუფს, ვისაც ასე მიუძღვის ბრალი ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებაში.

***— საუბარია, რომ მმართველ პარტიაში დიდი სამზადისია, ითქვა ისიც, რომ ახალი პოლიტიკური პარტია იქმნება, როგორ ფიქრობთ, ეს ახალი გუნდი ხომ არ ფიქრობს სააკაშვილის ჩანაცვლებას?***

— თეორიულად როგორც კი მმართველ პარტიაში იწყება რაიმე ახალი ფრაქციის ან მით უმეტეს პარტიის ჩამოყალიბების თაობაზე საუბარი, ცხადია ასეთი სიახლე გულისხმობს სწორედ ხელისუფლების ჩანაცვლების სურვილს. უკანასკნელ წლებში ჩვენ ორჯერ ვიყავით მომსწრე ძალისმიერი დაპირისპირებისა მმართველ პარტიაში, განურჩევლად იმისა, იყო ეს სისხლიანი თუ უსისხლო და ასე მოხდა პირველი და მეორე პრეზიდენტის წასვლა ხელისუფლებიდან. თუ ამ შემთხვევაში არის რაიმე მზაობა იმისთვის, რომ მშვიდობიანად, ყოველგვარი ძალადობის გარეშე მოხდეს ჩანაცვლება ხელისუფლების, იმავე წყაროში წარმოშობილი ძალით, ეს რასაკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ არა მგონია, რომ თავად მმართველი გუნდის წევრთა სიხარბემ დაუშვას ის, რომ ვიღაცა მათ შორის იყოს გამორჩეული და დამრჩენი ხელისუფლებაში, ხოლო თავად იქიდან უნდა გაშორდნენ პოლიტიკურ პერსპექტივას. ამ შემთხვევაში პოლიტიკური დაპირისპირება მაინც ცხადი გახდება, რასაც არა მგონია პოლიტიკური შედეგის მოტანა შეეძლოს რომელიმე ახალი წარმონაქმნისთვის იმავე პარტიის. თუმცა, რასაკვირველია, ასეთი პოტენციალი გააჩნია მმართველ პარტიას, აქვს მიზეზებიც აზრთა სხვაობის და ეს თავისთავად საინტერესო პოლიტიკური პროცესია და თუ ეს წარიმართა ჯანმრთელ საფუძველზე, მას შეიძლება სერიოზული პერსპექტივაც ჰქონდეს.



### საქართველოში რევოლუციური სამზადისი არ ჩანს

***— რამდენად მარტივად დაუთმობს სააკაშვილი სავარძელს, ესეც საკითხავია...***

— მე არა მგონია, რომ სააკაშვილი სცენარის ამ გზით განვითარებისას, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, საკუთარ თავს მიიჩნევდეს პენსიონერად, მაგრამ სწორედ საკუთარი გარემოცვის იმ ნაწილისგან გათავისუფლება სამომავლოდ, რომელიც, მისი აზრით, უკვე დისკრედიტირების მიზეზია საკუთარი ლიდერის, ამ შემთხვევაში შეიძლება ვიხილოთ რაიმე სიახლეები, მაგრამ გულწრფელობის ხარისხი თუ არ იქნა დამაჯერებელი საზოგადოებისთვის, ასეთ პოლიტიკურ ძალასაც, დემოკრატიული პრინციპების დაცვის შემთხვევაში, გაუჭირდება ძალაუფლების შენარჩუნება.

***— სააკაშვილმა პრემიერობა რომ მოინდომოს, ალბათ არ უნდა ჰქონდეს დასავლეთის მხარდაჭერის იმედი?***

— ძირითადი აქცენტი კეთდება პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაუშვებლობაზე დასავლეთში, თუმცა, მე მგონი, სრული სიმშვიდე იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც დადგება შესაძლებლობა, პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლის დაკავების. ცხადია, ვერავინ წინსწრებად ვერ აუკრძალავს ქართულ პოლიტიკას, რომ უმალ გასწორდეს ისევ კონსტიტუცია და პრეზიდენტის უფლებამოსილების სერიოზული ნაწილი გადაეცეს ისევ პარლამენტს და მივიღოთ ისევ ლიდერი, განურჩევლად იმისა, რომელ თანამდებობაზეა, განურჩევლად იმისა, დამოკიდებულება კონსტიტუციის მიმართ აქვს საკუთარ უბის წიგნაკთან, როდესაც უნდა და რასაც უნდა მაშინ, რომ წერს შიგნით.

***— არჩევნებამდეც არ დარჩა დიდი დრო და ვნახოთ, რას მოიმოქმედებს ჩვენი ხელისუფლება...***

— ჯერჯერობით ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბიომეტრიულ ფოტოებზე უარის თქმით ხელისუფლება საბოლოოდ ადასტურებს საკუთარ მოუმზადებლობას დემოკრატიული არჩევნებისთვის და ოპოზიციამ კიდევ ერთხელ დაკარგა დრო, როცა 6 თვის განმავლობაში, მხოლოდ ამბის მოყოლას მოუნდა ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის თუ როგორი არჩევნების ჩატარება სურთ.

# უმრავლესობაში დიდი გადაადგილებები დაიწყო

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***სურსების კომიტეტში ექსპერტები და გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ და მათ თავიანთი პოზიციები გამოხატეს.***

— სანამ ეს საკითხი პარლამენტში გავიდოდა, წინა დღეს კომიტეტში მოხდა ექსპერტებთან შეხვედრა, რაც ქულების ჩაწერა იყო, ვითომ ექსპერტებთან ერთად აზრი შეაჯერეს. არავითარი აზრი არ შეუჯერებიათ. დაცული ტერიტორიები აღარ გადადის ეკონომიკის სამინისტროში და ისევ გარემოს დაცვის სამინისტროს რჩება. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ საკმარისი არ არის. გარემოს დაცვის სამინისტროსგან მხოლოდ აზრა არ უნდა დარჩეს. იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ დავალაგოთ სატყეოში პრობლემები, როგორ ვაქციოთ გარემოს დაცვის ინსპექცია მართლა ინსპექციად და არა პოლიციად. გარემოს დაცვის ინსპექცია იმათ კი არ უნდა დასდევდეს, ვინ გამოიტანა ტყიდან ფიჩხი, არამედ, ინსპექტირებას უნდა აწარმოებდნენ, რომ ადამიანებს საშუალება მიეცეთ, ლეგალურად მოიპოვონ შეშა თუ ფიჩხი.

***— გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის საკითხზე დაწყებული დავა უმრავლესობაში უკმაყოფილოთა რიცხვს ხომ არ გაზრდის?***



— მე ღიად ვუთხარი გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, რომ როდესაც გარემოს დაცვის სამინისტროსგან აზრა დარჩება, პრაქტიკულად, პარლამენტში გარემოს დაცვის კომიტეტი დარჩება.

***— ხომ არ დაგება საპარლამენტო კომიტეტის გაუქმების საკითხი?***

— ერთადერთი, რის გამოც გარემოს დაცვის სამინისტროს მთლიანად არ აუქმებენ და აზრას ტოვებენ, არის ის, რომ საერთაშორისო ვალდებულები გვაქვს — გარემოს დაცვის სფეროში უნდა არსებობდეს სტრუქტურა. ამიტომაც ვერ აუქმებენ სამინისტროს, თორემ დიდი სიამოვნებით გააუქმებდნენ. თუ აზრად დარჩება გარემოს დაცვის სამინისტრო, ე.ი. გარემოს დაცვის კომიტეტიც აზრად დარჩება. ეს არ უნდა უნდოდეთ ამ კომიტეტის წევრებს.

***— ამის გამო უმრავლესობაში რაიმე დაპირისპირება მოსალოდნელია?***

— მე ამას მივესალმები, თუმცა, არა მგონია, ნაციონალური მოძრაობის წევრებმა რაიმე განსხვავებული და საწინააღმდეგო აზრი დააფიქსირონ ხმამაღლა. თუ ისინი გაბედავენ და იტყვიან, რომ ასეთი დილეტანტური გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლება, ეს მხოლოდ მისასალმებელი იქნება.

***— 2011 წელს ნაციონალური მოძრაობის შიგნით რაიმე უთანხმოება მოსალოდნელია?***

— ნაციონალურ მოძრაობაში დაპირისპირება უკვე არის, თუნდაც ის, რომ ერთი კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს, რომ პრემიერ-მინისტრმა აბსურდი თქვა და შეცდომები დაუშვა, ეს, გარკვეულწილად, სიმპტომატური მაჩვენებელია, რომ სხვაგვარად მოაზროვნეები ნაციონალურ მოძრაობაში არიან. ის, რომ პოსტსააკაშვილისეული პერიოდისთვის ნელნელა, მაგრამ მზადება მიდის, კარგად ჩანს.

***— ეს რაში ჩანს?***

— მიხეილ სააკაშვილი ჯერჯერობით ვერ განაცხადებს, რომ ის აღარ იქნება პრემიერ-მინისტრი. როგორც კი ამას განაცხადებს, ის დაემართება, რაც შევარდნაძეს დაემართა 2001 წელს, როდესაც თავისი გუნდი განუდგა და ყველაფერი რევოლუციამდე მივიდა.

***— მიხეილ სააკაშვილი ღიად არც იმას ამბობს, რომ პრემიერმინისტრობა სურს...***

— ეჭვი არ მეპარება, რომ მიხეილ სააკაშვილს ძალიან უნდა პრემიერმინისტრობა, მაგრამ მისი სურვილი არანაირად არ მოდის შესაბამისობაში ქართველი ხალხის სურვილთან.

***— ბოლო პერიოდში იმასაც ამბობენ, რომ მიხეილ სააკაშვილს პარლამენტის თავმჯდომარეობა სურს და არა პრემიერობა. ამაზე რას იტყვით?***

— პარლამენტის თავმჯდომარეობის შემთხვევაში სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტიდან უნდა გადადგეს, საპარლამენტო სიაში პირველ ნომრად ჩაეწეროს. ამას ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობა მოჰყვება. ძალიან სერიოზული არევა იქნება ამ მიმართულებით.

***— ამას არ გააკეთებენ?***

— ეჭვი მეპარება, რომ ეს გარისკონ და ამხელა აჯაფსანდალის კეთება დაიწყონ, რადგან ამ აჯაფსანდალში შეიძლება თვითონ გაიჭედონ.

***— მთავრობაში რა დაჯგუფებები გამოიკვეთება?***

— ჯერჯერობით არის ორი ყველაზე ძლევამოსილი მინისტრის გუნდი: შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებისა. ზოგი მინისტრი ერთისკენ არის გადანაწილებული, ზოგი — მეორისკენ. ასევე ნაწილდებიან საპარლამენტო უმრავლესობის წევრები.

***— ვინ ვისკენ არის?***

— ახლა სახელებსა და გვარებს არ დავასახელებ, რომელი დეპუტატი რომელ გუნდშია, რადგან ამასთან დაკავშირებით რაიმე ოფიციალური საბუთი არ არსებობს, მაგრამ უმრავლესობაში ეს გადანაწილება შეინიშნება.

***— მთავრობაში ისეთი მინისტრებიც ხომ არიან, რომლებიც არც ერთ გუნდში არ მოიაზრებიან და ნეიტრალურები არიან?***

— ასეთად დიმიტრი შაშკინი შეიძლება მოვიაზროთ, რომელიც პირდაპირ პრეზიდენტის მიერ არის ხელდასხმული. სხვანაირად ვერ ავხსნი მის მიერ ჩატარებული რეფორმების შედეგად გამოწვეული ამდენი პრობლემის ვითომ არარსებობას. ჩანს, რომ მას პრეზიდენტის ზურგი აქვს.

# პოლიცია მხოლოდ ერთი პარტიის უფლებებს არ უნდა იცავდეს!




რამდენი იხარჯება მათ შენახვაზე, არავინ იცის



შორენა გონგლა ე

ოპოზიცია გამუდმებით იმაზე ჩივის, რომ პოლიცია არა ქვეყნის, არამედ ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს იცავს. პოლიციის კანონში შეტანილი ცვლილებების გამო თითქმის ყველა ოპოზიციურმა პარტიამ გამოთქვა აღშფოთება. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით კმაყოფილნი არც „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოა".

— კანონმდებლობაში შეტანილია ცვლილებები, რომლებიც ემსახურება არა ადამიანის, საზოგადოებისა და ქვეყნის, არამედ რეჟიმის უსაფრთხოებას. დღეს სამართალდამცავი სტრუქტურები იქცნენ პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტად და გამოიყენება მოსახლეობაში შიშის დათესვის მიზნით; პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით მასობრივად გამოიყენება ნარკოტიკებისა და იარაღის ჩადება და პოლიციისადმი ვითომდა დაუმორჩილებლობა, ტოტალური ხასიათი აქვს მიღებული უკანონო მოსმენებს, დანერგილია დანაშაულის ფაქტებზე შერჩევითი რეაგირების პრაქტიკა, — მიიჩნევს პარტიის მთავარი საბჭოს წევრი მანანა სალუქვაძე.

მისი განცხადებით, სამართალდამცავი სისტემის ბიუჯეტი გაუმჭვირვალეა და მოქალაქეების ფული იხარჯება რეჟიმის გახანგრძლივებაზე და არა მოქალაქეების უსაფრთხოებაზე.

— საგულისხმოა ის ფაქტი, რომ, 2005 წელთან შედარებით, 2011 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს დამტკიცებული ბიუჯეტი 3-ჯერ არის გაზრდილი და 566 მილიონ ლარს შეადგენს. ეს მაშინ, როდესაც 2011 წელს დამტკიცებული ბიუჯეტით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის განკუთვნილია 69 მილიონ 154 ათასი ლარი; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის — 73 მილიონ 236 ათასი ლარი; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის — 53,000 მილიონი ლარი; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთვის — 27 მილიონ 208 ათასი ლარი; საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის — 35 მილიონი ლარი; — ამბობს სალუქვაძე.

ის არ იზიარებს ხელისუფლების პრეტენზიებს იმასთან დაკავშირებით, რომ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ოპოზიციას საკუთარი ხედვა არ გააჩნია. ის ხელისუფლებას შეახსენებს, რომ დემოკრატიული მოძრაობისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ ერთობლივად შემუშავებულია „ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია".

— ამ დოკუმენტში მკაფიოდ არის ნათქვამი, თუ როგორი უნდა იყოს დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიცია და სპეცსამსახურები და რა ნაბიჯები უნდა იქნეს გადადგმული არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართალდამცავი სისტემისა და სპეცსამსახურების დანიშნულება უნდა იყოს სახელმწიფოსა და მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სპეცსამსახურები მოწოდებულნი უნდა იყვნენ, მოახდინონ ეროვნული უშიშროების საფრთხეების იდენტიფიცირება, პროგნოზირება და მონაწილეობა მიიღონ მათ ნეიტრალიზებაში, — ამბობს სალუქვაძე.

მისი თქმით, აუცილებელია დღევანდელი სახით წარმოდგენილი მონოპოლისტის — შსს-ს დემონტაჟი ასევე სპეცსამსახურებისა და პოლიციური სტრუქტურების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

დემოკრატიულ მოძრაობაში თვლიან, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში სპეცსამსახურები (დაზვერვა და კონტრდაზვერვა) თავისუფალნი უნდა იყვნენ პოლიციური და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციებისგან.

პარტიაში მიაჩნიათ, რომ უნდა გაუქმდეს საბჭოთა სუკის გადმონაშთი —□ ყოფილი მეხუთე სამმართველო, რომლის მემკვიდრე დღეს არის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, იგივე საიდუმლო პოლიტიკური პოლიცია.

— თავიდან არის გასატარებელი ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმა, კადრების ოპტიმიზაცია და პროფესიული სტანდარტების დანერგვა. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ის გამოცდილი და კვალიფიცირებული კადრები, რომლებსაც არ აქვთ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული, აუცილებლად უნდა დარჩნენ თავიანთ თანამდებობებზე. უნდა შეიქმნას კადრების შერჩევის, შესწავლის, მომზადების, აღზრდისა და სამსახურის გავლის გასაგები და გამჭვირვალე სისტემა; სპეცსამსახურებში უნდა დაინერგოს რანგირების სისტემა, — აღნიშნავს სალუქვაძე.

მისი განცხადებით, საკადრო სისტემა უნდა ეფუძნებოდეს არა პოლიტიკური კუთვნილებისა და პირადი ერთგულების, არამედ პროფესიონალიზმისა და კანონმორჩილების პრინციპს. ამ სისტემის ასამოქმედებლად კი, სალუქვაძის თქმით, აუცილებელია სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლი.

— სპეცსამსახურები და სამართალდამცავი ორგანოები ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ საზოგადოების წინაშე, რაც გულისხმობს მათი საქმიანობის გამჭვირვალობას და მასზე სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლის დაწესებას, — მიიჩნევს დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელი.

სამოქალაქო დემოკრატიულმა კონტროლმა, მისი თქმით, უნდა უზრუნველყოს: კანონის დაცვა სამართალდამცავი და სპეცსამსახურების მხრიდან; კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

მისი თქმით, დემოკრატიულ მოძრაობას შემუშავებული აქვს მთელი რიგი პროგრამები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო დემოკრატიული გზით წავიდეს.

— დემოკრატიულ მოძრაობას ქვეყნის განვითარების სტრატეგიული გეგმა-პროგრამები შემუშავებული გვაქვს ყველა ძირითადი მიმართულებით. ჩვენ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში საკუთარ თავზე ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ საქართველო აუცილებლად განვითარდება რეალურად დემოკრატიული გზით, — ამბობს დემოკრატიული მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრი.

## დღეს ყველიერის მარხვა იწყება

დღეიდან ყველიერის მარხვა იწყება. ამ კვირის განმავლობაში მორწმუნეებს მხოლოდ რძისა და კვერცხის ნაწარმის მიღება შეეძლებათ. ყველიერის კვირით მთავრდება სამზადისი დიდი მარხვისთვის.

ყველიერის კვირის განმავლობაში მორწმუნეებმა ოთხშაბათს და პარასკევს დილასა და საღამოს წმინდა ეფრემ ასურის სპეციალური მოკლე ლოცვა უნდა წაიკითხონ.

წელს ყველიერის კვირა 28 თებერვლიდან 6 მარტის ჩათვლით იქნება.

ყველიერის კვირის ბოლო დღეს მართლმადიდებელი ეკლესია შენდობის ანუ მიტევების დღეს აღნიშნავს. ამ დღეს ადამიანები ერთმანეთს ცოდვებს შეუნდობენ.

ყველიერის კვირის შემდეგ, 7 მარტიდან დიდმარხვა იწყება.

დიდმარხვა უფლის ბრწყინვალე აღდგომით 24 აპრილს დასრულდება.

**მედიანიუსი**

## ძლიერმა ქარმა იმერეთის მაღალმთიანი სოფლები ელექტროენერგიის გარეშე დატოვა

ძლიერი ქარის გამო პრობლემები შეექმნა იმერეთის მაღალმთიან სოფლებს. შაბათს საჩხერის, ჭიათურისა და ტყიბულის რამდენიმე სოფელში სადენების დაზიანების გამო ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა. თუმცა, როგორც ,,მედიანიუსს" იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან აცნობეს, დღეისათვის ელექტროენერგია უკვე აღუდგა ტყიბულისა და ჭიათურის სოფლებს. პრობლემა რჩება მხოლოდ საჩხერის ერთ სოფელში, სადაც უკვე მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები და მოსახლეობას იქ ელექტროენერგია დღის ბოლოსთვის აღუდგება.

გარდა ამისა, ძლიერმა ქარმა პრობლემები შეუქმნა ქუთაისსაც. სტიქიამ შვიდ საცხოვრებელ სახლსა და ცხრა კორპუსს სახურავი ახადა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

იმერეთში სტიქიისგან მიყენებულ ზარალს ითვლიან. **მედიანიუსი**

# ხელისუფლებამ ოპოზიციის გაღიზიანება უნდა შეწყვიტოს!

შორენა გონგლა ე

## ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს" ლიდერ გიორგი ლაღიძესთან

***— ბატონო გიორგი, ექსპერტების მტკიცებით, მსოფლიოში არსებული დაძაბული ვითარება საქართველოზეც აისახება. ამას მოწმობს ბოლო დღეებში გამოქვეყნებული კვლევის შედეგები, სადაც საქართველო მე-18 ადგილზეა იმ ქვეყნებს შორის, სადაც შეიძლება, მსგავსი რამ მოხდეს. თქვენ თუ ხედავთ ამის საშიშროებას?***

— ბოლო პერიოდის განმავლობაში ძალიან აქტიურად ვითარდება პროცესები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, რაც ძირითადად გამოწვეულია სოციალური ფონის დამძიმებით. ეს ყველაფერი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამოძახილია. ეს პროცესები, რა თქმა უნდა, გაგრძელდება, რაც მსოფლიოს სერიოზული გამოცდის წინაშე დააყენებს. ამ პროცესების მიღმა მე არც საქართველოს გამოვრიცხავ, ვინაიდან ჩვენთანაც ძალიან დამძიმდა სოციალური ფონი, რაც შესაძლოა გახდეს საფუძველი მსგავსი გამოსვლებისა. განსაკუთრებით მოიმატა ბოლო პერიოდში ფასებმა კვების პროდუქტებზე, რაც ქმნის ნოყიერ ნიადაგს იმისათვის, რომ საზოგადოება გამოვიდეს ქუჩაში. მაშინ როდესაც არ იმატებს პენსიები, არ იმატებს ხელფასები და სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი რჩება სამუშაოს გარეშე, კიდევ ერთხელ არის იმის ალბათობა, რომ გაძვირდება მუნიციპალური ტრანსპორტი. პრაქტიკულად, ადამიანებს არ უტოვებენ სხვა გზას, გარდა იმისა, რომ ისინი გამოვიდნენ ქუჩაში და ამ გზით გააპროტესტონ ხელისუფლების ეს ქმედება.

***— რამდენიმე დღის წინ საპროტესტო გამოსვლა მოაწყვეს სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა. რამდენად სამართლიანი იყო მათი ბრალდებები ხელისუფლების მიმართ?***

— მე ვფიქრობ, რომ მძღოლების როგორც მოთხოვნა, ასევე მათ მიერ წაყენებული ბრალდება სრულიად სამართლიანია. ჩვენ მათ ვუცხადებთ სოლიდარობას. ჩვენ ამ ადამიანების გვერდით ვართ. არ შეიძლება, ხელისუფლებამ საკუთარ მოქალაქეებს მოუსპოს არსებობის საშუალება. კარგად გვახსოვს გასული ზაფხულის მოვლენები, როდესაც ხელისუფლებამ დაიწყო გარემოვაჭრეების დაწიოკება, ძალიან ბევრი ადამიანი მაშინ ულუკმაპუროდ დარჩა. ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს ამჯერადაც საქმე. მათ უკან დგანან მრავალსულიანი ოჯახები, რომლებსაც ელემენტარულად უნდათ არსებობა, რის საშუალებასაც უსპობს ხელისუფლება თავისი ქმედებით. ხელისუფლება ამ ქმედებით თავისდაუნებურად უბიძგებს ადამიანებს, გამოვიდენ ქუჩაში და, რითი დამთავრდება ეს ყველაფერი, ამის ძალიან ცუდ შედეგებს ალბათ ნახავს თავად ხელისფლება. არ შეიძლება, ხელისუფლებამ კიდევ უფრო გაზარდოს გადასახადები იმ ფონზე, როდესაც კიდევ უფრო მცირდება მოსახლეობის შემოსავლები. ეს ძალიან ცუდია და, აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ნამდვილად სამართლიანია სამარშრუტო ტაქსების მძღოლების მოთხოვნა. ხელისუფლება ხშირად იშველიებს იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში კრიზისია, რაც თავისთავად იწვევს ფასების მომატებას როგორც კვების პროდუქტებზე, ასევე სხვა მოხმარების საგნებზე. მაგრამ, ავიღოთ შაქარი. ის უფრო იაფია სომხეთში, ვიდრე საქართველოში. არ მესმის, რატომ უნდა იყოს ასე. ეს პირდაპირ მეტყველებს იმაზე, რომ ხშირ შემთხვევაში ფასები ხელოვნურად არის გაზრდილი. იგივე შეიძლება ითქვას მედიკამენტებზეც. ამ შემთხვევაშიც ფასები ხელოვნურად არის გაზრდილი და ხელისუფლებას აზრადაც კი არ მოსვლია, რომ ფასები დააბალანსოს. უმჯობესია, ოპოზიციამ ასეთ თემებზე იმუშაოს და საზოგადოებას დავანახვოთ, რომ ჩვენ მათზე ვზრუნავთ და მათი ინტერესებიდან გამოვდივართ. ხელისუფლება ვალდებულია, გაითვალისწინოს მათი პრეტენზიები. რაც შეეხება ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს, რომელთა მიმართაც მძღოლებს აქვთ სერიოზული პრეტენზიები, ვფიქრობ, რომ ხელისუფლება ვალდებულია, გაერკვეს ამ პრობლემაში და სამართლიანად გადაწყვიტოს. ვინ დგას ამ ყველაფრის უკან, ჩემთვის ნამდვილად უცნობია, მაგრამ ერთი ფაქტია, რომ ვერ გააკეთებ ბიზნესს, თუ ეს არ ხდება ვიღაცის ხელდასმით. ამ ყველაფერში ნამდვილად არის სიმართლის მარცვალი. ხელისუფლება უნდა მოვიდეს გონს და შეწყვიტოს ისედაც გალატაკებული ადამიანების შევიწროება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი მას ბუმერანგივით დაუბრუნდება უკან.

***— მძღოლები აპირებენ საპროტესტო აქციების დაწყებას. თუ შეუერთებით მათ პროტესტს?***

— მე აღვნიშნე, რომ ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ამ ადამიანებს, ვინაიდან მათი მოთხოვნა სრულიად ლეგიტიმურია. თუ ეს აქციები გაგრძელდება, ამაზე ვიმსჯელებთ და, არ არის გამორიცხული, მათ აქციებს შევუერთდეთ. არ მინდა, ვინმემ გაიგოს ისე, რომ ჩვენ ამ ადამიანების ხარჯზე შევეცდებით ქულების დაწერას, როგორც ეს ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მხრიდან ხდება ხოლმე. ასე ნამდვილად არ მოხდება. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, პოლიტიკური ძალები ჩამოშორდნენ ამ აქციებს და ისე უფრო რეალურ შედეგამდე მივა ეს აქციები, ვიდრე იმ ფონზე, როდესაც მათ გვერდს პოლიტიკოსები უმშვენებენ.

***— პოლიტიკოსების მხარდაჭერის გარეშე რაღაც შედეგის მიღწევა გაჭირდება, თანაც ასეთი „გემრიელი ლუკმის" ხელიდან გაშვებაც ალბათ გაუჭირდება ოპოზიციას...***

— გასული წლების აქციებს თუ გავიხსენებთ, ის აქციები ჩიხში შეიყვანეს იმ ვაიოპოზიციონერებმა, რომლებიც ამ აქციებს ედგნენ სათავეში და მართავდნენ. თუნდაც მაშინ იმ პროცესებში ნაკლებად რომ ეაქტიურა ოპოზიციას, დარწმუნებული ვარ, საზოგადოებაში გამოიკვეთებოდა ძალა და შედეგიც გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ვიდრე დღეს არის. მე არ მომწონს, როდესაც ადამიანთა რომელიმე ჯგუფი აპროტესტებს რაღაც საკითხს და იქ სასწრაფოდ გაჩნდება ისეთი ოპოზიციური ძალა, რომელსაც საზოგადოების თვალში იმიჯი აქვს შელახული. ვაღიაროთ, რომ დღეს ოპოზიციის სანდოობის რეიტინგი ნულამდეა დასული. ოპოზიციამ საზოგადოებას უნდა მისცეს საკუთარი ძალების რეალიზაციის საშუალება. მოდით, გავიხსენოთ დევნილთა აქციები, რომლებიც რამდენიმე თვის წინ იმართებოდა. ყველამ კარგად დაინახა, რომ ამ აქციებმა შედეგი ვერ გამოიღო. უმჯობესი იქნება, პოლიტიკოსები გავდგეთ განზე და მოსახლეობას მივცეთ პროტესტის რეალიზაციის საშუალება. საზოგადოებამ თავად უნდა დაანახოს თავისი ძალა ხელისუფლებას. ორი დღის წინ გამოქვეყ-



ნდა კვლევის შედეგები და საქართველო აღმოჩნდა მე-18 ადგილზე იმ ქვეყნებს შორის, სადაც მოსახლეობა განწყობილია ამბოხისთვის. მე ვფიქრობ, ეს კვლევა რეალობასთან მაინცდამაინც არ არის ახლოს, მაგრამ საქართველოში ამ თვალსაზრისით ნამდვილად მძიმეა მდგომარეობა. ხალხში უკმაყოფილება ნამდვილად დიდია, მაგრამ, რა დროს აენთება ეს ნაპერწკალი, ხელისუფლება ვერ განსაზღვრავს და ალბათ პროცესების შეჩერება ძალიან გაუჭირდება. არ არის გამორიცხული, რომ პროცესები გახდეს უმართავი. აქედან გამომდინარე, მეტი კეთილგონიერება მართებს ხელისუფლებას, რათა საზოგადოება ისე არ გააღიზიანოს, რომ მათ მოუწიოთ სკამების დატოვება. მიუხედავად ამ მძიმე სოციალური ფონისა, რაც საქართველოშია შექმნილი, დღეს ნამდვილად არ სჭირდება რევოლუცია და რეალობა არის ის, რომ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია. ამიტომ ეს კარგად უნდა გააცნობიეროს პირველ რიგში ხელისუფლებამ, რათა არ გააღიზიანოს საზოგადოება ისე, რომ დაიწყოს არეულობა. ამ შემთხვევაში გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ოპოზიციამაც.

# ლესია უკრაინკას საიუბილეო გამოფენა დაიხურა

ეკა ირემაშვილი

გამოჩენილი უკრაინელი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ლესია უკრაინკას (ლარისა კოსაჩის) დაბადებიდან 140 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა სახელწოდებით „ლესია უკრაინკა და საქართველო“ დაიხურა. ექსპოზიციის დახურვამდე იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში მიმდინარე ამ იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა მიხაილო გრუშევსკის სახელობის 41-ე საჯარო სკოლის მე-6-9 კლასის მოსწავლეებმა დაათვალიერეს.

გამოფენა საქართველოს ეროვნული არქივისა და საქართველოში უკრაინის საელჩოს ორგანიზებით ჩატარდა. მასზე წარმოდგენილი იყო ლესია უკრაინკას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოები და წერილობითი დოკუმენტები, რომლებიც დაცულია უკრაინის საელჩოში და საქართველოს ეროვნულ საარქივო ფონდში. ექსპოზიცია მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძემ, ეროვნული არქივის გენერალური დირექტორმა თეონა იაშვილმა და უკრაინის ელჩმა საქართველოში ვასილი ციბენკომ გახსნეს.

— ეს ღონისძიება კიდევ ერთი დასტურია ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობისა. ლესია უკრაინკა საქართველოში 10 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რაც ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. ის საქართველოში გარდაიცვალა. ჩვენი ქვეყანა მისთვის მეორე სამშობლო იყო, — განაცხადა იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძემ.

გამოფენის გახსნაზე უკრაინული ხალხური სიმღერები შეასრულეს ლესია უკრაინკას სახელობის ქვემო ქართლის უკრაინელების ასოციაციის ანსამბლმა „ჩორნობროვცმა“, საქართველოში მცხოვრებ უკრაინელთა ასოციაციის გუნდმა „იუნოსტმა“ და საქართველოში უკრაინელების ასოციაცია „რუშნიკის“ კვარტეტმა „სმერეკამ“.

— უკრაინის საელჩოსა და ეროვნული არქივი ორგანიზებული გამოფენა ასახავს ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და მოღვაწეობას როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში, მის მრავალფეროვან შემოქმედებით ცხოვრებასა და მეგობრობას ქართველ ხალხთან, — აღნიშნა გამოფენის გახსნაზე ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა თეონა იაშვილმა.

ლესია უკრაინკას ცხოვრება და შემოქმედებითი გზა უწყვეტად უკავშირდება საქართველოს. აქ პოეტი პერიოდულად 10 წლის მანძილზე ცხოვრობდა და მუშაობდა. ბათუმში, თბილისში, თელავში, ხონში, ქუთაისში ცხოვრებისას მან საუკეთესო დრამატული ნაწარმოებები შექმნა — „ტყის ზღაპარი“, „ქვის ბატონი“, „რუფინი და პრისცილა“.

— მე რომ არ დავბადებულიყავი უკრაინელად, ქართველობას ვისურვებდი — ეს სიტყვები ლესია უკრაინკას ეკუთვნის. მოხარული ვარ, რომ მისი დაბადებიდან 140 წლის იუბილეს ასეთი გამოფენა მიეძღვნა, — განაცხადა უკრაინის ელჩმა საქართველოში ვასილი ციბენკომ.

ლესია უკრაინკა საქართველოდან თავის ოჯახის წევრებს სწერდა: „ასეთი საინტერესო, განსაცვიფრებელი მხარე — საქართველო! შეუძლებელია იცხოვრო ასეთ მშვენიერ მხარეში და არ იყო პოეტი. მე დიდ მსგავსებას ვხედავ ჩემს სამშობლოსა და საქართველოს შორის. როცა ალაზნის ხეობას ვუყურებ, დნეპრის სანაპირო მახსენდება...“

პოეტის ცხოვრებაც საქართველოში დასრულდა — ის დაბა სურამში 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. ლესია უკრაინკა საქართველოსა და უკრაინის ისტორიული ურთიერთობის სიმბოლოდ იქცა და მუდმივად იქნება ორი ერის მეგობრული კავშირის საფუძველი.

გამოფენა პირველია იმ მრავალ ღონისძიებათა შორის, რომელიც უკრაინელი პოეტის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოში 2011 წელს გაიმართება. ეროვნული არქივი და რეჟისორი გიორგი კაკაბაძე, უკრაინის საელჩოსთან ერთად, გეგმავენ დოკუმენტური ფილმის გადაღებას ლესია უკრაინკას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ფილმზე მუშაობა უახლოეს მომავალში დაიწყება.

# გიზო ჟორდანიას რუსთაველის თეატრში შეხვდებიან

ეკა ირემაშვილი

28 თებერვალს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე



ცნობილ ქართველ რეჟისორ გიზო ჟორდანიასთან შეხვედრა გაიმართება.

როგორც რუსთაველის თეატრში „ახალ თაობას“ განუცხადეს, რეჟისორთან შეხვედრაზე მოხვედრის მსურველთათვის დასწრება აბსოლუტურად თავისუფალია.

— ეს არის ტრადიციული ორშაბათის შეხვედრები რუსთაველის თეატრში, რომელიც ჩვენი თეატრის ერთგვარი ტრადიციაა. ის იმართება თვეში ერთხელ და მასპინძლობს მაყურებლისთვის საყვარელ და გამორჩეულ პიროვნებებს. ამჯერად არჩევანი შევაჩერეთ ბატონ გიზო ჟორდანიაზე. ამ შეხვედრის ინიციატორი კი ია შერაზადაშვილია.

თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ ბატონმა გიზომ ნაყოფიერად იმუშავა რუსთველის თეატრში, ოპერისა და ბალეტის თეატრში, მარჯანიშვილის თეატრში, გრიბოედოვის თეატრში, მუსიკისა და დრამის თეატრში, ბათუმის დრამატულ თეატრში, სოხუმის თეატრში, ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ავტორების პიესებზე ათეულობით სპექტაკლი დადგა.

ბატონმა გიზომ საქართველოს სახელი საზღვარგარეთაც გაიტანა. გერმანიის ქალაქ ზაარბრიუკენში საქართველოს კულტურის დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ბატონი გიზოს მიერ დადგმული წარმოდგენებით გაიხსნა და დაიხურა. მან იმუშავა ქალაქ ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც განახორციელა ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“, კიშინიოვის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში კი — ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“.

ბატონი გიზო აქტიურ პედაგოგიურ და რეჟისორულ საქმიანობას ეწევა. მთლიანობაში მას დადგმული აქვს 100-ზე მეტი სპექტაკლი, 70-ზე მეტი შოუ და სახალხო დღესასწაული როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

**ია შერაზადაშვილი, პროექტის ავტორი:**

— ეს არის ტრადიციული ორშაბათის შეხვედრები რუსთაველის თეატრში, რომელიც ჩემი პროექტია. ამჯერად ჩვენ შევარჩიეთ ბატონი გიზო ჟორდანია, რომელსაც საკმაოდ საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრების გზა აქვს გავლილი. რუსთაველის თეატრში ექსპერიმენტულ სცენაზე გაიმართება ინტერაქტიული საუბარი. ბატონი გიზო უპასუხებს ყველა იმ შეკითხვას, რომელსაც მაყურებელი დაუსვამს. პირადად მეც მაქვს რამდენიმე შეკითხვა მომზადებული. საუბრების გარდა, შეხვედრაზე მოსული მაყურებლისთვის ნაჩვენები იქნება კოლაჟი ვიდეოარქივიდან, რომელიც ბატონი გიზოს შემოქმედებას შეეხება. თავად ბატონი გიზო ამ შეხვედრისთვის მზად არის. ის გაიხსენებს საუკეთესო მომენტებს თავისი ცხოვრებიდან, თანაც ძალიან მხიარული ადამიანი და საინტერესო მოსაუბრეა. იმედს ვიტოვებ, რომ შეხვედრაზე მოსული მაყურებელი კმაყოფილი დარჩება.

# თბილისში მოდის მესამე კვირეული ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

საქართველო რიგით მესამე მოდის კვირეულისთვის ემზადება. 31 მარტიდან 3 აპრილამდე „ჯორჯიან ფეშენ გრუპის“ ორგანიზებით რუსთაველის თეატრში 2012 წლის შემოდგომა-ზამთრის უახლესი კოლექციები იქნება წარმოდგენილი.

საქართველოს მოდის კვირეულში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი დიზაინერები. შემოდგომა-ზამთრის კოლექციებს მოდის მოყვარულ საზოგადოებას 16 ქართველი და 3 უცხოელი დიზაინერი წარუდგენს. მოდის კვირეულს თავისი კოსტიუმების გამოფენით ცნობილი ფრანგი კოლექციონერი ბასტიენ დე ალმეირა გახსნის.

უცხოელი დიზაინერების გარდა, საქართველოს მოდის კვირეულს მსოფლიო მოდის სფეროში მოღვაწე მოდის კრიტიკოსები, პროფესიონალები, მსოფლიოში ცნობილი გამოცემების ჟურნალისტები, რედაქტორები, პიარ-მენეჯერები და დიზაინერები ეწვევიან.

საქართველოს მოდის კვირეული პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლის მაკა მეტრეველისა და მისი მეგობრების ორგანიზებით წელს უკვე მესამედ იმართება. პროექტის ფარგლებში ჩატარდება მოდის შესახებ მოკლემეტრაჟიანი ფილმების ერთდღიანი ფესტივალი, რომელსაც ცნოიბილი ჟურნალისტი და მოდის სფეროს ბლოგერი დაიან პერნე წარმოადგენს.

— საქართველოს მოდის კვირეულის ორგანიზატორების ანუ ჩვენი მიზანია ქართული მოდისა და კულტურის მეშვეობით ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაცია და ინტეგრაცია მის საზღვრებს გარეთ. ჩვენი უდიდესი სურვილია მოდის ინდუსტრიის განვითარება, ქართველი დიზაინერების ხელშეწყობა და საქართველოში მოდის ინდუსტრიის ჩამოყალიბების მაქსიმალური მხარდაჭერა, — განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს მოდის კვირეულის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ციცი იაშვილმა.

სპეციალურად ჟურნალისტებისთვის გამართულ შეხვედრაზე საქართველოს მოდის კვირეულის ორგანიზატორებმა კვირეულში მონაწილე დიზაინერებზე, მათ ვინაობასა და კოლექციების ჩვენების თანმიმდევრობაზე დაწვრილებით ისაუბრეს.

— მოლოდინი დიდია. ქართველი დიზაინერები უკვე გამალებულ მზადებაში არიან. ჩვენ არ გვინდა, ყველა დეტალი გავახმაუროთ, რადგან ბევრი სიურპრიზი გამოგვივა მოდის მოყვარულებისთვის, — განმარტა ციცი იაშვილმა.

საქართველოს მოდის კვირეული თბილისში პირველად 2010 წლის მარტსა და ოქტომბერში ჩატარდა, სადაც, შესააბმისად, გაზაფხული-ზაფხულისა და შემოდგომა-ზამთრის კოლექციები იყო წარმოდგენილი.

ქართული მოდის კვირეულს, მისი ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, აქვს ახალი ლოგო, რაც „ჯორჯიან ფეშენ გრუპის“ რებრენდინგის შედეგია.

# გორის თეატრში გრანდიოზული აქცია იწყება

ეკა ირემაშვილი

28 თებერვალს გორის დრამატულ თეატრში ფესტივალი იწყება, რომელშიც სრულიად საქართველოს თეატრები არიან გაერთიანებული. „თეატრი თეატრისათვის“ — ასეთია ფესტივალის დევიზი.

ფესტივალი „თეატრი თეატრისთვის“ გორის თეატრის დიდი დარბაზის აღდგენისთვის ტარდება. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი სოსო ნემსაძე აცხადებს, რომ დიდი დარბაზის ჭერი მეტრ-ნახევარზეა ჩამოწოლილი და მას სასწრაფო დახმარება სჭირდება. ამჯერად გორის თეატრი სპექტაკლებს მცირე სცენაზე მართავს.

გორის თეატრის დასახმარებლად გამართულ ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს 14 თეატრის დასი. 28 თებერვალს ფესტივალს გახსნის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი. 2 მარტს გორის თეატრის დასახმარებლად ახმეტელის თეატრი გამართავს სპექტაკლს. 5 და 6 მარტს გორის თეატრი თავად შესთავაზებს სპექტაკლს მაყურებელს და წარმოადგენს პრემიერას „ყოფილების სარეცელი“. ამ სპექტაკლს ირაკლი სამსონაძის პიესის მიხედვით რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი დგამს და მასში თაკო აბაშიძე და გიორგი რევაზაშვილი მონაწილეობენ. 10 მარტს გორში ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრი ჩავა, 12 მარტს — რუსთაველის თეატრი. 13 მარტს ფესტივალში სოხუმის თეატრი ჩაერთვება, 16 მარტს მათ ცხინვალის თეატრი შეუერთდება. 18 მარტს გორში სამეფო უბნის თეატრის დასს ელოდებიან, 19 მარტს — პანტომიმის თეატრს. 20 მარტს დანარჩენ თეატრალურ დასებს მოზარდ მაყურებელთა თეატრი ჩაანაცვლებს, ხოლო 23 მარტს — მესხეთის თეატრი. 24 მარტს საკუთარი რეპერტუარიდან სპექტაკლს შეარჩევს და გორელ მაყურებელს წარუდგენს თავისუფალი თეატრი, 26 მარტს კი — მუსკომედიის თეატრი. ფესტივალი „თეატრი თეატრისთვის“ 27 მარტს დაიხურება. საფინალო სპექტაკლს გორის თეატრში მარჯანიშვილის თეატრი ითამაშებს.

გორის თეატრის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა **თაკო აბაშიძემ** გვითხრა:

— ერთი თვის მანძილზე გორის თეატრი უმასპინძლებს თეატრებს საქართველოს ყველა კუთხიდან. შემოსული თანხები მთლიანად მოხმარდება გორის თეატრის რეაბილიტაციას.

— ***ვინ მიიღებს მონაწილეობას ამ ფესტივალში?***

— ფესტივალში მონაწილეობას მთელი საქართველოს თეატრები მიიღებენ. ამ ფესტივალში თვითონ გორის თეატრიც ჩაერთვება. 5 და 6 მარტს შედგება საფესტივალო და საპრემიერო ჩვენება ირაკლი სამსონაძის პიესისა „ყოფილების სარეცელი“, რომელსაც რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი დგამს. პიესა ორკაციანია და მასში მთავარ როლებს მე და გიორგი რევაზაშვილი ვთამაშობთ.

# კალიგრაფიის კონკურსში ემიგრანტი ქართველებიც ჩაერთვნენ

ეკა ირემაშვილი

ქართული კალიგრაფიის კონკურსში საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებიც აქტიურად ჩაერთვნენ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დიასპორის საკითხებში უკვე მიიღო ქართველი ემიგრანტების საკონკურსო ნამუშევრები. კალიგრაფიის კონკურსში უცხოეთში მყოფი ქართველები წელს პირველად მონაწილეობენ.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე დიასპორის საკითხებში ირაკლი ნადირაძე ეწვია. მან ცენტრის წარმომადგენლებს კალიგრაფიის კონკურსში მონაწილე უცხოეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ნამუშევრები გადასცა.

კალიგრაფიის კონკურსი უკვე მეორე წელია ტარდება. მისი ორგანიზატორები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და არასამთავრობო ორგანიზაცია „წამი“ არიან. პროექტში აქტიურად არის ჩართული დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიც. ქართული კალიგრაფიის კონკურსი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტარდება.

პროექტის მიზანი ხელით წერის კულტურის განვითარება და კონკურსანტების შემოქმედებითი უნარის წარმოჩენაა. მასში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე სტუდენტებს, მაგისტრანტებს, ზრდასრულ ადამიანებსა და უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს. ყველა კონკურსანტს სამი ეტაპის გავლა მოუწევს. ფინალში შერჩეულ კონკურენტთა ნამუშევრებს შორის საუკეთესოებს კომპეტენტური ჟიური გამოავლენს, რომელიც პროფესიონალი სპეციალისტებით იქნება დაკომპლექტებული.

წელს კალიგრაფიის კონკურსში მონაწილეობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ესტონეთში, საბერძნეთში, ირანში, თურქეთში, უზბეკეთსა და რუსეთში მცხოვრები ქართველები მიიღებენ. გამარჯვებულ კონკურსანტთა ნამუშევრები კალენდრის სახით გამოიცემა, მთელი წლის განმავლობაში კი საუკეთესო კალიგრაფისტების ნამუშევრებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გამოფენენ. პირველ სამ საპრიზო ადგილზე გასულ კონკურსანტებს ორგანიზატორები და სპონსორი კომპანიები ფულადი და ძვირფასი საჩუქრებით დააჯილდოებენ.

# ნინო ანანიაშვილი იტალიის პრეზიდენტმა ორდენით დააჯილდოვა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ადანის „ჟიზელი“ და ჩაიკოვსკის „გედების ტბა“.

ტაივანში დაგეგმილ საგასტროლო სპექტაკლებზე მთავარ პარტიებს დასის სოლისტებთან ერთად პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი ცეკვავს. მსოფლიო საბალეტო ვარსკვლავების გამოსვლები ჩვენს მოცეკვავეებთან ერთად ტრადიციად იქცა, ამიტომ ქართულ საბალეტო დასთან ერთად გასტროლებში მონაწილეობენ ინგლისის სამეფო ბალეტის პრემიერი დავით მახათელი და მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი კარიმ აბდულინი.

გასტროლები ტაივანის რამდენიმე ქალაქშია დაგეგმილი — ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი სპექტაკლებს ტაოუანში, ტაიპეიში და იუნლინში მართავს. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი თბილისში 14 მარტს დაბრუნდება, ნინო ანანიაშვილის დაჯილდოების ცერემონიალი კი 16 მარტს თბილისში გაიმართება.

ირაკლი ლომოური

# მკვლელობა ოპერის თეატრში

*(ციკლიდან „კერძო დეტექტივი ელისაბედ ჩერქეზიშვილი – ელისაგატა“)*

***ჰოლმსმა შენიშნა: „გამოცდილი კაცი ვარ და ვიცი, ქალური ინტუიცია ზოგჯერ ყველანაირ ლოგიკურ დასკვნებზე უფრო ფასეულია“. არტურ კონან-დოილი, „კაცი გახლეჩილი ტუჩით“***

ელისაბედ ჩერქეზიშვილის, იგივე ელისაგატას, — როგორც უახლოესი მეგობრები ეძახიან, რადგან აგატა კრისტის დიდი მოყვარული ბრძანდება ბავშვობიდან, — კერძო დეტექტიურ სააგენტოში თითქმის ერთი წელი იყო უკვე, რაც ოფიციალურად ვმუშაობდი „უოტსონად“. (ანუ დეტექტივის თანაშემწედ, მარტივად რომ გითხრათ.)

...სადარბაზოს კარზე ზანზალაკი აწკარუნდა. გავედი, ადრეული სტუმარი (ან იქნებ, კლიენტიც კი?) რომ შემომეყვანა, — ელისი ჯერაც თავს იწესრიგებდა, გვიან გაეღვიძა, გუშინ ერთობ „ბობოქარი“ დღე, უფრო სწორად, დღე-ღამე გვქონდა, თავისი ჯიბიდან სროლითა და ხელჩართული ბრძოლით: ამერიკელი პროფესორი სპირიტუსი გამოვიხსენით ტყვეობიდან...

კარი გავაღე — ზღურბლზე შუახნის, ტანდაბალი, უბრალო შესახედაობის, შეიძლება ითქვას, სულაც უშნო, თუმცა კი მაინც რაღაცით საინტერესო გარეგნობის შუახნის ქალბატონი იდგა. სადად, მაგრამ გემოვნებით ეცვა. ქალმა მომცრო ბარათი გამომიწოდა და მორიდებით მკითხა:

— ეს,.. დიდი ბოდიში,.. უკაცრავად,.. თქვენა ხართ?

ბარათს დავხედე. ჩვენი სარეკლამო ლიფლეტი აღმოჩნდა:

„ელისაბედ ჩერქეზიშვილის კერძო დეტექტური სააგენტო „აგატა“ გთავაზობთ ყველა სახის პრივატულ გამოძიებასა და ანალიტიკურ კონსულტაციას. უახლესი ელექტრონული აღჭურვილობა, მაღალი კლასის პროფესიონალები, საერთაშორისო კონტაქტები, ასპროცენტიანი გარანტია. კონფიდენციალობა დაცულია. მისამართი: სოლოლაკი, ბიეთის ქ. 39, მე-3 სართ; ტელ. 998 007; მობ. 895 998 007; ელ.ფოსტა: elisagata@yahoo.com“

— დიახ, ჩვენა ვართ... — ვეუბნები, — მე დეტექტიდის თანაშემწე ვარ, გედი გედევანიშვილი. მობრძანდით...

ქალბატონს პალტოს გახდაში შევეშველე (ლამისაა იუცხოვა, ესოდენ გალანტურ მოპყრობას, ეტყობა, არ იყო ჩვეული) და ელისაგატას კაბინეტში შევიყვანე. ზღურბლზე წამით შედგა. მიმოიხედა. მივხვდი, — ოთხმეტრიან ჭერამდე აზიდულმა წიგნის თაროებმა, შავი ტყავის ღრმა, მასიურმა, ალაგ-ალაგ გაცრეცილმა სავარძლებმა, გამჭვარტლულმა მასიურმა ბუხარმა, მუხის ხის ვეება საწერმა მაგიდამ, კედელზე გაკრულმა უზარმაზარმა სპარსულმა ხალიჩამ, ძველებური ხმალ-ხანჯლით დახუნძლულმა, შთაბეჭდილება მოახდინა.

— ელისი ეხლავე შემოვა, — ვეუბნები, — დაბრძანდით, ქალბატონო.

— გმადლობთ.

სკამის კიდეზე ჩამოჯდა, თუმც კი სავარძელიც იქვე იდგა. სწორედ ამ დროს ოთახში ელისაგატაც გამოჩნდა. გახეხილ ჯინსებში, ბოტასებსა და გრძელსახელოებიან სპორტულ მაისურში გამოწყობილი, ცოტა არ იყოს, აბეზარ, აწოწილ თინეიჯერს ჩამოჰგავდა, უნისექსის სტილში რომაა გადაწყვეტილი, ვერც კი მიხვდები უცებ — ბიჭია თუ გოგო?

— გამარჯობა, — სტუმარს შორიდან მიესალმა და მაგიდას მიუჯდა, — გისმენთ, ქალბატონო...

— ეე,.. თქვენა ხართ ელისაბედ ჩერქეზიშვილი?! — ქალი აშკარად განცვიფრებული იყო და ამის დაფარავას არც კი ცდილობდა.

— დიახ, მე ვარ, გისმენთ... — მშვიდად, მოთმინებით მიუგო.

— ჰოო... — ჩაილაპარაკა ქალმა და ამოიოხრა (მომეჩვენა, თითქოს ადგომა და წასვლა დააპირა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა), — ქალბატონო ელისაბედ... იქნება დამეხმაროთ... როგორმე...

— დიახ, გისმენთ, ქალბატონო, უკაცრავად, თქვენი სახელი?

— რუსიკო... რუსუდან რუსია... თქვენზე ნანოსგან ვიცი, ნანიტაშვილისგან, კინოსტუდიის სტილისტის როა,... თქვენი ბარათიც იმან მომცა... ყვებოდა, როგორ დაეხმარეთ იმათ მთავარ რეჟისორს, როცა,..

— აა, შეგდებული სცენარის ამბავი. — გააწყვეტინა ელისმა, — გასაგებია. და რა პრობლემა გაქვთ, ქალბატონო რუსუდან? ოღონდ, გთხოვთ, გულახდილად...

— გულახდილობის გარდა, სხვა არც არაფერი დამრჩენია... — ქალმა კიდევ ერთხელ ამოიოხრა, ამჯერად თითქოს უფრო დაჟინებით, — გუშინ ოპერაში რა მოხდა, გაიგეთ?!

— არა. და რა მოხდა?

— არა?! — ქალბატონი კვლავ განცვიფრდა, — მთელი ქალაქი მაგაზე ლაპარაკობს!.. აი, ჩართეთ ტელევიზორი!.. საინფორმაციო იწყება ზუსტად ეხლა....

და საათზე დაიხედა. ელისმა მომცრო ტელევიზორს, თაროზე წიგნებს შორის რომ უდგას, დისტანციური პულტი ულაპარაკოდ მიუშვირა,... საინფორმაციო გამოშვება უკვე დაწყებულიყო. სწორედ ოპერაში მომხდარის შესახებ ლაპარაკობდნენ. ინფორმაცია მართლაც რომ დამაინტრიგებლად, არა, სულაც, სენსაციურად ჟღერდა.

თურმე წინა საღამოს თბილისის საოპერო თეატრში „კლეოპატრას“ პრემიერა გამართულა. ეს ჯუზეპე ვერდის ყველაზე მონუმენტური, მაგრამ რატომღაც ყველაზე ნაკლებპოპულარული, თითქმისდა მივიწყებული („უსამართლოდ მივიწყებული“ — როგორც დიქტორმა აღნიშნა) ოპერა ყოფილა. მთავარ პარტიას ადელაიდა პატაშური, ჩვენი ოპერის წამყვანი მეცო-სოპრანო, ასრულებდა. ყველაფერი თავის წესითა და რიგით მიდიოდაო, მაგრამ როცა სპექტაკლი კულმინაციას მიუახლოვდა, — კლეოპატრა თავს იკლავს, ამფორაში ჩაყოფს ხელს, სადაც შხამიანი გველი ჰყავს დამწყვდეული და თავს აკბენინებს, — სცენაზე მართლაც წარმოუდგენელი ტრაგედია დატრიალებულა: ადელაიდამ კლეოპატრას სიკვდილისწინა არია თურმე ბრწყინვალედ, არაჩვეულებრივი გზნება-აღმაფრენით შეასრულა, ეგვიპტური იეროგლიფებით მოხატულ მოზრდილ თიხის ჭურჭელს ხუფი ახადა, შიგ ხელი ჩაყო, როგორღაც მეტისმეტად ნატურალურად შეჰკივლა და უსულოდ დაეცა — ქოთანს გადაემხო.... ჭურჭელი წაიქცა, გაგორდა, შემაღლებიდან ჩამოვარდა და დაიმსხვრა — უეცრად თიხის ნატეხებიდან სცენაზე ვეება უხსენებელი, ცოცხალი ასპიტი (?!) გამოჩნდა... წამით გაირინდა (ეტყობა, სინათლემ თუ დააბრმავა), შემდეგ კი რამპისკენ ენერგიული, კლაკნილი მოძრაობით გასრიალდა!

სცენაზე, ბუნებრიავია, პანიკა ატყდა — ასევე, ცხადია, დარბაზშიც... ვინ საით გარბოდა, ვინ რას ყვიროდა თუ ჭყიოდა, არავინ უწყის. ცოტაც და ლამისაა ორმეტრიანი გველი სცენიდან პირდაპირ ორკესტრანტებში გადაეშვებოდა (რომლებიც თავიდან ვერც კი მიმხვდარან, რა ხდებოდა — ადგილებზე ისხდნენ და გაოცებულები აქეთ—იქით აცეცებდნენ თვალებს), მაგრამ, მუსიკოსთა ბედზე, არ დაბნეულა მარკუს ანტონიუსი (დრამატული ტენორი მალხაზ ხარისჭირაშვილი), რომელმაც ეტყობა ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქიდან შემორჩენილი მოზრდილი ცეცხლსაქრობი (ე.წ. „აგნეტუშიტელი“) ჩამოგლიჯა კედლიდან კულისებში, სცენაზე გავარდა და უხსენებელს თავში სდრუზა. გველი გაითიშა. ცეცხლსაქრობი დარტყმისგან ამოქმედდა, თუმცაღა ქაფის მაგიერ მხოლოდ რაღაც ჟანგიანი, მყრალი სითხე წამოწანწკარებულა. სპექტაკლი, ბუნებრივია, ჩაიშალა.

„საიდან გაჩნდა ოპერის სცენაზე ცოცხალი გიურზა?!“ — დიქტორმა სიუჟეტი სრულიად მოულოდნელად რიტორიკული კითხვით დაასრულა, — „ნუთუ ჩვენი საზოგადოება იმდენად გაიჟღინთა შხამითა და გესლით, რომ წარმოსახვითი თუ ბუტაფორული უხსენებლი უკვე თავისით ცოცხლდება?!“ — მერე კი ერთობ დამაიმედებლად დაამატა, — „ჯერჯერობით არავინ დაუკავებით, გამოძიება მიმდინარეობს...“

მოკლედ, აი, ასეთი გასაშტერებელი, დაუჯერებელი, ტრაგიკული (თუ ტრაგი-კომიკური?) ამბავი მომხდარა წინა საღამოს ოპერის თეატრში.

ჩვენ კიდევ, არაფერი ვიცოდით. ასე ვთქვათ, ჭურში ვისხედით. თუმცა რა გასაკვირია — გუშინდელმა დღემ ისე გამოგვფიტა და გამოგვწურა, ტელევიზორის ყურების კი არა, ტელეფონით ლაპარაკის თავიც კი აღარ გვქონდა. შინ დავბრუნდით თუ არა, დავეგდეთ, ტელეფონები გავთიშეთ და დავიძინეთ... მოკლედ, ქალბატონ რუსუდანისა ლამისაა შემრცხვა. მაგარი დეტექტივები ვართ! ქალაქში რა სენსაციიაა, არც გავგიგია!

ელისმა ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა, ტელევიზორი გამორთო და ქალს მიუბრუნდა:

— და თქვენ რა კავშირი გაქვთ ამ ყველაფერთან, ქალბატონო რუსუდან?

— ეეჰ, სწორედაც რომ პირდაპირი კავშირი, — ამოიოხრა, — უკვე ოცი წელია ოპერაში ვმუშაობ, რაც მთავარია, ადელაიდას პირადი სტილისტი ვარ,.. ვიყავი...

— მერე რა? — ვერ მოვითმინე და საუბარში ჩავერთე, — თქვენზე რატომ უნდა მიიტანონ ეჭვი? თქვენ რა შუაში ხართ?.. რისი გეშინიათ?

— ეეჰ,.. — უკვე მერამდენედ ამოიოხრა ქალმა და თავი გააქნია, — მოგიყვებით ყველაფერს, ოღონდ დამეხმარეთ. როგორმე მიშველეთ!

ხმა გაებზარა. „ეხლა ტირილი არ დაიწყოს“, გამიელვა, მაგრამ რუსუდან რუსიამ თავი შეკავა, მხოლოდ ცხვირი გააქსუტუნა, სკამზე გასწორდა, გვკითხა:

— ეე,.. შეიძლება მოვწიო?

— დიახ, რა თქმა უნდა, — უპასუხა ელისაგამ. წამოვდექი, საფერფლე სტუმარს საჟურნალო მაგიდაზე დავუდგი. ქალმა ჩანთიდან სიგარეტი და სანთებელა ამოიღო. მეთქი, ისევ გამოვიჩენ გალანტურობას, ცეცხლს მივუმარჯვებ, მაგრამ ვერ მოვასწარი, სანთებელა მოულოდნელად სწრაფად გააჩხაკუნა, სიგარეტი გააბოლა, ღრმად დაქაჩა, კვამლი შეისუნთქა და ბოლქვებად ამოუშვა (სხვათა შორის, სიგარეტი სრულიად არ უხდებოდა). ენერგიულად, უფრო სწორად, მკვირცხლად ალაპარაკდა:

— მე დამბრალდება, ვიცი, ვიცი, დამაბრალებენ და დამიჭერენ, ციხეში გამიშვებენ ჩემი ახალგაზრდობის შეცდომის გამო, ერთი შეცდომის გამო, ერთხელ მივქარე ცხოვრებაში, ერთადერთხელ, გეფიცებით. სულმა წამძლია. მაგრამ ჩემი ძმისთვის მინდოდა, ჩემთვის კი არა!

— თუ შეიძლება, დალაგებით მოგვიყევით.

— კარგით, კარგით. სულ თავიდან დავიწყებ. ჰოო... ადრე დავობლდი, დედ-მამა ავტოკატასტროფაში დამეღუპა. დავრჩით მე და ჩემი ორი პატარა ძმა. მე გავზარდე ორივე, მაგათ შევწირე ჩემი ცხოვრება. არადა მსახიობობაზე ვოცნებობდი, მაგრამ, კომუნისტების დროს, აბა, პროტექციის გარეშე ვინ მიგიღებდა თეატრალურში. თანაც ოჯახი მყავდა სარჩენი, ძმები გასაზრდელი. ჰოდა, კარის მეზობელმა, დეიდა ვენერამ, კეთილი ქალი იყო, საწყალი, ღმერთმა აცხონოს, მირჩია, წამოდი, დალაქობას მაინც გასწავლიო. სალონის გამგე იყო, ქალთა საპარიკმახეროსი. ეს ჯერ კიდევ ბრეჟნევის დროა. თუ გინდაო, თანაც აბარე მაგ შენს სამსახიობოზე, მოხვედები, ხომ კარგი, ვერ მოხვდები და, პროფესია მაინც შეგრჩება ხელშიო, ლუკმაპურს გაჭმევთო. მეც დავუჯერე, ვისწავლე. მერე კინოსტუდიაშიც მომაწყო, ნაცნობობით. მსახიობებსა ვკრეჭდი, ნაჩოსებსა და პრიჩოსებს ვუკეთებდი. მოდა იყო ეგეთი, ბულულივით ედგათ თმები. ადელაიდაც იქ გავიცანი. რაღაც მუსიკალურ ფილმში იღებდნენ. „“ჩანჩქერის სიმფონია“... თუ „რაფსოდია“...

— მახსოვს, კი. — ჩავურთე, — .ნაღდი ქართული „ჰოლივუდია“.

— ადელაიდამ მერე ოპერაში წამიყვანა თავისთან სამუშაოდ, — გააგრძელა ქალმა, — მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდა... მოკლედ, ნატურაზე გვქონდა გადაღებები, მთაში. რაჭაში. ადელაიდა ჩანჩქერის ფერიას თამაშობდა. მაშინ ჯერ კიდევ გამხადარი გოგო ეთქმოდა. თითქმისდა განხდარი...

— უკაცრავად, ქალბატონო რუსუდან, — გააწყვეტინა ელისმა, — რასაც ახლა გვიყვებით, გუშინდელთან არის კავშირში?

— სწორედაც რომ პირდაპირ კავშირშია, — მიუგო ქალმა და იმავე წამს თავში ხელი შემოირტყა, — არა, რას ვამბობ, არავითარ კავშირში არაა! არ გეგონოთ! უდანაშაულო ვარ, ადელაიდა არ მომიკლავს! არ მომიკლავს!

— და ვინ გაბრალებთ? — ვეკითხები გაოცებული.

— დამაბრალებენ, — კი არ ამოიოხრა, ლამისაა ამოიკვნესა, — აი, მომისმინეთ და მიხვდებით!

სიგარეტის ახალი ღერი ამოიღო კოლოფიდან (ამჯერად მოვასწარი და სანთებელა ავუნთე). თავი დამიქნია მადლობის ნიშნად, ცალყბად გამიღიმა, — ოქროს კბილი გამოუჩნდა, — და მძიმედ დაიწყო, თითქმისდა ყრუდ თუ დაგუდულად:

— რაჭაში ვიყავით გადაღებებზე. ონში ვცხოვრობდით, სასტუმროში. ეგეთი მშვიდი და წყნარი ქალაქი არ მინახავს. ძაღლებიც კი არა ყეფენ და არ დარბიან, დინჯად დაიარებიან. თუმცა, მშვიდი და წყნარი მანამდე იყო, სანამ ჩვენ ჩავიდოდით. ანკი რა გასაკვირია, ახალგაზრდები ვიყავით, სიცოცხლე გვიხაროდა, სისხლი გვიდუღდა, ასე ვთქვათ. ერთი ჟრიამული გვქონდა. ოღონდ ადელაიდა მაინც ცალკე იყო, თავს არ გვიყადრებდა, აქაოდა ოპერის პრიმა-მომღერალი ვარო! — ქალმა მწარედ ჩაიცინასავით.

— პირველივე დღეს თაყვანისმცემელი გამოუჩნდა, რაიკომის პირველი მდივანი. ცოლ-შვილიანი კაცი იყო, შუახნის, მაგრამ ადელაიდაზე გაგიჟდა უცებ... გადაირია. ჰოდა, იმის ხათრითა თუ პატივისცემით ლამისაა ყოველ დღე გვაქეიფებდნენ რესტორანში. ჩვენც მეტი რა გვინდოდა? ეჰ, ის პერიოდი მახსოვს როგორც ჩემი ცხოვრების უბედნიერესი ხანა. მაგრამ ასეთი პერიოდები დიდხანს არ გრძელდება ხოლმე... — ქალმა სიგარეტი ჩააქრო, წამით დადუმდა, საფეთქელი წრიული მოძრაობით დაიზილა, მერე ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო, — არადა პირველი შემთხვევა იყო ჩემს ცხოვრებაში, როცა ძმების დარდი თითქმის აღარა მქონდა: ერთი ორწლიან ჯარში იყო, ოღონდ საქართველოში, კარგ ადგილას, ქუთაისში, მეორე კი, სტუდენტი, ზოოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიციაში... ბედნიერი ვიყავი-მეთქი, რომ ვთქვი, კი არ ვაჭარბებ. გადაღებებზე ერთი ბიჭი მომეწონა ძალიან, ოპერატორის ასისტენტი, კარგი ბიჭი იყო, საწყალი, წესიერი, მხიარული... იმასაც მოვეწონე, ვგრძნობდი... თითქმის შეყვარებული ვიყავი. ოცნებაში კოშკებს ვაგებდი. და უცებ ჩემი ძმა მირეკავს (ონში როცა ჩავედით, ქუთაისში, სამხედრო ნაწილში დავრეკე, ერთი ჩვენი თანასოფლელი მსახურობდა ოფიცრად.

გაგრძელება შემდეგ ნომერში


## განცხადებები

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერბშტადტი“. ფასი შეთანხმებით. ტელ: თენგიზი; 899-97-37-72 ნარგიზი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

ნათელმხილველი
მანანა
იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბაიაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება. მიღება წინასწარი შეთანხმებით.
მის: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6.
ტელ: 897-29-27-50.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.




ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.
დარეკეთ!
მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607
ახალი ქსელები 700 608
გაერთიანებული ტელეკომი 608 608
ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები
(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).
ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

# რატომ სდევნიან ადვოკატებს

შორენა კოწოწაშვილი

**ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი ზაზა ხატიაშვილი ყურადღებას ადვოკატთა წინააღმდეგ მიმდინარე მიზანმიმართულ კამპანიაზე ამახვილებს და ხელისუფლებას მოუწოდებს, უარი თქვას ისეთი პროფესიის დისკრედიტება-შევიწროებაზე, როგორიც ადვოკატია.**

— დემოკრატიის შუქურა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი არ ისვენებს ადვოკატებთან მიმართებაში. კიდევ ერთი ადვოკატი გახდა ამ უსირცხვილო სახელმწიფოს, უსირცხვილო პოლიციის მსხვერპლი, — განაცხადა ადვოკატ ვარლამ ბალხანიშვილის დაკავების ფაქტთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე ზაზა ხატიაშვილმა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ადვოკატ ვარლამ ბალხანიშვილს გადაადგილების დროს თავს დაესხა პოლიცია და გადაიყვანა ნარკოლოგიურ დისპანსერში შესამოწმებლად. პოლიციამ ეჭვი მიიტანა, რომ ადვოკატი არის ნარკომანი, თუმცა, შემოწმებამ და ტესტმა არ აჩვენა, რომ მის სისხლში არის ნარკოტიკული ნივთიერება.

ზაზა ხატიაშვილის თქმით, ადვოკატმა მომხდარის გამო აღშფოთება მაშინვე გამოხატა. პოლიციელებმა ეს ჩათვალეს თავის შეურაცხყოფად, ბალხანიშვილი დააკავეს და ერთი დღე მან წინასწარი დაკავების იზოლატორში გაატარა. 3 დღის შემდეგ ანუ 15 თებერვალს ადვოკატი ბალხანიშვილი წარადგინეს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, სასამართლო პროცესზე პოლიციის მუშაკებმა ბრძანეს, რომ ბალხანიშვილის წინააღმდეგობა იყო ის, რომ მან ოთახში სიგარეტი არ ჩააქრო. შეიძლება ეს სამართალდარღვევად ჩაუთვალო ადვოკატს და ამაზე წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააპატიმრო?

მოსამართლემ ვარლამ ბალხანიშვილი ცნო დამნაშავედ წვრილმან ხულიგნობაში. ასევე ცნო სამართალდამრღვევად პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევაში და როგორც ხატიაშვილი აცხადებს, მოსამართლემ შეასრულა ოფიციალური დაკვეთა კიდევ ერთი ადვოკატოს მიმართ.

— ეს არის მართლაც აღმაშფოთებელი ფაქტი. კარგად მოგეხსენებათ, როდესაც ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა მოწერა სააკაშვილს და უთხრა, რომ ადვოკატთა კორპუსის დევნა უნდა შეწყვეტილიყო. მან საქართველოს პრეზიდენტს მოსთხოვა შალვა ხაჭაპურიძის, კობა სოხაძის, ტაბაღუას საქმეების გამოძიება და დამნაშავე პირების საბრალდებო სკამზე დასმა. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატთა კორპუსის საკმაოდ სოლიდური ნაწილი ასევე სამართლებრივ ინსტიტუტები მოითხოვენ, რომ ადვოკატთა კორპუსის დევნა დამთავრდეს, 12 თებერვალს დემოკრატიის შუქურა სააკაშვილის დროს კიდევ ერთი ადვოკატი იქნა დაპატიმრებული, — განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

მისი თქმით, როგორც კი ადვოკატ ბალხანიშვილის დაპატიმრების ფაქტი შეიტყო, დროულად ეცნობა საქართველოს მთავარ პროკურორს და მოთხოვნად დაფიქსირდა დამნაშავე პოლიციელის მინდია კახაძის კანონის შესაბამისად დასჯა. ხატიაშვილი მიიჩნევს, რომ ამ მოძალადე პოლიციელის მიმართ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას. ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ მისი განცხადება რეაგირების გარეშე დარჩა, რადგანაც ადვოკატი ბალხანიშვილი დღემდე არავის დაუბარებია დაკითხვაზე.

— გრძელდება ის ტენდენცია, რომ ადვოკატთა კორპუსის წინააღმდეგ უნდა იქნეს გამოყენებული ყველა საშუალება იმისათვის, რომ განადგურდეს დაცვის ინსტიტუტი, რომ ადვოკატმა ვერ შეძლოს ნებისმიერი მოქმედების შესრულებაც კი. ის, რაც ბალხანიშვილთან მიმართებაში დაფიქსირდა, ეს არის ინსტიტუციონალური დევნა ადვოკატთა კორპუსისა. მე ამაზე რამდენჯერმე გავაკეთე განცხადება, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება არჩევს, დარჩეს ბრმა-ყრუს პოზიციაში. ის ადვოკატთა კორპუსის წონააღმდეგ გადადის ახალ და ახალ დაგეგმილ თუ დაუგეგმავ შეტევაზე.

პრესკონფერენციაზე ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელმა კომენტარი გააკეთა ორიოდე დღის წინ დაპატიმრებულ ადვოკატებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ როცა ხელისუფლება მსგავსი ფაქტების გაშუქებას ტელევიზიით საკმაოდ სერიოზულ დროს უთმობს, ანალოგიური დრო უნდა დაეთმოს ისეთი უკანონო და დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების გაშუქებასაც, როგორიც, მაგალითად, ჟურნალისტ დარეჯან მეფარიშვილთან დაკავშირებით დაფიქსირდა.

— ვთქვათ, ადვოკატმა ჩაიდინა რაღაც სამართალდარღვევა, სანამ განაჩენი დადგება, ადვოკატს ტელევიზიები ატრიალებენ, რომ კონკრეტულმა ადვოკატმა ესა თუ ის დანაშაული ჩაიდინა. მე ხელთ მიჭირავს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც მოსამართლეებმა საქმეზე შეცვალეს კონკრეტული გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება შეიცვალა ზუსტად რვა თვის შემდეგ, რომლითაც ბაჩო ახალაიამ წააგო სასამართლო პროცესი ჟურნალისტ დარეჯან მეფარიშვილთან. სასამართლომ ახალაიას უწყებას დააკისრა რამდენიმე ათასი ლარის გადახდა განაცდურის ანაზღაურების სახით. ეს გადაწყვეტილება მოსამართლემ რამდენიმე თვის შემდეგ შეცვალა და ამის გამო ეს მოსამართლე დღეს ციხეშიც არ ზის. ამაზე მეტი დანაშაული შეიძლება ადამიანმა ჩაიდნოს? სააპელაციო სასამართლო აცხადებს, რომ მოსამართლემ ტექნიკური შეცდომა დაუშვაო. ფაქტობრივად ამ მოსამართლემ ჟურნალისტს მოპარა 15 ათას ლარზე მეტი. ასეთ მოსამართლეს ადვოკატ ბალხანიშვილისნაირს რომ მიუყვან გასასამართლებლად, რა თქმა უნდა, ის ოფიციოზის ყველა დაკვეთას შესრულებს, — განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა. მისი თქმით, თუ ადვოკატზე ატრიალებენ სიუჟეტებს ტელევიზიაში, რატომ არ შუქდება იგივე ხანგრძლივობით ის ფაქტები, რომელიც კონკრეტული მოსამართლეების დანაშაულებრივ საქმიანობას ეხება?

პრესკონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა პატიმართა დანაშაულობებზე და ითქვა, რომ იმ დონის დანაშაული, რომელიც ამ კონკრეტულ საქმეზე მოსამართლეებმა ჩაიდინეს, რამდენიმე ათასი პატიმრიდან არც ერთს არა აქვს ჩადენილი. ხატიაშვილის თქმით, ასეთი მოსამართლეები ნებისმიერი სახის განაჩენს აწერენ ხელს, ისინი ფაქტობრივად საქართველოს გაყიდვაზეც მოაწერენ ხელს.

ხატიაშვილმა გაიხსენა პრეზიდენტის გამოსვლა პარლამენტში, რა დროსაც განცხადებები გააკეთეს უმრავლესობის ლიდერებმაც.

— გამოვიდნენ ნაცმოძრაობის სუპერვარსკვლავები კუბლაშვილი და სხვები და თქვეს: ჩვენ ნემსის ქურდსაც და აქლემის ქურდსაც ვსჯით და ამიტომ არის ამდენი პატიმარიო. ეს კონკრეტული ფაქტი, რომელსაც სამი მოსამართლე აწერს ხელს, აქლემის ქურდზე მეტია და ეს მოსამართლეები უნდა დაისაჯონ, — აღნიშნა ხატიაშვილმა და იქვე მიუთითა, რომ ამ კონკრეტული დანაშაულის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის საერთაშორისო ორგანიზაციებს.

# „ლევილისა“ და „ჰარვარდის“ დოკუმენტები ხელმისაწვდომია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების, ე.წ. ლევილისა და ჰარვარდის კოლექციების მნიშვნელოვანი ნაწილი დაამუშავა და ოკუპაციის კვირეულის ფარგლებში დამთვალიერებლისთვის გამოფინა. ამ დროისათვის შექმნილია 20-ზე მეტი ფონდი. საისტორიო ცენტრალური არქივის მკვლევართა დარბაზში ხუთი პირადი ფონდის გაცნობა და შესწავლა უკვე შესაძლებელია.

„ლევილისა“ და „ჰარვარდის“ დოკუმენტები ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივს წლების წინ გადაეცა. კოლექციებში 1918-1990 წლების 100.000-მდე დოკუმენტია თავმოყრილი. დოკუმენტები ეროვნულმა არქივმა სრულიად მოუწესრიგებელ მდგომარეობაში მიიღო — საქაღალდეებში ჩალაგებული დაშლილ-დაფურცლული სახით, ფონდობრივი კუთვნილების განსაზღვრის გარეშე, აღრეული ქრონოლოგიით, ფიზიკურად განადგურების პირას მდგარი გარკვეული რაოდენობის დასნებოვნებული დოკუმენტებით.

საისტორიო ცენტრალური არქივის თანამშრომელთა მიერ „ლევილისა“ და „ჰარვარდის“ კოლექციების დოკუმენტთა დამუშავების პროცესში შეიქმნა ფონდები — საქართველოს მთავრობის საქმეთა მმართველობა, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მიწათმოქმედების, სამხედრო და მომარაგების სამინისტროები, ამიერკავკასიის კომისარიატი, ამიერკავკასიის სეიმი, სამხედრო გვარდიის შტაბი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიურო.

დოკუმენტებს შორის გამოიყო პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეთა: ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელის, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის, ნოე რამიშვილის, სიმონ მდივნის, ევგენი გეგეჭკორის, კონსტანტინე კანდელაკის, კონსტანტინე გვარჯალაძის, რაჟდენ (მიშა) არსენიძისა და სხვათა პირადი ფონდები. საისტორიო ცენტრალური არქივის მკვლევართა დარბაზში მათი პირადი ფონდები უკვე ხელმისაწვდომია. ემიგრაციის არქივიდან უკვე შექმნილი ყველა ფონდი მკვლევართათვის ხელისაწვდომი 2011 წლის განმავლობაში ეტაპობრივად გახდება. წელსვე დასრულდება არქივის მთლიანად დამუშავება.

## 27 თებერვალი — 6 მარტი




**სოხუმი**

28.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 5-6
01.03 ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 4-5
02.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 4-5
03.03 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — 0-1
04.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 0-1
05.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — 0-1
06.03 მზე, წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 3-4

**ზუგდიდი**

28.02 მზე, წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 6-7
01.03 წვიმა, დღისით — 11-11, ღამით — 6-7
02.03 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 6-7
03.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 2-3
04.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 1-2
05.03 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 1-2
06.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 10-11, ღამით — 3-4

**ბათუმი**

28.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 6-7
01.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 6-7
02.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 5-6
03.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 1-2
04.03 მზე, წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 2-3
05.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 6-7, ღამით — 1-2
06.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 5-6

**ქუთაისი**

28.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 6-7
01.03 წვიმა, დღისით — 12-13, ღამით — 6-7
02.03 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 6-7
03.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 2-3
04.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 3-4
05.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 2-3
06.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 4-5

**გორი**

28.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — -2 -1
01.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 1-2
02.03 ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 2-3
03.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 8-9, ღამით — -2 -1
04.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — -3 -2
05.03 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 0-1
06.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 9-10, ღამით — 0-1

**თბილისი**

28.02 წვიმა, თოვლი, დღისით — 3-4, ღამით — -2 -1
01.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — 0-1
02.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — 0-1
03.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 7-8, ღამით — -2 -1
04.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 8-9, ღამით — -1-0
05.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 5-6, ღამით — -1-0
06.03 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — 1-2

**გურჯაანი**

28.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — -4 -3
01.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — -2 -1
02.03 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — -1-0
03.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — -1-0
04.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — -4 -3
05.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 6-7, ღამით — -2 -1
06.03 მზე, დღისით — 12-13, ღამით — 3-4

**მანგლისი**

28.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 0-1, ღამით — -4 -3
01.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 2-3, ღამით — -3 -2
02.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 4-5, ღამით — -3 -2
03.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 5-6, ღამით — -4 -3
04.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — -3 -2
05.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 2-3, ღამით — -3 -2
06.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 3-4, ღამით — -2 -1

**დმანისი**

28.02 მზე, ღრუბელი, დღისით — -1 -2, ღამით — -13 -12
01.03 მზე, ღრუბელი, , დღისით — 0-1 , ღამით — -12 -11
02.03 მზე, ღრუბელი, დღისით — -2 -1, ღამით — -10 -9
03.03 თოვლი, დღისით — -2 -1, ღამით — -14 -13
04.03 მზე, ღრუბელი, დღისით — -3 -2, ღამით — -15 -13
05.03 თოვლი, დღისით — -5 -4, ღამით — -14 -13
06.03 თოვლი, დღისით — -3 -2, ღამით — -13 -12

გ.თ.

## სკანვორდი




1. დაბა ზესტაფონის რაიონში; 2. მეფის ტიტული აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში; 3. ასპარეზი, სარბიელი; 4. შებოლილი ძეხვი; 5. იაპონური თეატრი; 6. კართაგენის მხედართმთავარი; 7. ძნის შესაკრავი ნამჯა; 8. ...ცალქალამანიძე; 9. ყაზახეთის ფული; 10. ლითონის ფირფიტა (ჯილდო); 11. ...იოსელიანი; 12. ჯარისკაცი თურქეთში; 13. ალგორითმული ენა; 14. წონის ერთეული; 15. „ფორსაიტების...“; 16. ლილვის საყრდენი ნაწილი მანქანებში; 17. ვინც სიკეთის ღირსი არ არის; 18. თვალის ფერადი გარსი; 19. პატარა სარწყავი არხი; 20. „...ერგასის დღე. 21. ფელინის ფილმი; 22. ქცევის თავისებურება; 23. პატარა ჭრელი ჩიტი; 24. მეორე ნოტი; 25. ღამის პეპელა; 26. ფინური აბანო; 27. იტალიელი ფერმწერი (XV ს.); 28. სამეურნეო ნაწილის გამგე; 29. გადასატანი რადიოსადგური; 30. არქიტექტურის სტილი; 31. შენობის წინხედი; 32. ბრძოლის ველი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კაროჟნა; 2. ალალი; 3. ბარაკონი; 4. უდინეზე; 5. კალვადოსი; 9. ჩიზელი; 12. ბურდული; 14. კურაგა; 15. პეჟო; 17. ბლიკი; 18. ჭკუა.

**თარაზულად:** 6. ნატალი; 7. ბაიადერა; 8. მოხელე; 10. მერია; 11. შაფხაუზენი; 13. აკროპოლი; 16. გულაბი; 19. კომუნიკე; 20. ნაფტუსია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაბაჭუა; 2. აპატრიდი; 3. კირთაძე; 5. სელადონი; 7. გირკანი; 9. ხევსურეთი; 13. ბოდრუმი; 15. ლეჟავა; 16. ლოზანა; 18. ტროპი.

**თარაზულად:** 4. მამისონი; 6. დეპრესია; 8. მალალაშვილი; 10. ბუკლეტი; 11. ვეძა; 12. ანკერი; 14. ალუვი; 17. პრადო; 19. აჟური; 20. სამთავრო; 21. იგლუ; 22. მანჭკვალა; 23. ხითხითი.

# საქართველომ პორტუგალიაში იღბლის ხარჯზე მოიგო

**პორტუგალია — საქართველო 12:13**

**პორტუგალია:** ეგილარი, ფორუ, ოლივეირა, პედრუ სილვა, ლიმა, გარდნერი, ლეალი; ჟირეუ, ბარდი, ვ.უვა, გ.უვა, სევერიანუ, სპეშუკი, კორეია, მურე.

**4 ჯარიმა:** გარდნერი (3), კერბრალი

**საქართველო:** ურჯუკაშვილი, მაჩხანელი, კაჭარავა, ზიბზიბაძე, გუგავა (ჩხიკვაძე 64), მალაღურაძე (კვირიკაშვილი 51), აბუსერიძე (სამხარაძე 72), ჩხაიძე (კოლელიშვილი 68), ს.მაისურაძე, სუთიაშვილი, ვ.მაისურაძე, დათუნაშვილი, ზირაქაშვილი (შველიძე 68), გიორგაძე (ნატრიაშვილი 51), ხინჩაგიშვილი (კაკოვინი 51).

**1 ლელო:** კაჭარავა

**1 გარდასახვა:** მალაღურაძე

**2 ჯარიმა:** მალაღურაძე, კვირიკაშვილი

შეხვედრის დრო უკვე ამოწურული იყო, როდესაც პორტუგალიის ნაკრებმა კარის გასწვრივ 40 მეტრში ჯარიმის შესრულების უფლება მიიღო. ამ დროს საქართველოს ნაკრები ერთ ქულას იგებდა და მხოლოდ ძალიან ოპტიმისტი თუ დაიჯერებდა, რომ „ბორჯღალოსანთა“ წარმატებული სერია გაგრძელდებოდა. დასარტყმელად შეცვლაზე შესული პედრუ კებრალი მოემზადა, ბურთი გაასწორა და□ პირინეიელის მიერ შესრულებული ჯარიმა რობერტო კარლოსისას უფრო წააგავდა და ბურთი ჰაერში აწევის ნაცვლად კარის ქვედა ნაწილში გაგზავნა.

ამით საქართველოს ნაკრებმა თავის მონაგარს 4 ქულა შემატა და ერთა თასზე ერთპიროვნულად გალიდერდა. თუმცა, უფრო მართებულები ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ეს მატჩი „ბორჯღალოსნებს“ არ მოუგიათ — ის პორტუგალიამ წააგო. მათ გუნდში არ აღმოჩნდა ჯარიმის ნორმალური დამრტყმელი, რომელმაც არა მარტო ბოლო წუთზე, არამედ მთელი მატჩის განმავლობაში ზუსტად დაარტყამდა კარში. საქართველოს ნაკრები მთელი მატჩის განმავლობაში 19-ჯერ დაჯარიმდა, აქედან უმეტესობა მეტოქის ნახევარზე იყო, მაგრამ პორტუგალიელებმა რამდენიმე ხელსაყრელი ჯარიმის განიავება მაინც მოასწრეს. ამჯერადაც გავიმართლა, თუმცა, ისიც კარგია, რომ ხარვეზები ახლა გამოჩნდა. მომავალ შეხვედრამდე ორი კვირაა, რომელიც მწვრთნელებმა სიტუაციის შესაცვლელად უნდა გამოიყონენ. მეტოქე კი ის რუმინეთია, რომლის დამარცხებაც ახალ ზელანდიაში იგეგმება და რიჩი დიქსონმა და მისმა გუნდმა უნდა დაგვანახოს, რომ მის ხელში საქართველოს ნაკრებს უკეთესი თამაში შეუძლია.



საქართველოს ნაკრებმა ყველა კომპონენტში უამრავი შეცდომა დაუშვა. ტრადიციული წუნი იყო ტექნიკაში, გადაცემებში, გადაწყვეტილებების მიღებაში, დერეფანში და „ბორჯღალოსანთა“ მთავარ კოზირ შერკინებაშიც კი. სწორედ შერკინებაში დაშვებულ შეცდომას მოჰყვა ის ეპიზოდი, რომლითაც კებრალმა დაგვინდო. ამოცანა მარტივი იყო — საკუთარი შერკინებიდან ბურთის სწორედ გამოტანა და შემდეგ მისი აუტში გადატანა, მაგრამ შეცდომა ლამის მარცხის ტოლფასი აღმოჩნდა. შეცდომები დაუშვეს საკვანძო პოზიციის მორაგბეებმა — 10-მა ნომერმა ლაშა მალაღურაძემ და 15-მა ბექა ურჯუკაშვილმა. პირველი შეტევებს ხშირად არასწორ მიმართულებას აძლევდა, მეორე კი გადაკიდებული ბურთების აღებისას და სიტუაციის განმუხტვისას ცდებოდა.

თავის მხრივ, უამრავი შეცდომა დაუშვა პორტუგალიამ. მათ რომ გამართულად ეთამაშათ, ალბათ, წავაგებდით.

თამაში კი ჩვენებმა კარგად დაიწყეს — პირველი მეტოქის შერკინება ქართველმა მორაგბეებმა მოიგეს და ცენტრიდან ბურთი აუტში გაიტანეს, რის შემდეგაც მოკლე დარტყმებით სცადეს პორტუგალიელთა დაცვის ხაზის გარღვევა, მაგრამ ეპიზოდი ბურთის წინ ვარდნის გამო დაიკარგა. მე-7 წუთზე „ბორჯღალოსნებმა“ მეტოქის შერკინებაში მეორედ იმარჯვეს, მაგრამ შეცდომის გამო ეს ეპიზოდიც გამოუყენებელი დარჩა.

საწყისმა 10-მა წუთმა მეტოქის ნახევარზე ჩაიარა, მაგრამ ცენტრის სიახლოვეს ბურთი კიდევ ერთხელ დაიკარგა, ჩხაიძემ მეტოქე მხრებს ზევით შებოჭა, დაჯარიმდა და პრაქტიკულად პირველივე ეპიზოდი, ჯოზეფ გარდნერმა 3 ქულად აქცია.

წონასწორობა ორ წუთში აღდგა. მასპინძლები ბურთის ჩახურვისთვის დაჯარიმდნენ და ლაშა მალაღურაძემ კარის გასწვრივ ახლო მანძილიდან გაიტანა. შეხვედრა განახლდა თუ არა, რეფერიმ ცენტრის სიახლოვეს დაგვაჯარიმა, მაგრამ გარდნერს მიზანმა უმტყუნა. კიდევ ორ წუთში მან ჯარიმის შესრულების უფლება უკეთეს პოზიციაზე მიიღო და გარდნერმა ანგარიში 6:3 გახადა. 22-ე წუთზე მალაღურაძე ვალდებული იყო, წონასწორობა კიდევ ერთხელ აღედგინა, მაგრამ კარის გასწვრივ ახლო მანძილიდან გასატანი ჯარიმა მიზანს ააცილა. ამას საქართველოს ნაკრების მრავალფაზიანი კარგი შეტევა მოჰყვა. სისწრაფეში რომ არაფერი გამოვიდა, ფორვარდებმა მოკლე დარტყმებით წაიწიეს წინ, მაგრამ ზედ ხაზთან თავადვე დაჯარიმდნენ.

მათ ნახევარზე გატარებულმა დაახლოებით ათმა წუთმა შედეგი ვერ გამოიღო, მერე ურჯუკაშვილი დაჯარიმდა, თამაშმა ცენტრის სიახლოვეს გადაინაცვლა და 34-ე წუთზე გარდნერმა ჯარიმის შესრულების უფლება მოიპოვა, მაგრამ 40 მეტრიდან არაზუსტად დაარტყა. ამას კვლავ ქართველთა გარღვევა მოჰყვა, დავით კაჭარავამ ხაზი გაჭრა და დაახლოებით 30 მეტრით წინ წაიწია, მერე ბურთი მარცხნივ ურჯუკაშვილს მიაწოდა, მან ზიბზიბაძე მოძებნა, თუმცა, ჩათვლის მოედნამდე სამიოდე მეტრიღა რომ რჩებოდა, ის გვერდით ხაზს იქით გადაიყვანეს. საქართველოს ნაკრების ტერიტორიული უპირატესობა ქულებში ტაიმის მიწურულს მაინც აისახა. მეტოქის შერკინების მოგების შემდეგ, ბურთი ხაზზე ჩათამაშდა, მალაღურაძემ მარჯვნივ სისწრაფეაკრეფილი კაჭარავა მოძებნა, რომელმაც ხაზი გაჭრა და პორტუგალიელთა ჩათვლის მოედანში შეფრინდა, მალაღურაძემ კი რეალიზაცია გამოიყენა და ტაბლოზე 10:6 დაფიქსირა.

მოკლედ, საქართველოს ნაკრები არეულ რაგბს კი თამაშობდა, შეუთანხმებლად მოქმედებდა და გადაწყვეტილებების მიღებაც გვიანდებოდა, რის გამოც ძვირფასი წამები იკარგებოდა, მაგრამ „ბორჯღალოსანთა“ ძალისმიერმა თამაშმა შედეგი მაინც მოიტანა.

საერთო სურათი უკეთესის სურვილს ტოვებდა, მაგრამ მეორე ნახევარში თითქმის არაფერი შეცვლილა. ქართველი მორაგბეები დაცვაში უკეთ თამაშობდნენ, ვიდრე შეტევაში, პორტუგალიელებს საკუთარ ნახევარზე გადასვლის საშუალებას არ აძლევდნენ და მასპინძლებიც მხოლოდ ჯარიმების იმედად იყვნენ.

მეორე ტაიმი 3 წუთის დაწყებული იყო, როდესაც გარდნერმა 25 მეტრიდან სხვაობა მინიმუმდე დაიყვანა. საქართველოს ნაკრებმა შეტევა სცადა და მეტოქის 22-მეტრიანში შევიდა, მაგრამ ცუდი პასის გამო მომენტი დაიკარგა. ამას პორტუგალიელთა აბრაგანი მოჰყვა, ურჯუკაშვილმა და გუგავამ შეუთანხმებლად ითამაშეს და მეტოქეს სალელოვე სწრაფი შეტევის განვითარების შანსი მიეცათ, მაგრამ გადაცემა წინ გამოუვიდათ და ბურთი დაკარგეს. 57-ე წუთზე, მეტოქის ნახევარზე, ცენტრის სიახლოვეს, ჩხაიძე რაქში გვერდიდან შევიდა და რადგან რეფერის მანამდე სიტყვიერად ჰყავდა გაფრთხილებული, ყვითელი ბარათი უჩვენა. კაცნაკლულმა „ბორჯღალოსნებმა“□ ბურთის მეტოქის ნახევარზე შენარჩუნება მოახერხეს, მე-60 წუთზე პორტუგალიას დაჯარიმება აიძულეს და შეცვლაზე შესულმა კვირიკაშვილმა დაახლოებით 28 მეტრიდან შანსი ხელიდან არ გაუშვა — 13:9.67-ე წუთზე კაცნაკლულმა „ბორჯღალოსნებმა“ კარგი შეტევა წამოიწყეს და ლელომდეც სულ ცოტა რჩებოდათ, მაგრამ მიმყოლებმა დააგვიანეს და სუთიაშვილი აუტში გადაიყვანეს. მიუხედავად ამისა, ქართველი მორაგბეები ბურთს აკონტროლებდნენ და თამაში მეტოქის ნახევარზე მიდიოდა, სანამ უხეშმა შეცდომამ თითქმის ყველაფერი თავდაყირა არ დააყენა. ბურთი ცენტრთან დაიკარგა, პორტუგალიელმა მას ფეხი წაკრეს და ბოლო მცველიც ადგილზე არ იყო, მაგრამ კვირიკაშვილმა მეტოქეს სისწრაფეში აჯობა და ასპროცენტიანი ლელოსგან გვიხსნა, რაქიდან გამოტანილი ბურთი კი, მასპინძლებს წინ დაუვარდათ. შერკინებიდან კი ბურთის გატანა ვერ მოხერხდა, ჩხაიძის შეცვლის შემდეგ 8-ნომრად გადასული სუთიაშვილი ჩახურვისთვის დაჯარიმდა და 22-ის ხაზიდან კებრალმა 75-ე წუთზე სხვაობა კვლავ მინიმუმამდე დაიყვანა — 13:12. კვირიკაშვილს სტატუსქვოს აღდგენის შანსი ერთ წუთში მიეცა, მაგრამ 38 მეტრიდან ბურთი ძელებსშუა ვერ გააძვრინა. მასპინძლებმა ხელდახელ სცადეს შეტევა და ცენტრამდეც მიაღწიეს, მაგრამ იქ ქართველები ისე გამაგრდნენ, თითქოს საკუთარი ჩათვლის მოედნის ხაზზე იდგნენ, სუფთა თამაშით მეტოქეს დაახლოებით 10 მეტრი უკან დაახევინეს და ბოლოს მათსავე ნახევარზე შერკინების უფლებაც მოიპოვეს. □„ბორჯღალოსნებმა“□ სწორედ აქ წააგეს საკუთარი შერკინება, რომელიც ლამის საბედისწერო აღმოჩნდა, მაგრამ კებრალის საოცარმა დარტყმამ ტაბლოზე 13:12 დატოვა და საქართველოს ნაკრებმა აქტივს ოთხი ქულა შემატა, პორტუგალია კი, ერთი პრემიალური ქულით დაკმაყოფილდა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# „ზესტაფონმა“ ლიდერი შეცვალა

გაიმართა საქართველოს 22-ე ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. ტური ისევ ნაკლული აღმოჩნდა და ამგვარი ფაქტი მეორე ეტაპის 4 ტურში 3-ჯერ დაფიქსირდა. ამჯერად, თბილისის „დინამოსა“ და ზუგდიდის „ბაიას“ მატჩი გადაიდო. მიზეზი უბრალოა — თბილისში თოვლი მოვიდა. თუმცა, საინტერესო ის არის, რომ თემქაზე, სპორტკომპლექს „შატილის“ სტადიონზე ტბილისის „ვიტ ჯორჯიასა“ და „სამტრედიას“ მატჩი მაინც გაიმართა და რა სჭირდა დინამო-ბაიას მატჩს გადასადები, ან რატომ არ შედგა სხვა სტადიონზე (ეს იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სტადიონის საფარს უფრთხილდებიან), საინტერესოა.

**ზესტაფონი — ოლიმპი 2:0**

**ზესტაფონი.**

**დავით აბაშიძის სახელობის სტადიონი**

*1:0 გრიგალაშვილი (33), 2:0 გელაშვილი (73)*

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ალადაშვილი, გ.ონიანი, კობახიძე, ელიავა, დაუშვილი (გორგიაშვილი 37), გრიგალაშვილი, აფციაური, ძარია (ბენაშვილი 82), დვალი, გელაშვილი (წინამძღვრიშვილი 79)

**ოლიმპი:** ბედიაშვილი, მურველაშვილი, რეხვიაშვილი, კვახაძე, ქავთარაძე (ქურდობაძე 75), დობროვოლსკი, რაზმაძე, ი.მაისურაძე (გეწაძე 46), ტყემალაძე, მოდებაძე, იაშვილი (პავლიაშვილი 61)

ტურის ცენტრალურ მატჩი იმერლებმა გამარჯვება მოიპოვეს და პირველ ადგილზე გადანაცვლეს.

მასპინძლები შოთა გრიგალაშვილის გოლით პირველ ტაიმში დაწინაურდნენ, რასაც მეორე ტაიმში ნიკოლოზ გელაშვილმაც მეორეც მიამატა და ბომბარდირთა დავაში თავისივე თანაგუნდელ რატი წინამძღვრიშვილს დაეწია.

**ვიტ ჯორჯია-სამტრედია 2:0**

**თბილისი. სპორტკომპლექსი შატილი**

*1:0 ბექვაია (18), როსტიაშვილი (71)*

**ტორპედო-კოლხეთი გვიან დასრულდა**

**სპარტაკი-სიონი დღეს გაიმართება**

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 21 | 14 | 2 | 5 | 43:13 | 44 |
| 2.ოლიმპი | 22 | 13 | 5 | 4 | 33:19 | 44 |
| 3.დინამო | 21 | 10 | 7 | 4 | 24:11 | 37 |
| 4.ვიტ ჯორჯია | 22 | 9 | 2 | 11 | 23:27 | 29 |
| 5.ბაია | 21 | 8 | 5 | 8 | 21:23 | 29 |
| 6.სიონი | 21 | 6 | 7 | 8 | 15:24 | 25 |
| 7.ტორპედო | 20 | 5 | 8 | 7 | 10:12 | 23 |
| 8.კოლხეთი | 21 | 6 | 4 | 11 | 16:33 | 22 |
| 9.სამტრედია | 21 | 5 | 5 | 11 | 19:36 | 20 |
| 10.ცხინვალი | 20 | 4 | 5 | 11 | 20:26 | 17 |

**ბომბარდირები:** რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი), ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი)— 11-11 ბურთი, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი) —10, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) — 7, გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) - 6.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-ბლექბერნი ........ 4:1
ვულვზი-ბლექპული ........ 4:0
ნიუკასლი-ბოლტონი ........ 1:1
ტოტენჰემი-არსენალი ........ გადაიდო
ჩელსი-ბირმინგემი ........ გადაიდო
უიგანი-მანჩესტერი ........ 0:4
ევერტონი-სანდერლენდი ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 27 | 17 | 9 | 1 | 61:25 | 60 |
| 2.არსენალი | 27 | 17 | 5 | 5 | 57:27 | 56 |
| 3.სიტი | 27 | 14 | 7 | 6 | 43:24 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 27 | 13 | 8 | 6 | 38:31 | 47 |
| 5.ჩელსი | 26 | 13 | 6 | 7 | 46:22 | 45 |
| 6.ლივერპული | 27 | 11 | 6 | 10 | 35:32 | 39 |
| 7.ბოლტონი | 28 | 9 | 10 | 9 | 39:38 | 37 |
| 8.სანდერლენ. | 28 | 9 | 10 | 9 | 33:35 | 37 |
| 9.ნიუკასლი | 28 | 9 | 9 | 10 | 43:39 | 36 |
| 104.ევერტონი | 28 | 7 | 12 | 8 | 35:36 | 33 |
| 11.სტოკი | 27 | 10 | 3 | 14 | 31:34 | 33 |
| 12.ას. ვილა | 28 | 8 | 9 | 11 | 35:47 | 33 |
| 13.ბლექბერნი | 28 | 9 | 5 | 14 | 35:46 | 32 |
| 14.ბლექპული | 28 | 9 | 5 | 14 | 42:55 | 32 |
| 15.ფულემი | 27 | 6 | 13 | 8 | 28:28 | 31 |
| 16.ბირმინგემი | 26 | 6 | 12 | 8 | 25:35 | 30 |
| 17.ვულვზი | 28 | 8 | 4 | 16 | 31:46 | 28 |
| 18.ვესტ ბრომ. | 27 | 7 | 7 | 13 | 35:52 | 28 |
| 19.უიგანი | 27 | 5 | 12 | 10 | 27:46 | 27 |
| 20.ვესტ ჰემი | 27 | 5 | 10 | 12 | 30:48 | 25 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

სუონსი-ლიდსი ........ 3:0
ბარნსლი-ნორვიჩი ........ 0:2
ბრისტოლი-სკანთორპი ........ 2:0
დონკასტერი-უოტფორდი ........ 1:1
იფსვიჩი-პორთსმუთი ........ 0:2
კრ.პალასი-რედინგი ........ 3:3
ლესტერი-ქოვენთრი ........ 1:1
მიდლსბრო-ქპრ ........ 0:3
მილუოლი-ნოტინგემი ........ 0:0
პრესტონი-ბარნლი ........ 1:2
ჰალი-კარდიფი ........ 0:2
შეფილდი-დერბი ........ 0:1

**იტალია. სერია ა**

იუვენტუსი-ბოლონია ........ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 26 | 16 | 7 | 3 | 46:20 | 55 |
| 2.ნაპოლი | 26 | 16 | 4 | 6 | 41:22 | 52 |
| 3.ინტერი | 26 | 15 | 5 | 6 | 47:29 | 50 |
| 4.ლაციო | 26 | 14 | 6 | 6 | 33:22 | 48 |
| 5.უდინეზე | 26 | 13 | 5 | 8 | 42:30 | 44 |
| 6.რომა | 26 | 12 | 6 | 8 | 39:36 | 42 |
| 7.იუვენტუსი | 27 | 11 | 8 | 8 | 41:34 | 41 |
| 8.პალერმო | 26 | 12 | 4 | 10 | 44:36 | 40 |
| 9.კალიარი | 26 | 10 | 5 | 11 | 32:28 | 35 |
| 10.ჯენოა | 26 | 9 | 8 | 9 | 24:25 | 35 |
| 11.ბოლონია | 27 | 10 | 8 | 9 | 29:34 | 35 |
| 12.ფიორენტ. | 26 | 8 | 9 | 9 | 28:28 | 33 |
| 13.კიევო | 26 | 7 | 10 | 9 | 28:29 | 31 |
| 14.სამპდორია | 26 | 7 | 10 | 9 | 23:27 | 31 |
| 15.პარმა | 26 | 6 | 9 | 11 | 25:36 | 27 |
| 16.ლეჩე | 26 | 7 | 6 | 13 | 28:46 | 27 |
| 17.კატანია | 26 | 6 | 8 | 12 | 23:34 | 26 |
| 18.ბრეშა | 26 | 6 | 5 | 15 | 20:33 | 23 |
| 19.ჩეზენა | 26 | 5 | 7 | 14 | 19:36 | 22 |
| 20.ბარი | 26 | 3 | 6 | 17 | 14:40 | 15 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

ატალანტა-სასუოლო ........ 1:0
ვიჩენცა-რეჯინა ........ 0:1
კროტონე-ტრიესტინა ........ 2:1
მოდენა-სიენა ........ 0:1
ნოვარა-ვარეზე ........ 1:1
პესკარა-ალბინოლეფე ........ 2:0
პორტუგრაუარო-ტორინო ........ 0:1
ფროსინონე-გროსეტო ........ 0:0
ემპოლი-ჩიტადელა ........ 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ატლეტიკო-სევილია ........ 2:2
ხიხონი-სარაგოსა ........ 0:0
ესპანიოლი-სოსიედადი ........ 4:1
მალიორკა-ბარსელონა ........ 0:3
დეპორტივო-რეალი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 22 | 2 | 1 | 76:13 | 68 |
| 2.რეალი | 25 | 19 | 4 | 2 | 55:19 | 61 |
| 3.ვალენსია | 24 | 14 | 6 | 4 | 38-25 | 48 |
| 4.ვილიარ. | 24 | 14 | 4 | 6 | 42-24 | 46 |
| 5.ესპანიოლი | 25 | 13 | 1 | 11 | 34:36 | 40 |
| 6.ბილბაო | 24 | 12 | 2 | 10 | 38-34 | 38 |
| 7.სევილია | 25 | 10 | 5 | 10 | 38:40 | 35 |
| 8.ატლეტიკო | 25 | 10 | 4 | 11 | 35:33 | 34 |
| 9.სოსიედ. | 25 | 11 | 1 | 13 | 36:41 | 34 |
| 10.ხეტაფე | 24 | 9 | 4 | 11 | 35-38 | 31 |
| 11.მალიორკა | 25 | 9 | 4 | 12 | 25:34 | 31 |
| 12.რასინგი | 24 | 7 | 7 | 10 | 21-33 | 28 |
| 13.დეპორტ. | 25 | 6 | 9 | 10 | 21:35 | 27 |
| 14.ოსასუნა | 24 | 6 | 7 | 11 | 25-30 | 25 |
| 15.ხიხონი | 25 | 5 | 10 | 10 | 23:31 | 25 |
| 16.ერკულესი | 24 | 7 | 4 | 13 | 24-38 | 25 |
| 17.ლევანტე | 24 | 7 | 3 | 14 | 24-36 | 24 |
| 18.სარაგოსა | 25 | 5 | 9 | 11 | 22:37 | 24 |
| 19.ალმერია | 24 | 4 | 9 | 11 | 24-40 | 21 |
| 20.მალაგა | 24 | 5 | 5 | 14 | 31-50 | 20 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ტარაგონა-სელტა ........ 1:2
ალკორკონი-სალამანკა ........ 4:0
ვალიადოლიდი-ელჩე ........ 2:0
ვილიარეალი ბ-ხირონა ........ 0:1
გრანადა-ლას პალმასი ........ 5:2
კორდობა-კარტახენა ........ 2:0
ნუმანსია-ბარსელონა ბ ........ 4:6
უელვა-პონფერადინა ........ 1:1

**გერმანია. 1 ბუნდესლიგა**

კაიზერი-ჰამბურგი ........ 1:1
კიოლნი-ფრაიბურგი ........ 1:0
ზანკტ პაული-ჰანოვერი ........ 0:1
ჰოფენჰაიმი-მაინცი ........ 1:2
შალკე-ნიურნბერგი ........ 1:1
ბაიერნი-დორტმუნდი ........ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 24 | 18 | 4 | 2 | 52:14 | 58 |
| 2.ლევერკუზ. | 23 | 13 | 6 | 4 | 48:32 | 45 |
| 3.ჰანოვერი | 24 | 14 | 2 | 8 | 34:31 | 44 |
| 4.ბაიერნი | 24 | 12 | 6 | 6 | 50:30 | 42 |
| 5.მაინცი | 24 | 13 | 1 | 10 | 37:30 | 40 |
| 6.ჰამბურგი | 24 | 11 | 4 | 9 | 35:32 | 37 |
| 7.ფრაიბურგი | 24 | 11 | 4 | 9 | 31:31 | 37 |
| 8.ნიურნბერ. | 24 | 10 | 6 | 8 | 34:32 | 36 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 24 | 8 | 9 | 7 | 41:35 | 33 |
| 10.შალკე | 24 | 8 | 6 | 10 | 29:29 | 30 |
| 11.კიოლნი | 24 | 8 | 5 | 11 | 31:42 | 29 |
| 12.ზ.პაული | 24 | 8 | 4 | 12 | 27:38 | 28 |
| 13.აინტრახტი | 23 | 8 | 3 | 12 | 24:32 | 27 |
| 14.ვოლფსბ. | 24 | 6 | 8 | 10 | 29:34 | 26 |
| 15.კაიზერი | 24 | 6 | 6 | 12 | 33:42 | 24 |
| 16.ვერდერი | 23 | 6 | 6 | 11 | 28:48 | 24 |
| 17.შტუტგარტი | 23 | 5 | 4 | 14 | 40:47 | 19 |
| 18.გლადბახი | 24 | 5 | 4 | 15 | 34:59 | 19 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-პადერბორნი ........ 1:1
ალენი-ჰერტა ........ 0:5

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

არლე-ბრესტი ........ 1:1
ვალანსიენი-ლორიენი ........ 0:0
მონაკო-კაენი ........ 2:2
რენი-ლანსი ........ 2:0
სენტ ეტიენი-ნიცა ........ 0:2
სოშო-მონპელიე ........ 0:0
ბორდო-ოსერი ........ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რენი | 25 | 13 | 7 | 5 | 30:18 | 46 |
| 2.ლილი | 24 | 12 | 9 | 3 | 42-23 | 45 |
| 3.მარსელი | 24 | 11 | 9 | 4 | 34-20 | 42 |
| 4.ლიონი | 24 | 11 | 8 | 5 | 38-24 | 41 |
| 5.პსჟ | 24 | 11 | 8 | 5 | 37-24 | 41 |
| 6.მონპელიე | 25 | 10 | 8 | 7 | 21:23 | 38 |
| 7.სტ.ეტიენი | 25 | 9 | 8 | 8 | 33:32 | 35 |
| 8.ლორიენი | 25 | 10 | 5 | 10 | 32:31 | 35 |
| 9.ბრესტი | 25 | 9 | 8 | 8 | 26:25 | 35 |
| 10.ბორდო | 25 | 8 | 10 | 7 | 32:30 | 34 |
| 11.ტულუზა | 24 | 10 | 3 | 11 | 26-26 | 33 |
| 12.სოშო | 25 | 9 | 5 | 11 | 39:31 | 32 |
| 13.ვალანს. | 25 | 7 | 10 | 8 | 30:27 | 31 |
| 14.კაენი | 25 | 7 | 8 | 10 | 28:36 | 29 |
| 15.ნიცა | 25 | 7 | 8 | 10 | 17:27 | 29 |
| 16.ნანსი | 24 | 8 | 4 | 11 | 26-39 | 28 |

# თსუ-მ რეკორდი დაამყარა

### ბათუმი-სსაუ 78:73

(29:12, 11:19, 15:15, 32:36

**ბათუმი:** ნინუა (4), ივანე მაისურაძე (4), სანაძე (31), კეშელავა (14), ყველაშვილი (15ქ. 14მ); რამიშვილი (6), ელიაშვილი (4)

**სსაუ:** ტეტელაშვილი (6), ბააკაშვილი (3), ჩაჩანიძე (13), ჯავახიშვილი (6), მუმლაძე (12); ნანიტაშვილი (6), არწივიძე (9), გემაზაშვილი (5), ხანიაშვილი (7), სიგუა (6)

ტური ბათუმში დაიწყო, სადაც საკმაოდ პრინციპული მატჩი გაიმართა. ერთმანეთს სუპერლიგის საშუალო ძალის გუნდები შეხვდნენ: „ბათუმსაც" და სსაუ-საც ამ შეხვედრამდე 4-4 გამარჯვება ჰქონდათ, თუმცა, მნიშვნელოვანი იყო სამწვრთნელო დუელიც.

საქმე ისაა, რომ ზღვისპირელებს მიხეილ კობეშავიძე წვრთნის, რომელიც პირველ წრეში სსაუ-ს თავკაცი გახლდათ. მას შემდეგ, რაც ბათუმელთა მწვრთნელი დავით უსტიაშვილი შსს-ში გადავიდა, აჭარლებმა თავისთან მიხეილ კობეშავიძეს უხმეს. სსაუ-ში გამოთავისუფლებული მთავარი მწვრთნელის ადგილი კი 16-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა გია კაზანჯიანმა შეავსო. ასე რომ, კობეშავიძეს დღეს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ უწევდა თამაში და, ცხადია, ორივე მწვრთნელს განსაკუთრებით სურდა გამარჯვება.

მატჩიც საკმაოდ დაძაბული გამოვიდა. ყველაფერი ბოლო მეოთხედში გადაწყდა, მანამდე კი შედარებით თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. პირველი მეოთხედი მასპინძლებმა 20:12 მოიგეს, მეორე ათწუთეულში კი დაცვითი თამაშის ზეიმი იყო და მთლიანობაში მხოლოდ 21 ქულა გაკეთდა — 11:10 მასპინძელთა სასარგებლოდ.

მესამე მეოთხედში გუნდებმა 15-15 ქულა გაცვალეს და ყველაფერი ბოლო მეოთხედში უნდა გარკვეულიყო. ორივე გუნდი გაიხსნა და აქცენტი შეტევაზე გააკეთეს. ეს ანგარიშშიც აისახა — მეოთხედი სსაუ-მ 36:32 მოიგო. თუმცა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და ბათუმელებმა 5 ქულით გამარჯვება შეძლეს.

მატჩის გმირი დუდა სანაძე გახდა, რომელმაც აგრარელებს 31 ქულა ჩაუგდო. ფარქვეშ კარგად მოქმედებდა თსუ-დან აჭარულ გუნდში გადასული დავით ყველაშვილი, რომელმაც 15 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა. რაც შეეხებათ აგრარელებს, მათ გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყოლიათ. 13 ქულა რევაზ ჩაჩანიძემ დააგროვა, ხოლო კახა მუმლაძემ 12-ს მოუყარა თავი.

### სოხუმი — არმია 71:82

(14:21, 17:16, 14:23, 25:22

**სოხუმი:** ჰარისი (17), ჩლაიძე (15), კვენეტაძე (8), ანთაძე (11), რიჩარდ დამუსი (4); შანიძე (2), სორდია (10), კანკია, კოპალიანი, კარლ დამუსი (4)

**არმია:** ტუღუში (18), ბოისა (10), პირველაშვილი (2), შარაბიძე (10), ათუაშვილი (23ქ. 10მ); ბაქრაძე (6), ბაბიაშვილი (3), ლევან მოსეშვილი, ათანელიშვილი, ბუბა ბერიშვილი (10)

ცენტრალური მატჩში ერთმანეთს ბოლო 11 მატჩში დაუმარცხებელი „არმია" და „სოხუმი" ხვდებოდნენ. აინარს ბაგატცკისის გუნდს ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ფარლალავა აკლდა, რაც სოხუმელთა ისედაც მცირე შანსებს კიდევ უფრო დაბლა სცემდა.

საბოლოოდ ასეც მოხდა: ისედაც ფავორიტად მიჩნეულმა „არმიამ" „სოხუმი"□ 11 ქულის სხვაობით დაამარცხა, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბაგატცკისის გუნდმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია არმიელებს.

ფარლალავას არყოფნაში ბურთს ამერიკელი იუჯინ ჰარისი ათამაშებდა, რაც მას ჩინებულად გამოსდიოდა. ლევან მოსეშვილის გუნდის უპირატესობა სიმაღლეში იყო. 223-სანტიმეტრიან სერგო ათუაშვილს ფარქვეშ ზურგს 210-სანტიმეტრიანი გიორგი შარაბიძე უმაგრებდა. ეს ტანდემი თითქმის ყველა ბურთს ხსნიდა და არმიელების უპირატესობა ანგარიშშიც აისახა: პირველი მეოთხედი მოსეშვილის დამოძღვრილმა გუნდმა 21:14 მოიგო.

მეორე ათწუთეულში სოხუმელებმა თამაში დაალაგეს. ფარქვეშ გააქტიურდა რიჩარდ დამუსი, რომელსაც კარგად ეშველებოდა ზვიად ანთაძე. მათი გააქტიურება ნაწილობრივ იმით იყო გამოწვეული, რომ მოედნიდან ტანმაღალი ათუაშვილი გავიდა. მეორე მეოთხედი სოხუმელებმა 2 ქულით მოიგეს და დიდ შესვენებაზე მხოლოდ 5 ქულას აგებდნენ. მეტიც, ბაგატცკისის გუნდმა მესამე მეოთხედის ახალდაწყებულზე ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა — 40:41.

არმიელებისთვის ეს გამოდგა განგაშის ზარი, რადგან ამის შემდეგ მოსეშვილის შეგირდებმა სისწრაფეს და სიზუსტეს უმატეს, მოედანზე ათუაშვილი დაბრუნდა, გუნდის ლიდერი კოტე ტუღუში ჩვეულად ათამაშდა და „არმიამაც"□ მესამე მეოთხედი 23:14 მოიგო და შესაბამისად 14 ქულით დაწინაურდა.

თუკი სოხუმელებს ამ მატჩში რამის პრეტენზია ჰქონდათ, წინ გადამწყვეტი მეოთხედი ჰქონდათ, მაგრამ მაქსიმუმი, რაც მათ მოახერხეს, ანგარიშის შემცირება იყო.

### დინამო — თსუ 95:149

(17:25, 25:41, 25:49, 2§:49

**დინამო:** ეძგვერაძე (14), ივანეიშვილი (9), თვაური (12), გულდედავა (11), თავამაშვილი (32); პერტაია (7), გლუნჩაძე, ირაკლი ცაგარეიშვილი, ალხანაიძე (3), ჩაველაშვილი (7)

**თსუ:** გაფრინდაშვილი (6), ზურაბ მაისურაძე (2), მიხეილ ბერიშვილი (27 ქ. 12მ), ხიზანიშვილი (18), ლონდარიძე (24 ქ. 20მ); ფანჩულიძე (27), კოხრეიძე, კორკოტაძე (8), ჩიტაშვილი (26), ზვიად დეკანოიძე (7), ჩქარეული (4)

შეხვედრაში მიმდინარე სეზონის რეკორდი დაფიქსირდა. თსუ-მ 149:95 დაამარცხა ბოლოადგილოსანი „დინამო". ამდენი ქულა მიმდინარე სეზონში არც ერთ გუნდს არ ჩაუგდია.

აქამდე ერთი გუნდის მიერ ჩაგდებულ ქულათა მხრივ საუკეთესო შედეგი შსს-ს ეკუთვნოდა. სხვათა შორის, „ძალოვნებმაც" „დინამოსთან" დაამყარეს რეკორდი, როცა პირველ წრეში დავით თორთლაძის გუნდს 121:66 მოუგეს.

რაც შეეხება მატჩს, უხვქულიანი გამოდგა. სტუდენტებს არ გაჭირვებიათ მეტოქის დამარცხება. პირველი მეოთხედი თსუ-მ 10 ქულით მოიგო, ხოლო მეორე პერიოდის შემდეგ თამაშმა აზრი დაკარგა და თსუ-მ რეკორდის დამყარებაზე დაიწყო ფიქრი, რაც საბოლოოდ გამოუვიდათ კიდეც.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ს შემადგენლობაში 20-ქულიან ზღვარს ერთბაშად 4 კალათბურთელი გადასცდა. მიხეილ ფანჩულიძეს 27 ქულა დაუგროვდა, ილია ლონდარიძეს — 24, მიხეილ ჩიტაშვილს — 26, ხოლო მიხეილ ბერიშვილს — 27.

რეკორდული გახლდათ ასევე თსუ-ს ცენტრის, ილია ლონდარიძის მიერ მოგროვებული 20 მოხსნა. მიმდინარე სეზონში 19 მოხსნა სამჯერ დაფიქსირდა — ეს შსს-ელმა დავით ბარბაქაძემ, სოხუმელმა რიჩარდ დამუსმა და თავად ილია ლონდარიძემ მოახერხეს. ახლა კი ილიამ 1 მოხსნით მეტი მოაგროვა და მიმდინარე სეზონში ამ სტატისტიკურ მაჩვენებელში ბადალი არ ჰყავს.

დინამოელთა შორის 32 ქულით თეიმურაზ თავამაიშვილი გამოირჩა.

### თსსუ — ენერჯი ინვესტი 88:58

(24:22, 15:8, 26:6, 23:21

**თსსუ:** თავართქილაძე (8), ჭოჭუა (19), ჩაჩიბაია (5), ბექაური (11), დვალიშვილი (25ქ. 13მ); გულისაბედაშვილი (7), იოსებ ლეჟავა (5), ნინიაშვილი (8), კედია

**ენერჯი:** მაჭავარიანი (7), აბაიშვილი (13), ხმელიძე (8), გუგავა (4), ლამუ (12ქ. 11მ); თვარაძე (5), არაბაშვილი (7), აბულაძე (2)

ნუგზარ კანდელაკმა მედიკოსთა გუნდის მწვრთნელის რანგში პირველი გამარჯვება იზეიმა. ის ამ მოგებას მთელი 6 თამაში ელოდა. პირველი წრის შემდეგ თსსუ-ს მწვრთნელი გამოუცვალეს. სერგო იშხნელის ნაცვლად კანდელაკი მოიყვანეს, თუმცა, მედიკოსთა გუნდმა ჯერ ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე წააგო 3 მატჩი, მერე თასის გათამაშებისა და სუპერლიგის საწყის ტურებში.

სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდს ცხრილში მასზე მაღლა მყოფი, თუმცა, პირველი წრის შემდეგ გვარიანად დასუსტებული და თინეიჯერ მოთამაშეთა იმედზე დარჩენილი „ენერჯი□ინვესტი" ხვდებოდა. რუსთაველებმა პირველ ტაიმში მოახერხეს წინააღმდეგობის გაწევა, თუმცა, მესამე ათწუთეულში ყველაფერი მედიკოსთა სასარგებლოდ გადაწყდა. ყოფილი რუსთაველი აკაკი დვალიშვილის მონდომებით ნუგზარ კანდელაკის გუნდმა მესამე პერიოდი 26:6 მოიგო და შეხვედრაში გამარჯვებულის ვინაობა გაარკვია.

### სტუ — ქუთაისი 66:95

(13:17, 26:25, 13:27, 14:24

**სტუ:** ჩიკვილაძე (18ქ. 10მ), ვასილ ბერუაშვილი, გასიტაშვილი, ჯანგველაძე (15) ირაკლი კობიძე; ჭოხონელიძე, ლომოური (10), მალაჩაძე (6), თევზაძე (2), ლაშქარაძე (5), ირაკლი ძიძიგური (4), ახალკაცი (6)

**ქუთაისი:** კვიმსაძე (23), დიდია (13), ცეკვავა (9), გიორგი ბარბაქაძე (18ქ. 10მ), ბოლქვაძე (5); კვერნაძე, ბაბუნაშვილი (3), ტუკვაძე, ლომინაშვილი (18), კოლუაშვილი (4), ბექა კობიძე, კუჭავა (2)

სტუ-სა და „ქუთაისის" დაპირისპირებაში ბრძოლა მხოლოდ პირველ ტაიმში შედგა. ტექნიკოსებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს იმერლებს. დიდი შესვენებისთვის ქუთაისლები მხოლოდ 4 ქულით იგებდნენ (43:39), თუმცა განახლდა თამაში და სტუმრებმა ყველა კომპონენტში სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს. ქუთაისელთა ლიდერი ბუბა კვიმსაძე შეუჩერებელი იყო. ის ქულებს ხომ იხვეჭდა და პასებსაც უხვად არიგებდა. საბოლოოდ მან 23 ქულა და 9 პასი მიითვალა, რასაც 6 ჩაჭრა მოაყოლა და სტუ-ს წინააღმდეგობის გატეხვაში მთავარი როლი შეასრულა. ჩინებულად გაისარჯნენ იმერული კლუბის ახალგაზრდები — ავთანდილ ლომინაშვილი და გიორგი ბარბაქაძე, რომლებმაც 18□18 ქულა მიაშველეს თავისიანებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 13 | 12 | 1 | 1145:885 | 25 |
| 2.თსუ | 14 | 11 | 3 | 1277:1117 | 25 |
| 3.შსს | 13 | 10 | 3 | 1162:972 | 23 |
| 4.ქუთაისი | 13 | 9 | 4 | 1068:934 | 22 |
| 5.სოხუმი | 14 | 8 | 6 | 1092:1062 | 22 |
| 6.ენერჯი | 14 | 7 | 7 | 969:1019 | 21 |
| 7.თსსუ | 14 | 4 | 10 | 1032:1059 | 18 |
| 8.ბათუმი | 13 | 5 | 8 | 1017:1067 | 18 |
| 9.სტუ | 14 | 4 | 10 | 1117:1208 | 18 |
| 10.სსაუ | 14 | 4 | 10 | 991:1153 | 18 |
| 11.დინამო | 14 | 1 | 13 | 980:1374 | 15 |

# საქართველომ პორტუგალიაში იღბლის ხარჯზე მოიგო

დასაწყისი მე-10 გვერდზე

პარალელურ შეხვედრებში, რუმინეთმა ბუქარესტში რუსეთს შანსი არ დაუტოვა 33:3 გაანადგურა, მაგრამ ბოლო წუთზე მეოთხე ლელოს გატანა ვერ მოახერხა და მხოლოდ 4 ქულას დასჯერდა. თავის მხრივ, ესპანეთმა უკრაინასთან აქცენტი თავიდანვე ლელოთა გატანაზე გააკეთა, მეტოქეს 35:13 სძლია და გამარჯვების ოთხთან ერთად ერთი პრემიალური ქულაც აიღო, რის შედეგადაც სატურნირო ცხრილში მესამე საფეხურამდე აღზევდა და რუმინეთი და რუსეთი უკან მოიტოვა.

**რუმინეთი — რუსეთი 33:3**

**ესპანეთი — უკრაინა 35:13**

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | 135:15 | 14 |
| 2.პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | 57:49 | 9 |
| 3.ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 59:101 | 6 |
| 4.რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 50:27 | 5 |
| 5.რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 50:78 | 5 |
| 6.უკრაინა | 2 | 0 | 0 | 2 | 16:97 | 0 |

## შედეგები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 17.ოსერი | 25 | 4 | 14 | 7 | 29:33 | 26 |
| 18.მონაკო | 25 | 4 | 13 | 8 | 25:28 | 25 |
| 19.ლანსი | 25 | 5 | 9 | 11 | 26:44 | 24 |
| 20.არლე | 25 | 1 | 8 | 16 | 13:45 | 11 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ტილბურგი-ჰერენვენი ..... 4:3
როდა-გრააფსხაპი ..... 1:1
ერაკლესი-ვიტესი ..... 6:1
ბრედა-დენ ჰააგი ..... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 24 | 16 | 5 | 3 | 66:22 | 53 |
| 2.ტვენტე | 24 | 15 | 6 | 3 | 47:25 | 51 |
| 3.აიაქსი | 24 | 14 | 6 | 4 | 47:22 | 48 |
| 4.გრონინგენი | 24 | 13 | 5 | 6 | 51:33 | 44 |
| 5.დენ ჰააგი | 25 | 12 | 6 | 7 | 47:37 | 42 |
| 6.როდა | 25 | 10 | 10 | 5 | 44:34 | 40 |
| 7.ალკმაარი | 24 | 11 | 7 | 6 | 36:27 | 40 |
| 8.უტრეხტი | 24 | 10 | 6 | 8 | 40:32 | 36 |
| 9.ჰერენვენი | 25 | 9 | 7 | 9 | 47:39 | 34 |
| 10.ბრედა | 25 | 10 | 4 | 11 | 35:44 | 33 |
| 11.ნაიმეგენი | 24 | 7 | 10 | 7 | 39:39 | 31 |
| 12.ერაკლესი | 25 | 7 | 7 | 11 | 40:44 | 28 |
| 13.გრააფსხაპი | 25 | 6 | 9 | 10 | 24:43 | 27 |
| 14.ფეინოორ. | 24 | 6 | 7 | 11 | 29:42 | 25 |
| 15.ვიტესი | 25 | 6 | 7 | 12 | 30:44 | 25 |
| 16.ექსელსი. | 25 | 6 | 4 | 15 | 29:48 | 22 |
| 17.ვენლო | 25 | 5 | 1 | 19 | 23:55 | 16 |
| 18.ტილბურგი | 25 | 2 | 5 | 18 | 26:70 | 11 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

**პორტუგალია. ა ლიგა**

ფერეირა-სეტუბალი 2:0
ოლჰანენსე-პორტუ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 21 | 19 | 2 | 0 | 49:7 | 59 |
| 2.ბენფიკა | 20 | 16 | 0 | 4 | 42:16 | 48 |
| 3.სპორტინგი | 20 | 9 | 6 | 5 | 32:24 | 33 |
| 4.ფერეირა | 21 | 8 | 8 | 5 | 22:22 | 32 |
| 5.გიმარაეში | 21 | 9 | 5 | 7 | 25:26 | 32 |
| 6.ლეირია | 20 | 8 | 4 | 8 | 18:24 | 28 |
| 7.ბრაგა | 20 | 8 | 3 | 9 | 34:28 | 27 |
| 8.ოლჰანენსე | 21 | 6 | 9 | 6 | 19:21 | 27 |
| 9.ნაციონალი | 20 | 7 | 5 | 8 | 17:23 | 26 |
| 10.ბეირამარი | 20 | 5 | 10 | 5 | 23:23 | 25 |
| 11.აკადემიკა | 21 | 6 | 5 | 10 | 27:35 | 23 |
| 12.მარიტიმუ | 20 | 5 | 7 | 8 | 20:22 | 22 |
| 13.რიუ ავე | 20 | 5 | 5 | 10 | 20:25 | 20 |
| 14.სეტუბალი | 21 | 4 | 7 | 10 | 16:30 | 19 |
| 15.ნავალი | 20 | 3 | 5 | 12 | 18:37 | 14 |
| 16.პორტიმონ. | 20 | 2 | 5 | 13 | 18:37 | 11 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-ჰართსი ..... 0:0
ჰამილტონი-დანდი ..... 1:1
კილმანროკი-სტ.მირენი ..... 2:0
ჰიბერნიანი-ინვერნესი ..... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 26 | 20 | 4 | 2 | 59:15 | 64 |
| 2.რეინჯერსი | 24 | 18 | 2 | 4 | 53:23 | 56 |
| 3.ჰართსი | 27 | 17 | 4 | 6 | 41:22 | 55 |
| 4.კილმანროკი | 27 | 11 | 6 | 10 | 40:33 | 39 |
| 5.მოზერველი | 27 | 10 | 4 | 13 | 29:35 | 34 |
| 6.ინვერნესი | 27 | 8 | 9 | 10 | 36:35 | 33 |
| 7.დანდი | 24 | 7 | 10 | 7 | 28:31 | 31 |
| 8.სტ.ჯონსონი | 26 | 8 | 6 | 12 | 17:30 | 30 |
| 9.აბერდინი | 27 | 9 | 3 | 15 | 30:44 | 30 |
| 10.ჰიბერნიანი | 27 | 8 | 4 | 15 | 28:43 | 28 |
| 11.სტ.მირენი | 27 | 4 | 7 | 15 | 22:44 | 22 |
| 12.ჰამილტონი | 26 | 2 | 9 | 15 | 15:44 | 15 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ინსბრუკი-მატერსბურგი ..... 2:0
ნოიშტადი-ზალცბურგი ..... 1:0
ლინცერი-აუსტრია ..... 0:4
რაპიდი-კაპენბერგი ..... 2:0

**ბელგია. ჟიულიგა**

სტანდარდი-მეხელენი ..... 3:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-გრასჰოპერსი ..... 2:0
ციურიხი-ბელინცონა ..... 5:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ირაკლისი-ქსანთი ..... 1:1
კერკირა-ოლიმპიაკოსი(ვ) ..... 1:3
პანათინაიკოსი-ატრომიტოსი ..... 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანკარაგიუჯიუ-გენჩლერი ..... 2:4
ისტამბული-გალათასარაი ..... 3:1
გაზიანთები-ერჩიესი ..... 2:1
ფენერბახჩე-ქაშიმფაშა ..... 2:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

პრჟიბრჟამი-ბოლესლავი ..... 0:0
სლოვაცკო-ბოჰემიანსი 1905 ..... 1:3
პლზენი-ჰრადეც კრალოვე ..... 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ბიტომი-ბელხატოვი ..... 1:1
რუხი-ლეჩნა ..... 0:0
ზაგლებიე-კორონა ..... 0:0

**ფინეთი. თასი**

ოულუ-კუუპიო ..... 1:0
ტამპერე-იარო ..... 1:1
ჰაკა-ტპს ..... 0:2

**არგენტინა. კლაუსურა**

სან ლორენცო-რასინგი ..... 1:2
ბოკა-ოლ ბოიზი ..... 0:0

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

დეტროიტი-იუტა ..... 120:116
ვაშინგტონი-დალასი ..... 99:105
მემფისი-საკრამენტო ..... 120:92
მილუოკი-ჩიკაგო ..... 75:83
ჰიუსტონი-ნიუ ჯერსი ..... 123:108
კლიპერსი-ბოსტონი ..... 92:99

**რაგბი**

**ექვსი ერის თასი**

იტალია-უელსი ..... 16:24
ინგლისი-საფრანგეთი ..... 17:9

**ჩოგბურთი**

**ატპ. დუბაი. კაცები**

**ფინალი**

ფედერერი-ჯოკოვიჩი ..... 3:6;3:6

**ვტა. დოჰა. კაცები**

**ფინალი**

ვოზნიაცკი-ზვონარევა ..... 4:6;4:6

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

დალასი-ნეშვილი ..... 3:2
ლოს ანჯელესი-კოლორადო ..... 4:3
აილენდერსი-ვაშინგტონი ..... 2:3
ბუფალო-დეტროიტი ..... 2:2(0:1ბ)
მონრეალი-კაროლინა ..... 4:3
ოტავა-ფილადელფია ..... 4:1
ტორონტო-პიტსბურგი ..... 5:5(0:1ბ)
ვანკუვერი-ბოსტონი ..... 1:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## TV პროგრამა

**ორშაბათი 28 თებერვალი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "გამორჩეული სტუმრები" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** აუდიტორია **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.30** მხ. ფ. **"ორკვირიანი შეტყობინება"** (ს. ბალოკი) **02.20** მოამბე **02.40** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** მხ. ფილმი **"ჯუმანჯი"** **11.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფ. **"ნუცას სკოლა"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფ. **"ცხოველი"** (12)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** დოკ. ფილმი **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მორჩენება"** **22.00** "ოსკარი 2011" **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** მხ. ფილმი **"რემბო"** (18) (ს. სტალონე) **03.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "რიპლი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.40** პულსი **15.20** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სეტუმრად იუმორინასთან **23.30** მხ. ფ. **"მინდა გახსოვდე"** (12) (რ. პატინსონი) (სუბტ.) **01.45** მხ. ფ. **"ტრანსპორტერი"** (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) **03.15** მხ. ფილმი **"ველური ორქიდეა"** (18) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"დიდი ტურინი"** **14.50** ფერისცვალება **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"წყეული მეფეები"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"პასტორალი"** **13.30** კონცერტი – თ. ჭოხონელიძე **15.05** სპექტაკლი **"ჰაკი აძბა"** **17.05** დოკ.ფ."გზა", ფილმი მე-5 **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"ელისო"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძველი აფიშა "ჭინჭრაქა" **22.25** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკლემ. ფ.**"მეზობლები"** **00.30** სუფთა დაფა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 28 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:

აშშ დოლარი — 1,7567

ევრო — 2,3963

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8409

რუსული რუბლი — 0,0599

## ამინდის პროგნოზი 28 თებერვლისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 3-7, ღამით — -2 -1

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 13-16, ღამით — 5-§

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — -2-9, ღამით — -13 -3







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.**


## სფფ-სა და ეკონომიკის სამინისტროს შორის ხელშეკრულება გაფორმდა

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის დაიდო ე.წ. უზუფრუქტის ხელშეკრულება მიხეილ მესხის სტადიონის 30-წლიანი ხელშეკრულებით აღების შესახებ.**

ზემოთ ხსენებული ხელშეკრულება შემდეგ პირობებს ითვალისწინებს: ამიერიდან, 30 წლის განმავლობაში, სტადიონი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სარგებლობაში იქნება. როგორც მესაკუთრე, სფფ უფლებამოსილია, გამოიყენოს და ისარგებლოს სტადიონით. თუმცა, მას არ ექნება სტადიონის გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის უფლება. საჭიროების შემთხვევაში კი, თუ აუცილებელი გახდა სტადიონის გაქირავება ან იჯარით გადაცემა, სფფ-ს სახელმწიფოს თანხმობა დასჭირდება.

ზვიად სიჭინავა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

— რადგან ხელშეკრულება უკვე გავაფორმეთ, უპირველესად, უეფასთან შეთანხმებით დავამტკიცებთ სტადიონის ახალ პროექტს და ვფიქრობ, რომ 2012 წელს მოხდება „მიხეილ მესხის" სტადიონის სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. მთლიანად უნდა შეიცვალოს მოედნის საფარი, სკამები, ვიპ-ი. მოკლედ, სტადიონმა მთლიანად უნდა დააკმაყოფილოს უეფა-ს და ფიფა-ს მოთხოვნები და უნდა იყოს უმაღლესი დონის. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, რეკონსტრუქციისთვის საჭირო თანხების მინიმუმ 50 პროცენტს უეფა თავის თავზე აიღებს; დარჩენილი თანხა კი უნდა მოვიძიოთ დაინტერესებულ პირებთან, ინვესტორებთან, სპონსორებთან. შეიძლება, ეს იყოს მუნიციპალური დახმარებაც.



**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ნინო ანანიაშვილი იტალიის პრეზიდენტმა ორდენით დააჯილდოვა

**ეკა ირემაშვილი**

ცნობილი ქართველი პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯორჯო ნაპოლიტანომ იტალიის სოლიდარობის ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვა.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის, მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავისთვის იტალიის სოლიდარობის ვარსკვლავის ორდენი უკვე რიგით მესამეა, რომელსაც პრიმაბალერინა სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტებისგან მადლიერების ნიშნად იღებს.



იტალიის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, სოლიდარობის ვარსკვლავის ორდენი ენიჭებათ ადამიანებს, რომლებმაც ხელოვნებისა და კულტურის, მეცნიერებისა და სოციალურ სფეროში მოღვაწეობისას ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს და დიდი წვლილი შეიტანეს ხალხებს შორის ურთიერთობების გაღრმავებასა და მეგობრობის გაძლიერებაში.

„თქვენი არაჩვეულებრივი შემოქმედებითი კარიერა და თქვენი დაუღალავი შრომა, როგორც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის წინამძღოლისა, იტალიელი ხალხის აღტაცებას იწვევს. ამ ყველაფერს უდიდესი წვლილი შეაქვს იტალიელი და ქართველი ხალხების ურთიერთობაში, აერთიანებს მათ და აძლიერებს მათ შორის არსებულ კავშირებს", — ნათქვამია საქართველოში იტალიის რესპუბლიკის ელჩის, მისი აღმატებულება ვიტორიო სანდალის წერილში, რომელიც მან ქართველ პრიმაბალერინას ნინო ანანიაშვილის გაუგზავნა.

ამჯერად ნინო ანანიაშვილი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასთან ერთად საგასტროლოდ ტაივანში იმყოფება. საგასტროლო პროგრამაშია ორი კლასიკური ბალეტი —


**გაგრძელება მე-7 გვერდზე**


## ტესტი

## აქვს თუ არა თქვენთვის მნიშვნელობა სხვების აზრს?



***1. ახალ სამსახურში მუშაობას იწყებთ, რას ჩაიცვამთ?***

ა. კლასიკურ კოსტიუმს, ბ. ჩვეულებრივ ტანისამოსს, გ. რაც ხელში მოგხვდებათ.

***2. მნიშვნელოვან შეხვედრაზე მიდიხართ, გზაში ფეხსაცმელი გაგეხათ.***

ა. მაშინვე ახალს იყიდით, ბ. უკან დაბრუნდებით. გ. მეორესაც გაიხდით და ისე გააგრძელებთ გზას.

***3. ჩვეულებრივზე გვიან გაიღვიძეთ და სამსახურში აგვიანებთ. დარჩენილ დროს მოანდომებთ:***

ა. ტანისამოსის უთოობას, ბ. საუზმეს. გ. გასაღების ძებნას.

***4. პიროვნებამ, რომელიც სიყვარულს გიმტკიცებთ, თქვენი ტანი სექვოიას შეადარა. თქვენი რეაქცია:***

ა. გაგეხარდებათ, ბ. აჩუქებთ ენციკლოპედიას — მცენარეთა სამყაროში. გ. საპასუხოდ ბაობაბს შეადარებთ.

***5. დაბადების დღეზე გაჩუქეს წიგნი სახელწოდებით „ლამაზად ჩაცმის უნარი. თქვენი რეაქცია:***

ა. ნუთუ მართლა მჭირდება ეს წიგნი. ბ. გულწრფელ მადლობას გადავუხდი. გ. ლამაზად ჩაცმის უნარი ჩემი რეპუტაციაა.

***6. ტუალეტის წყლით შერჩევისას ხელმძღვანელობთ:***

ა. შეფის აზრით. ბ. საკუთარი გემოვნებით. გ. პარფიუმერიისადმი გულგრილი ხართ.

***7. საყვარელი ქურთუკი გახიეთ, ხასიათი წაგიხდათ, იმიტომ, რომ:***

ა. მთელი დღე დახეულ ქურთუკში მოგიწევთ სიარული. ბ. ქურთუკი გენანებათ. გ. ახალი ქურთუკის ყიდვა მოგიწევთ.

***8. კოლეგასთან პირველად მიხვედით სტუმრად და მაშინვე მუხლებზე ფუმფულა კატა დაგისკუპდათ, ოღონდ ბალნის შეცვლის პერიოდში.***

ა. ცდილობთ გაღიმებას და იმაზე ფიქრობთ, რამდენ დროს წაგართმევთ ტანისამოსისთვის კატის ბალნის მოშორება. ბ. დიდი სიამოვნებით მოეფერებით კატას და არც საუბრის ბოლოს ჯაგრისის მოთხოვნა დაგავიწყდებათ. გ. კინწისკვრით მოიშორებთ კატას.

**პასუხები შეაფასეთ ასე:**

**ა. 9 ქულა, ბ. 1 ქულა, გ. 2 ქულა**

### პასუხები

**0-5 ქულა:** სხვების აზრს თქვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, ცდილობთ, რომ იგი დადებითი იყოს და ახერხებთ ამას, კოლეგების ალმაცერი მზერისგან პრობლემას არ ქმნით, ძალიან კარგად იცით საკუთარი თავის ფასი.

**6-12 ქულა:** არ განაღვლებთ, რას ფიქრობენ თქვენზე, მაგრამ ხანდახან მაინც გაღელვებთ თქვენს ზურგს უკან სხვების ენის ტარტარი და აღშფოთების დამალვას ცდილობთ. საკუთარი თავის შესახებ დიდი ხანია ჩამოგიყალიბდათ შეხედულება და გიკვირთ, თუ სხვების აზრი თქვენსას არ ემთხვევა.

**13-16 ქულა:** რაიმე ნაბიჯის გადადგმის წინ სულ იმას ფიქრობთ „რას იტყვის ხალხი", ტყუილად ნუ იშლით ნერვებს, ადამიანებს, როგორც წესი, მხოლოდ საკუთარი თავი ანაღვლებთ. მაქსიმუმ შეიძლება თქვენთვის ძვირფასი ადამიანის აზრი გაითვალისწინოთ, სხვას კი ნუ მიაქცევთ ყურადღებას.

## ყველამ გაითვალისწინეთ! ასტროპროგნოზი 28 თებერვლისთვის

### წარმატებული დღეა

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ლომი** — ახალი საქმე გამოგიჩნდებათ, კმაყოფილი დარჩებით. **ქალწული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **მშვილდოსანი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, ბედი გწყალობთ. **თხის რქა** — საღამო მშვენიერი იქნება, ამ დღეს დიდი ხანია ელოდით. **მერწყული** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **თევზები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **სასწორი** — გზიდან ვილაც ჩამოდის და თქვენთვის კარგი ამბავი ჩამოაქვს. **ღრიანკალი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ფრანგი მწერალი; 6. სახატავი და საწერი საშუალება; 10. მოკლელულიანი მსუბუქი თოფი; 11. ბეღელი; 13. კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 16. გეომეტრიული სხეული; 18. ნათესების მავნე მწერი; 19. ძვირფასი ქვა; 21. რაიმე ენერგიის უმცირესი რაოდენობა; 22. თამასა, რომელიც გასდევს კედელს იატაკის გადაკვეთასთან; 23. გულის მუშაობის რიტმის დარღვევა.

**შვეულად:** 1. რისამე გადმონაშთი; 2. დაცლილი ვაზნა; 3. რობოტი; 4. ბერძნული სიმებიანი საკრავი ძველად; 7. მშვილდ-...; 8. ამა თუ იმ ქვეყნის პოეტთა ერთობლიობა; 9. სახელმწიფო აზიაში; 12. რომელიმე ხალხის გათქვეფა სხვა ხალხში; 14. იაპონელთა ნაციონალური სამოსი; 15. პოლიციის მოხელე რუსეთში ძველად; 17. სიმებიანი საკრავი ძველად; 20. თევზი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




## იუმორი



ორი ტიპი საუბრობს.

— წავალ ახლა სექსშოპში და გასაბერ ქალს ვიყიდი.

— გასაბერი რად გინდა, როდესაც გარშემო ჩვეულებრივი ქალები თავზე საყრელადაა.

— როგორ გითხრა, ჩვეულებრივები ხუთ წუთში მთანხმდებიან. საინტერესო არაა. რეზინისას კი მინიმუმ ერთი საათი გასაბერად სჭირდება...

***

— დედა, გახსოვს, რომ მითხარი, ათიანს თუ მიიღებ, ეზოში სათამაშოდ მთელი დღით გაგიშვებო...

— მახსოვს, მერე რა?

— მერე ის, რომ დღეს ნახევარი დღით მივდივარ სათამაშოდ...

***

ცოლი ქმარს ეკითხება:

— ამქვეყნად მეორედ მოსვლა რომ შეგეძლოს, რომელ ცხოველად ისურვებდი ყოფნას?

— ალბათ, ძაღლად.

— ანუ, არაფრის შეცვლა გინდა...

***

ტიპი სამშობიაროდან ცოლ-შვილის წასაყვანად მივიდა. მედდამ პატარა გამოიყვანა და ეკითხება:

— თქვენია?

მამაკაცი დაბნეული ხმით პასუხობს:

— როგორ გითხრათ, საბანი ნამდვილად ჩემია...

**გ.თ.**